

1941 საქართველოს მთავრობის მინისტრის
სამინისტრო-საეკონომიკო ინსტიტუტის



გარეგნი

23

XIV

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО
ИНСТИТУТА
ИМЕНИ Л. П. БЕРИЯ
ТБИЛИСИ

PROCEEDINGS OF THE
GEORGIAN AGRICULTURAL
INSTITUTE NAMED
AFTER L. P. BERIA
TBILISI

501/3





გრძელება

XIV

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО
ИНСТИТУТА
ИМЕНИ Л. П. БЕРИЯ
ТБИЛИСИ

PROCEEDINGS OF THE
GEORGIAN AGRICULTURAL
INSTITUTE NAMED
AFTER L. P. BERIA
TBILISI

6989





БІЛARUSСКАЯ
НАЦІОНАЛЬНАЯ

БІБЛІОТЕКА
Академіі Наук
УРСР

№ 89557

პ/შგ. რედაქტორი—ნ. ტ. გელა შვილი
ხელმოწერილია დასაბუძად—31/III—41 წ.
უებ272

შეკვეთის № 230

ტირაჟი—800

წომა— 6×10^4

ფორმ. რაოდ.— $20^3/4$

საკეტ. ფორმ.—21

გამოშეცვალით „ტექნიკა და მრომა“-ს სტამბა. ფურცელაძის ჭერია, ნ.

ს ა რ ჩ ი ბ ი

83-

დოც. რ. დ ვ ა ლ ი — ფერდობებზე მუშაობა ტრაქტორის მუშაობის გამოკვლეულის საკითხისათვის	1
Доп. Р. Дважи — К вопросу исследования работы гусеничного трактора на склонах	13
პროფ. ა. დ ი დ ე ბ უ ლ ი ძის სისტემის შორქავრილი მომწვევებელი	21
Проф. А. Диебулидзе — Дальнеструйный дождеватель	57
Prof. A. Didebulidze — The Sprinkler	72
მ. თ ე დ ი რ ა ძ ე — „ლ. ბერიას სახლობის საქ. სას.-სამ. ინსტიტუტი“-ს ციტრუსების დისკოანი კულტურული	75
М. Тедорадзе — Цитрусовый дисковый культиватор „Груз. СХИ им. Л. П. Берия“	96
M. Tedoradze — Citrus disk cultivator of the Georgian Agricultural institute	109
დოც. ვ. ხ օ პ ე რ ი ა — ანალი კულტურატორები სატყეო საკულტურო სამუშაოთა მექანიზაციისათვის	111
Доп. В. Хоперия — Новые культиваторы для механизации лесокультурных работ на горных склонах	122
Docent V. Khoperia — Cultivators used for the mechanization of forest cultivation work on mountain slopes	129
დოც. დ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ფერდობებზე გუთნის მუშაობის გამოკვლეულის და მთის გუთნის კონსტრუქციის დამზადების საკითხისათვის	131
Доп. Д. Чипшивили — К вопросу исследования работы плуга на склонах и разработки конструкции горного плуга	151
დოც. ბ. ზ ი რ ა ჯ ა ძ ე — ფაზურ-მოტორიანი ჭ-ფაზა ასინქრონული ძრავის ავტომატური მართვა დოც. ზირაჯაძის სისტემით	163
Доп. Н. Зирақадзе — Автоуправление з-х-фазным асинхронным двигателем	191
პროფ. ა. დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე — ელექტროტრაქტორი	240
Проф. А. Диебулидзе — Электротрактор	255
დოც. ვ. მ ა ხ ა ლ დ ი ა ნ ი — ხელსაწყოები და მოწყობილებანი ფერდობებზე ტრაქტორების გამოცდისათვის	278
Доп. В. Макалдiani — Некоторые приборы и приспособления для испытания тракторов на склонах и косогорах	291

უერდობებზე მუხლება ტრაქტორის მუშაობის გამოცვლების საკითხებისათვის

ახალ მიწების და ახალ ტექნიკურ კულტურათა ათვისების გა-
მო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფერდობებზე სასოფლო
სამეურნეო პროცესების მექანიზაციის საკითხს. თუ გავითვალისწი-
ნებთ იმასაც, რომ ზოგიერთი მტს-ის მოქმედების რაიონში სრუ-
ლებით არ არის ვაკეები (მაგალითად ახალციხის მტს-ის მოქმედების
რაიონი) და რომ ყველაზე უფრო ბარის ადგილებშიც კი შევეცვლე-
ბით მცირე ქანობების განსაზღვრულ პროცენტს, მაშინ დავრწმუნდე-
ბით, რომ ფერდობებზე ტრაქტორის მუშაობის გამოვლენა ჩვენი
საკულტო დაწესებულებების გადაუდებელი ამოცანაა. თუ არ ვიცით
ტრაქტორის დინამიკა ფერდობებზე მუშაობის დროს, არ შეიძლება
რაციონალურად დავაყენოთ არსებული ტრაქტორების ექსპლუატა-
ციის საქმე, თუ არ ვიცით არსებული ტრაქტორების სუსტი მხა-
რები, არ შეიძლება სწორად დაისვას მათი გაუმჯობესების სა-
კითხი.

აქედან გამომდინარე, ამ. ლ. ბერიას სახელობის საქ.-სას.-სამ.
ინსტიტუტის ტრაქტორისა და ავტომობილების კათედრაშ საც-
დელ სადგურთან ერთად 1939 წელში ამ სამუშაოს მოჰკიდა ხელი.

ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ეს მუშაობა დაგვეწყო ფერ-
დობებზე ტრაქტორის წევის თვისებების გამოვლენიდან, რადგა-
ნაც მათი შედეგები და მათი ანალიზი ერთის მხრივ საშუალებას
მოგვცემს—დავსვათ არსებული ტრაქტორების ფერდობებზე წესიერი
ექსპლუატაციის საკითხი და მეორეს მხრივ გამოგვადგება ახალი და
სრულქმნილი ტრაქტორის გეგმარებისათვის ტექნიკური პირობების
შესადგენად.

ფერდობებზე ტრაქტორს მუშაობა უხდება:

1. ქანობის განვით მიმართულებით, როდესაც ტრაქტორის
განვით ლერძი პორიზონტთან აღგენს მაქსიმალურ კუთხეს.

2. ქანობის სიგრძივი მიმართულებით, როდესაც ტრაქტორის
სიგრძივი ლერძი პორიზონტთან აღგენს მაქსიმალურ კუთხეს (მხო-
ლოდ აღმართზე ან დაღმართზე).

3. ქანობის ისეთი მიმართულებით, როდესაც ტრაქტორის ორივე (სიგრძივი და განივი) ღერძი დახრილია პორტონტის ზომართ. მომავალში ჩვენ ამას ქანობის ირიბ მიმართულებას მოვწოდებთ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ტრაქტორის მუშაობა ქანობის განივი მიმართულებით, რადგანაც აგროტექნიკის თვალს ზრისით ეს მიმართულება ყველაზე უფრო მისაღებია. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ ქანობის განივი მიმართულებით მუშაობა შეუძლებელია, მეტადრე დასერილ ადგილებში, სადაც ერთდაიძაებე უბანზე გვხვდება სიგრძივი და განივი ქანობები და ირიბები, მაშინ დავრწმუნდებით, რომ შესასწავლია ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა.

ამ წერილში ჩვენ გავარჩევთ ტრაქტორის მუშაობას მხოლოდ ქანობის განივი მიმართულებით. ჩვენი მიზანია მკითხველი გავაცნოთ ჩვენი მუშაობის ზოგიერთ შედეგს და გავამახვილოთ ყურადღება იმ საკითხებზე, რომლებიც ამცირებენ ტრაქტორის ეფექტიანობას ქანობის განივი მიმართულებით მუშაობის დროს.

ტრაქტორის მუშაობა ჩანობის განივი მიმართულებით

ქანობის განივი მიმართულებით ტრაქტორის მუშაობის შესახებ გვხვდება საკითხის ორგვარი გარჩევა და ორივე ეხება ტრაქტორის მდგრადობის საკითხს. პირველი იხილავს ტრაქტორის გადაბრუნების საშიშროებას და მეორე—მოკურების საშიშროებას.

ქანობის განივი მიმართულებით მოძრაობის დროს ტრაქტორზე მოქმედი გარეგანი ძალების (1 ნახ.) განხილვის შემდეგ მოვიღებთ:

$$\beta = \arctg \varphi,$$

და

$$\beta = \arctg \frac{B}{2h}$$


სადაც ფ—ტრაქტორის ნიადაგთან გვერდითი ჩაჭიდების კოეფიციენტია.

პირველი ფორმულა გვაძლევს დაქანების იმ კუთხის მნიშვნელობას, რომლამდეც ტრაქტორის მოცურების საშიშროება გამორიცხულია. უფრო დიდ ქანობებზე ტრაქტორი ვერ იმუშავებს, რადგანაც ის ჩამოცურდება.

მეორე ფორმულა გვაძლევს დაქანების იმ კუთხის მნიშვნელობას, რომლამდეც ტრაქტორის გადაბრუნების საშიშროება გამორიცხულია. უფრო დიდ ქანობებზე ტრაქტორი ვერ იმუშავებს, რადგან იგი გადაბრუნდება.

ამ ორი კუთხიდან ნაკლებად ინიშნება ქანობის ზღვარი, რომელიც დამდეც ტრაქტორის მუშაობა დასაშვებია.

თანამედროვე ლიტერატურაში მხოლოდ ამ ორი საკითხის შესწავლით ამოიშურება ტრაქტორის განივ ქანობზე მუშაობის გამოკვლევა. ქანობი რომ არ იწყევდეს კიდევ სხვა მოვლენების წარმოშობას, მაშინ ქანობის იმ ფარგლებში, სადაც გამორიცხულია მოცურების და გადაბრუნების საშიშროება, ტრაქტორის ქანობზე მუშაობა იქნებოდა ვაკეზე მუშაობის იდენტური, მაგრამ ეს ასე არ არის.



1 ნახ.

ქანობის განივი მიმართულებით მუშაობის დროს ტრაქტორის წონის შემადგენელი $G \sin \beta$ (1 ნახ.) იწვევს მუხლუხებზე მოსული წნევების გადანაწილებას. მომენტების წონას წორობის პირობის თანახმად მივიღებთ:

$$Q_1 = \frac{1}{2} G \cos \beta + \frac{h}{B} G \sin \beta,$$

$$Q_2 = \frac{1}{2} G \cos \beta - \frac{h}{B} G \sin \beta.$$

რადგანაც მუხლუხებზე მოსული წნევები ტოლნი არ არიან, ამიტომ არ იქნებიან ტოლნი მუხლუხების გადაგორების წინააღმდეგობის ძალებიც და ამის გამო წარმოიშობა ტრაქტორის მომბრუნებელი მომენტი:

$$M_n = f \frac{B}{2} (Q_1 - Q_2) \dots \dots \dots \quad (1)$$

ტრაქტორის თეორიიდან ცნობილია, რომ გეერდითი ქანონის არსებობის დროს მუხლუხების მობრუნების ცენტრი, წონის შემადგენლის $G \sin \beta$ არსებობის გამო დაშორებულია ტრაქტორის განივი სიმეტრიის ლერძს შემდეგ მანძილით (1 ნახ.):

$$x_0 = \frac{L}{2\mu} \operatorname{tg} \beta.$$

ძალა $G \sin \beta$ მობრუნების ცენტრის მიმართ მოგვცემს შემდეგ მომენტს:

$$M_n' = x_0 G \sin \beta \dots \dots \dots \quad (2)$$

რომელიც აგრეთვე ეცდება ტრაქტორის შემობრუნებას.

მაშასადამე, ტრაქტორზე, ქანონის განივი მიმართულებით მოძრაობის დროს, მოქმედებს მომბრუნებელი მომენტი

$$M_n = \frac{B}{2} f (Q_1 - Q_2) + x_0 G \sin \beta, \dots \dots \dots \quad (3)$$

რომელიც ცდილობს გადაახვევითს ტრაქტორს სწორხაზობრივ მიმართულებიდან.

ქანონები 8—10° ზევით მექანიკური წევით არ არის ათვისებული. ამ ფარგლებში, აი მომბრუნებელი მომენტის სიდიდე არაა იმოდენა, რომ მას შეეძლოს ტრაქტორის შემობრუნება, ნაგრამ მისი ზეგავლენით ტრაქტორი დაიწყებს გადაახვევას. სწორხაზობრივ მოძრაობიდან და თანალათანობით დასკილდება თავის პირველყოფილ მიმართულებას. ამ შემთხვევაში სწორი კვალის გასავლებად (ჰორიზონტალის მიმართულებით) ხშირად უნდა მივმართოთ ტრაქტორის გასწორებას, ე. ი. ხშირ მობრუნებას სამართავი მექანიზმის საშუალებით აღმართისაკენ. ტრაქტორის ასეთი ბრუნვა

ჩვენშე დამოუკიდებელი დაღმართისაკენ და ჩვენ-
შიერ გამოწვეულ იღმართისაკენ, ერთის მხრივ იწ-
ვევს მუხლუხების ნიადაგთან მუშაობის გაზრდას
მეორე მხრივ იწვევს სიჩქარის დაკარგვას და მცირებულება
გამოც ტრაქტორის სასარგებლო მუშაობა უნდა
შემცირდეს.

ამრიგად, ქანობის განივი მიმართულებით მუშაობის დროს
(7—10°-ის ფარგლებში) გადაბრუნების ან მოცურების საშიშროება
გამორიცხულია, მომბრუნებელი მომენტით გამოწვეული ზიანი კი
ძალიან დიდია. ტრაქტორის გეგმარების პროცესში ეს მოვლენა
უნდა იქნეს გათვალისწინებული და საყრდენ ზედაპირებზე მოსულ
წონების სათანადო განაწილებით ის შეიძლება იქნეს შემცირებული.
არაბული ტრაქტორების ექსპლუატაციაში საჭიროა,— მისაბმელი
იარაღის ტრაქტორზე მიბმის წერტილი გადატანილ იქნეს გვერდზე
იმ ანგარიშით, რომ მის მიერ წარმოშობილმა მომბრუნების წინააღ-
მდევობის მომენტმა გააბათილოს გვერდითი ქანობით წარმოშობი-
ლი მომბრუნებელი მომენტი. ზედა კვალში მისაბმელი უნდა გადაი-
წიოს შარცხნივ და ქვედა კვალში—მარჯვნივ. დოც. ციციშვილის
ცდებმა დაადასტურა, რომ გუთნის ასეთი ექსცენტრული გამობმა
ქანობის განივი მიმართულებით მუშაობის დროს, ხვის თვალსაზ-
რისითაც მისაღებია, რადგანაც ნიადაგის დამუშავების ხარისხი
უმჯობესდება.


აქედან გამომდინარე, ქანობებზე მომუშავე
ტრაქტორებისათვის დაგეგმირებული უნდა იქნეს
მოძრავი კავში.

ტრაქტორის ქცევის შესწავლის მიზნით ჩავატარეთ ექსპერი-
მენტები, რომლებმაც სავსებითა დაასაბუთეს ზემოთმოყვანილი მოსაზ-
რებები. ექსპერიმენტებს ვატარებდით ორი მიმართულებით: პირვე-
ლი—მომბრუნებელი ბომენტის ზეგავლენით პირველყოფილ მიმარ-
თულებიდან ტრაქტორის გადახვევის ინტენსივობის შესწავლის მიზ-
ნით და მეორე—ტრაქტორის სასარგებლო მუშაობაზე ამ მოვლენის
გვლენის გამოსამულავნებლად.

პირველი საკითხის გამოსარკვევად ვიქცეოდით შემდეგნაირად:
განივ ქანობაზე (თეოდოლიტის დახმარებით) ზუსტად ესაზღვრავდით
პორიზონტალის მიმართულებას, რომელსაც ვნიშნავდით სათანადო
სოლების ჩასმით. პირველ ორ სოლზე ვჭიმავდით კანაფს და ზუს-
ტად მის პარალელურად ვიყენებდით ტრაქტორს. როდესაც სათა-
ნადო გაზომებით დაერწმუნდებოდით, რომ ტრაქტორი დგას პო-
რიზონტალის გასწვრივ, ჩავრთავდით გადაცემას და ავამოძრავებ-
დით მას. ცდის განმავლობაში ხელს არ ვახლებდით სამართავ მე-
ქანიზმს. ყოველი ოცი მეტრის გავლის შემდეგ ვზომავდით ტრაქ-

ტორის დაცილების მანძილს თავდაპირველ მიმართულებიდან მიღებული შედეგებით ვაგებდით დიაგრამას, რომლის აბსცისთა ლინეარული გადაზომილია გავლილი მანძილი და ორდინატთა ლერძები, მომზრუნვებელი მომენტის არსებობის გამო, ტრაქტორის დაცილება პირ-ვლყოფილ მიმართულებიდან.

უმისაბმელოდ მომუშავე ტრაქტორისათვის ამ ხერხით აგებული დიაგრამა მოყვანილია 2 ნახ.-ზე. ცდა ტარდებოლა 10^0 -იან გვერდითს ქანობზე, „სტზ-ნატი“ ტრაქტორით ნაწვერალზე.



2 ნახ.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ტრაქტორის დაშორება პირველა-კოფილ მიმართულებიდან დალმართისაკენ ინტენსიურად იზრდება. თუ ოცი მეტრის გავლის შემდეგ დაშორება პირველკოფილ მიმართულებიდან აღწევს 1,3 მეტრს, უკეთ მეასე მეტრზე ეს დაშორება გაზრდილია 23 მეტრამდე. აქედანვე ნათლად ჩანს, თუ როგორ ხშირად უნდა ვასწოროთ (ვაბრუნოთ იძულებით ალმართისაკენ) ტრაქტორი იმისათვის, რომ დავიცვათ კვალის სჭირი მიმართულება.

ასეთივე ექსპერიმენტები იყო ჩატარებული დატვირთული ტრაქტორით (მისაბმელად გამოყენებული იყო გუთანი). იმავე ნიადაგზე და იმავე ქანობზე ცდის შედეგად მივიღეთ: როდესაც ტრაქტორი ავითარებდა წევის ძალას 1760 კგ, მან მოგვეცა საშუალო დაშორება თავდაპირველ მიმართულებიდან 0,8 მეტრი ოცი მეტრის გავლის შემდეგ, — როდესაც წევის ძალა უდრიდა 1980 კგ, ოცი მეტრის გავლის შემდეგ ის დასკილდა თავდაპირველ მიმართულებას 0,75 მეტრით.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ტრაქტორის გადახვევა თავდაპირველ მიმართულებიდან უქმი სვლის დროს მეტია, ვიდრე დატ-

ვირომულ ტრაქტორისათვის. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც მობრუნების წინააღმდეგობას მომენტი, რომელიც მისაბმელმა იპოვა შეკვენა, ამცირებს შომბრუნებელი მომენტის ეფექტს.

ტრაქტორის სასარგებლო მუშაობაზე აღწერილი მოვლენის ფაზულენის გამოსაშელავნებლად მოვიქეცით შემდეგნაირად: ვინაიდან ტრაქტორის სასარგებლო მუშაობაზე ვძსჯელობთ კაკეზე ვანვითარებული სიმძლავრით, ამიტომ ვაწირმოეთ ტრაქტორის წევითი გამოცდა განივ ქანობზე. ერთდროულად ტრაქტორი გამოვცადეთ პორიზონტალურ მონაკვეთზე და წევის მახასიათებლების შედარებით ვიქონიეთ სათანადო მსჯელობა.

ვიდრე შედეგებზე გადავალო, მანამდე საჭიროა რამოდენიმე სიტყვით შეეჩერდეთ წევითი გამოცდის მეთოდიაზე. ვაკეზე ტრაქტორის წევითი გამოცდის დროს, ვიდრე ცდას დავიწყებთ, ტრაქტორს ვაძლევთ გარბენის საშუალებას, რათა დამყარდეს მუდმივი რეჟიმი და ამ დამყარებული რეჟიმით შევლივართ საცდელ უბანში. საცდელ მონაკვეთზე ვზომავთ სიჩქარეს, ძრავის ბრუნვის რიცხვს, წევის ძალას და სხვა. რადგან რეჟიმი დამყარებულია, ამიტომ გასაზომი სითალეები იქნებოდა მუდმივი, მთელი ცდის განმავლობაში ნიადაგი რომ ერთგვაროვანი ყოფილიყო. ვინაიდან ნიადაგი არ არის ერთგვაროვანი, ამიტომ გასაზომი სიღილეები იცვლიან თავის მნიშვნელობას, მაგრამ მათი საშუალო მნიშვნელობები ძალიან ახლოს დგას ქრმარიტებისთან.

ქანობზე მუშაობის დროს, გასაზომ სიღილეთა ცვალებადობას, ნიადაგის არაერთგვაროვანების გარდა, იწვევს მთელი რიგი ახალი მიზეზები, რომლებიც განუწყვეტლივ მოსდევენ ერთიერობას ან გავარჩიოთ ქანობის განივი მიმართულებით მოძრაობის მთელი პროცესი.

პირველი ეტაპი—ტრაქტორი მოძრაობს პორიზონტალების გასწვრივ, წარმოშობილია განივი ქანობით გამოწვეული მომბრუნებელი მომენტი, რომელიც მოქმედობს მასზე. მეორე ეტაპი—ამ მომენტის ზეგავლენით ტრაქტორმა რიცხვო დაცილება თავდაპირველ მიმართულებიდან. მესამე ეტაპი—ვამუხრუჭებთ გასწრებულ მუქლუს და ვასწორებთ მიმართულებას (ტრაქტორს ვაბრუნებთ აღმართისაკენ). ამის შემდეგ იწყება ისევ პირველი ეტაპი და ასე განუწყვეტლივ.

თუ ტრაქტორის პორიზონტალების გასწვრივ მუშაობის დროს პქონდა რაღაც გარკვეული სამუშაო რეჟიმი, მეორე ეტაპის განმავლობაში ის უსაოულ შეიცვლება, რაღვანაც შექმნილია დაღმართის ელემენტი, რომელიც განტვირთავს ძრავას, გაიზრდება მისი ბრუნვის რიცხვი და ამის შედეგად ტრაქტორის მოძრაობა იქნება აჩქარებული. მესამე ეტაპის დროს, როდესაც ტრაქტორს აღმარ-

თისაკენ ვაბრუნებთ, მობრუნების დიდი წინააღმდეგობის გამო ძრავა უსათუოდ გადაიტვირთება, დაიწყებს კლებას მისი ბრუნვის რიცხვი, და მოძრაობა შენელებული იქნება. როგორც ვხედავთ მოძრაობის მთელი პროცესის განმავლობაში ტრაქტორის სიჩქარე მუდმივ ცვალებადობაშია.

ვაკეზე ტრაქტორის გამოცდის დროს, ცდის განმავლობაში საშუალო სიჩქარის გამოსათვლელად ვიქცევთ ასე: ვზომავთ დროს ცდის განმავლობაში და გავლილი შენძილის (საცდელი მონაკვეთის სიგრძის) მასზე გაყოფით ვიღებთ ტრაქტორის საშუალო სიჩქარეს. თუ ამავე მეთაურის გამოვიყენებთ ფერდობზე, ცხადია, მივიღებთ საშუალო ფიქტურულ სიჩქარეს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ახასიათებს ტრაქტორის სამუშაო რეჟიმს. აქედან გამომდინარე ქანობზე ტრაქტორის გამოცდის მეთოდიკა უნდა იქნეს სათანადოდ შეცვლილი. მეთოდიკას შეცვლა მოითხოვს მთელი რიგი ხელსაწყოების შეცვლას და მათ შექმნას¹.

ჩვენ მიერ მიღებულ წევის მახასიათებლების შედარებით დადასტურდა, რომ ყველა შემთხვევაზე ტრაქტორის სასარგებლო მუშაობა (ძრავის ნორმალურ ბრუნვის რიცხვზე) ქანობის განვითარების ულებით მცირდება. მოვყავს ერთი შედეგთაგანი (ტრაქტორი „სტჩ—ნატი“, ნაწვერალი).

ძრავის ბრუნვის რიცხვი	ქანობი გრადუსებით	სიმძლავრე ც. ძ. (კაცხე)
1250	0	36
1250	10	31

ქანობის განვითარებით მუშაობის შემთხვევებიში ტრაქტორის სასარგებლო სიმძლავრე რომ იკლებს,—ეს დადასტურდა. ახლა სჭიროა მოიძებნოს კაკვეზე სიმძლავრის ან წევის ძალის შეცვირების სიღილის გამოთვლის საშუალება. ამისათვის გაეარჩიოთ მუხლუხების ნიაღავზე გორვესი, პროცესი,

ადვილი შესამჩნევია, რომ ქანობის განვითარებით მოძრაობის დროს, მუხლუხების გორვა ნიაღავზე დიდად განსხვავდება იმავე მუხლუხების ვაკე ნიაღავზე გორვისაგან. ვაკეზე, მოძრაობის წინააღმდეგობის ძალას ჰქმნის მხოლოდ ნიაღავის ნორმალური

¹ ამ ხელსაწყოების შესახებ იხილეთ დოკ. ვ. შახალდიანის წერილი ამავე კრებულში.

დეფორმაცია. ქანობის განივი მიმართულებით მოძრაობის შემთხვევაში, რადგანაც ტრაქტორი გადაადგილებითი მოძრაობასთან ერთად განიცდის თრევას მარცხნივ და მარჯვნივ, ამიტომ ნიადაგის წილი მაღლი დეფორმაციით გამოწვეული წინააღმდეგობის გარდა წარმატებულ მოიშობა ნიადაგთან მუხლუხების ხახუნის და ნიადაგში ჩაღრმავებულ მუხლუხების ნაწილებით ნიადაგის თელვის წინააღმდეგობა.

აქედან გამომდინარე, ქანობის განივი მიმართულებით ტრაქტორის მოძრაობის წინააღმდეგობის ძალა ვაკეზე მოძრაობის წინააღმდეგობის ძალაზე მეტი უნდა იქნეს და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში მოძრაობის წინააღმდეგობის კოეფიციენტიც მეტია.

ქანობის განივი მიმართულებით ტრაქტორის მოძრაობის წინააღმდეგობის კოეფიციენტის განსასაზღვრელად ვიქცევით ასე: სხვადასხვა ქანობზე ტრაქტორს დატვირთვას ვაძლევთ იმ ანგარიშით, რომ ცდის განმავლობაში ძრავის საშუალო ბრუნვის რიცხვი იქნეს ნორმალური („სტბ.-ნატი“. სათვის 1250 ბრ/წთ).

შედეგები მოგვყავს ცხრილში:

განივი ქანობი	ძრავის ბრუნ- ვის რიცხვი	წევის ძალა კაცები	გადაცემა
0°	1250	2200	II
10°35'	1250	1800	II
7°39'	1250	1910	II
0°	1250	1800	III
4°6'	1250	1600	III
11°	1250	1410	III

ცნობილია, რომ მხები წევის ძალა ძრავის მუდმივი ბრუნვის რიცხვის დროს არ არის დამოკიდებული რელიეფზე. მეორე გადაცემაზე მხები წევის ძალის სიდიდე ედრება:

$$P_{\text{კა}} + Gf_0 = 2200 + 5100 \cdot 0,087 = 2643,7 \text{ კგ};$$

მესამე გადაცემაზე

$$P_{\text{კა}} + Gf_0 = 1800 + 5100 \cdot 0,087 = 2243,7 \text{ კგ.},$$

საღაც f_0 — მოძრაობის წინააღმდეგობის კოეფიციენტია ვაკეზე და

უდრის 0,087. ტრაქტორის წევის ბალანსიდან გამომდინარე, შეიძლება დაცეროთ


$$f = \frac{P_k - P_{\text{loss}}}{G},$$



რომლის საშუალებითაც უკვე შეგვიძლია გამოვთვალოთ f სხვადა-
სხვა გვერდით ქანობზე. ანგარიში და შედეგები მოყვანილია
კერძოში.

განივი ქანობი	ძრავის რიცხვი	მხების მაღა	წევის ძალა კაკტუ	მოძრაობის წინაღ. კოეფი- ციენტი
0°	1250	2643,7	2200	0,087
10°35'	1250	2643,7	1800	0,165
7°39'	1250	2643,7	1910	0,146
0°	1250	2243,7	1800	0,087
4°6'	1250	2243,7	1600	0,126
11°	1250	2243,7	1410	1,164

ამ შედეგებით შევვიძლია ავაგოთ დიაგრამა (3 ნახ.) თუ f -ის ცვალებადობის ასეთი მიმდინარეობა მომავალი ექსპერიმენტებით დადასტურდა, მაშინ ძალიან მარტივად გამოიყენება f -ის ცვალებადობის საანგარიშო ექვივივანტული ფორმულა (ამ სახის: $y = a + bx$).



3 Feb.

თუ კი დადგენილი იქნა f -ის ცვალებადობის კანონი, მაშინ
კაკვის წევის ძალა ქანობის განივი მიმართულებით შუშაობის დროს
გამოიიანებარიშება შემდეგნაირად:

$$P_{424}^B = P_{424}^0 - G(f_B - f_0) \quad \dots \quad \dots \quad \dots \quad (4)$$

სადაც P_0 — სასარგებლო (კაკვზე) წევის ძალაა ვაკეზე, f_β — მოძრაობის წინააღმდეგობის კოეფიციენტია გვერდით ქანობზე.

ამის შემდეგ არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს სასარგებლო სიმძლავრის და სათბობის კუთრი ხარჯის გამოანგარიშება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქანობის ზღვრული კუთხის (რომლამდეც ტრაქტორს მუშაობა შეუძლია) გამოსათვლელად მიმართავინ ტრაქტორის შემოწმებას გადაბრუნებაზე და მოცურებაზე. ჩვენ ვფერობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ ზღვრულ კუთხებამდე ტრაქტორი ვერ მიაღწიეს, რადგანაც ქანობის გადიდებით დიდდება მომბრუნებელი მომენტიც და დადგება ისეთი ზღვარი, როდესაც ეს მომენტი გაუტოლდება მომბრუნების წინააღმდეგობის მომენტს. ამ კუთხეზე და მით უფრო თუ მას გადავცილდით ტრაქტორის მუშაობა შეუძლებელი შეიქნება, რადგანაც ტრაქტორი მოძრაობის დაწყებისთანავე დაიწყებს ადგილზე მომბრუნებას. ტრაქტორის მოძრუნების ეს პირობა შეიძლება ასე დავწეროთ:

$$\frac{B}{2} f(Q_1 - Q_2) + X_0 G \sin \beta = \frac{\mu GL \cos \beta}{4} \left[1 + \left(\frac{2X_0}{L} \right)^2 \right], \quad (5)$$

სადაც μ — ტრაქტორის მოძრუნების წინააღმდეგობის კოეფიციენტია:

L — მუხლუხების საყრდენი ზედაპირის სიგრძეა.

ამ ტოლობის მარჯვენა მხარე გამოხატავს მუხლუხა ტრაქტორის მომბრუნების წინააღმდეგობის მომენტს.

ამ ტოლობაში ჩასვათ Q_1 , Q_2 და X_0 -ის მნიშვნელობები მაშინ მივიღებთ:

$$\begin{aligned} \frac{B}{2} f \left(\frac{1}{2} G \cos \beta + \frac{h}{B} G \sin \beta - \frac{1}{2} G \cos \beta + \frac{h}{B} G \sin \beta \right) + \\ + \frac{L}{2\mu} G \cdot \frac{\sin^2 \beta}{\cos \beta} = \frac{\mu GL \cos \beta}{4} \left[1 + \frac{\sin^2 \beta}{\mu^2 \cos^2 \beta} \right]. \end{aligned}$$

გამარტივების შემდეგ მივიღებთ:

$$4\mu f h \sin \beta \cos \beta + L \sin^2 \beta - \mu^2 L \cos^2 \beta = 0;$$

რადგანაც $\sin \beta = \operatorname{tg} \beta \cos \beta$, მივიღებთ:

$$\operatorname{tg}^2 \beta + 4\mu f \frac{h}{L} \operatorname{tg} \beta - \mu^2 = 0.$$

ამ კვადრატული ტოლობის გადაწყვეტა მოგვცემს:

$$\operatorname{tg} \beta = \mu \left[\sqrt{4f^2 \frac{h^2}{L^2} + 1} - 2f \frac{h}{L} \right]. \quad \dots \quad (6)$$

ამრიგად მივიღეთ ის კუთხე, რომელზედაც დაიწყებს ტრაქ-
ტორი ბრუნვას. ამ ზღვრული კუთხის სიდიდე დამოკიდებული ფო-
ფილა ნიადაგის მექანიკურ თვისებებზე, მუხლუხების საყრდენ შე-
დაპირის სიგრძეზე და სიმძიმის ცენტრის სიმაღლეზე. ჰოგჯერის კუთხე გამოდის საგრძნობლად ნაკლები იმ კუთხეებზე, რომლებიც
დასაშენებია დაცურების და გადაბრუნების საშიშროების გათვალის-
წინებით. მაშიასადამე, ზღვრული კუთხის დასადგენად უნდა შევამო-
წოთ ტრაქტორის გადაბრუნება, მოცურება და მობრუნება. ამ სამ
კუთხეში—უმცირესით უნდა დაინიშნოს ქანობის ზღვარი, რომლაშ-
დეც ტრაქტორს მუშაობა შეუძლია.

Док. Р. ДВАЛИ

К ВОПРОСУ ИССЛЕДОВАНИЯ РАБОТЫ ГУСЕНИЧНОГО ТРАКТОРА НА СКЛОНАХ

В связи с освоением новых земель и внедрением новых технических культур, особое значение приобретает вопрос механизации сельско-хозяйственных процессов на склонах. Если учесть и то, что в районах действия некоторых МТС вообще нельзя найти равнину, а освоенные склоны своей крутизной доходят до 8—10 градусов (например район Ахалцихской МТС), в некоторых МТС до 75 процентов обрабатываемой площади расположены на склонах (например район Душетской МТС) и что даже в самых равнинных местностях имеется определенный процент малых склонов, тогда увидим, что вопрос исследования работы трактора на склонах становится неотложной задачей наших исследовательских учреждений.

Исходя из этого, кафедра тракторов и автомобилей сельско-хозяйственного института Грузии имени Л. П. Берия в 1939 году взялась за эту работу.

Мы нашли целесообразным эту работу начать с исследования тяговых свойств тракторов на склонах, так как результаты этих исследований и их анализ с одной стороны дадут возможность поставить вопрос о правильной эксплуатации существующих тракторов на склонах и с другой стороны послужит материалом для составления технических условий на проектирование более совершенного и нужного трактора.

Целью данной статьи является познакомить читателя с некоторыми результатами полученными нами и обострить внимание на вопросы понижающие эффективность трактора при работе в поперечном направлении склона.

РАБОТА ТРАКТОРА В ПОПЕРЕЧНОМ НАПРАВЛЕНИИ СКЛОНА



При работе в поперечном направлении склона с составляющей веса $G \sin \beta$ вызывает перераспределение нагрузок на гусеницы (фиг. 1)¹⁾, вследствие чего не равны сопротивления качению каждой гусеницы и по этой причине возникает поворачивающий момент трактора:

$$M_n' = \frac{B}{2} f (Q_1 - Q_2).$$

Кроме того известно, что центр поворота трактора при действии боковой силы всегда удален от центра тяжести на расстоянии $\chi_0 = \frac{L \sin \beta}{2 \mu \cos \beta}$, вследствие чего при работе в поперечном направлении склона, всегда должен существовать поворачивающий момент:

$$M''_n = \chi_0 G \sin \beta.$$

Следовательно, при работе в поперечном направлении склона на трактор действует поворачивающий момент:

$$M_n = \frac{B}{2} f (Q_1 - Q_2) + \chi_0 G \sin \beta,$$

под воздействием которого трактор начинает поворачиваться в сторону спуска (начинается непроизвольный поворот).

В данном случае для проведения прямой борозды (по направлению горизонтали) надо часто прибегать к выравниванию трактора, т. е. к частому повороту с помощью механизма управления в сторону подъема. Однако такое виляние трактора, непроизвольный поворот в сторону спуска и поворот вызванный нами к подъему вызовет рост работы ходовой части трактора о почву, вследствие чего полезная работа трактора должна уменьшиться.

Без специального устройства (террасирование) склоны выше $8-10^\circ$ не осваиваются, в этих пределах опасности опрокидывания или сползания трактора нет, а вред вызванный поворачивающим моментом огромный.

¹⁾ Все указанные здесь фигуры смотрите в предыдущем грузинском тексте.

В целях изучения поведения трактора при работе в по-
перечном направлении склона, были проведены эксперименты,
которые полностью подтвердили вышеприведенные сообра-
жения. Эксперименты проводились в двух направлениях, с
одной стороны—для исследования интенсивности поворачива-
ния, и с другой—с целью исследования влияния этого явле-
ния на полезную работу трактора.

Для исследования первого вопроса поступили следую-
щим образом: на склоне точно определяли направление гори-
зонтали, которое обозначили расстановкой кольев. На пер-
вых двух кольях натягивали шпагат, по отношению к кото-
рому точно параллельно устанавливали трактор. После этого
включали передачу, приводили трактор в движение не трогая
механизма управления. Пройдя каждые 20 метров измеряли
расстояние отдаления трактора от первоначального направ-
ления. После пятикратного повторения опыта, по получен-
ным результатам строили диаграмму, на абсциссе которой
отложен пройденный путь, а на ординате боковые смещения
из-за непроизвольного поворота трактора.

Для трактора, работающего без прицепа, построенная
таким образом диаграмма приведена на фиг. 2. Опыт прово-
дился на 10° -ном склоне трактором СТЗ НАТИ по стерне.

Из диаграммы видно, что после прохождения 20 м отда-
ление от первоначального направления доходит до 1,3 м, а
на сотом метре это отдаление возрастает до 23 м. Отсюда
ясно видно, как часто надо выравнивать трактор, чтобы прой-
ти по намеченному направлению борозды.

Такие же эксперименты проводились с нагруженным
трактором (работающим с плугом) на той же почве и на том же
склоне. В результате опыта получили, что когда трактор раз-
вивал тяговое усилие 1760 кг, он дал боковое смещение от
первоначального направления 0,8 м после прохождения 20 м,
когда тяговое усилие равнялось 1980 кг он отклонился от
первоначального направления на 0,75 м.

Из этих данных видно, что непроизвольный поворот
трактора при холостом ходе больше, чем при загруженном.
Это так и должно быть, так как момент сопротивления пово-
роту, созданный прицепным орудием уменьшает эффект пово-
рачивающего момента.

Для выяснения влияния трактора (при работе в поперечном направлении склона) на полезную работу его, были проведены тяговые испытания. Одновременно трактор испытывали на горизонтальном участке и сравнением тяговых характеристик имели соответственное суждение.

Прежде чем приступить к анализу диаграмм необходимо в нескольких словах остановиться на методике тягового испытания.

При испытаниях на равнине, на мерный участок вступают установившимся режимом двигателя и в процессе опыта изменение измеряемых величин происходит только неоднобразием почвы.

При работе же в поперечном направлении склона картина резко меняется. Рассмотрим весь процесс движения. Первый этап — трактор движется по направлению горизонталей и под воздействием поворачивающего момента трактор отклоняется от первоначального направления. Второй этап — тормозим забегающую гусеницу и выравниваем направление. После этого опять начинается первый этап и так беспрерывно. Надо отметить, что во время второго этапа двигатель сильно перегружается. Из этого рассуждения видно, как непрерывно меняется полное сопротивление движению трактора и как следствие этого, режим работы двигателя.

Таким образом, при тяговом испытании трактора на равнине имеем почти установившийся режим, а во время испытания в поперечном направлении склона, рабочий режим совершенно не установившийся. Исходя из этого, методика испытаний на склонах должна быть соответственно изменена. Однако изменение методики связано с изменением испытательной аппаратуры и созданием целого ряда измерительных приборов. Но с целью получения данных, правда не совсем точных, но годных для предварительного суждения, тяговые испытания на склонах были проведены по той же методике, которой пользовались на равнине.

Сравнением тяговых характеристик подтвердилось, что во всех случаях (при нормальных числах оборотов двигателя — 1250 $\frac{\text{об}}{\text{мин}}$ — для СТЗ-НАТИ) полезная мощность трактора на поперечном склоне уменьшается.

Здесь следует отметить, что на равнине обороты двигателя 1250 указывают на установившийся нормальный режим работы трактора. Двигаясь в поперечном направлении склона, постоянные обороты никак нельзя держать и исходя из этого обороты 1250 характеризуют не установившийся режим трактора, а переменный, при котором средние обороты двигателя за опыт получаются 1250.

Качение гусениц при движении в поперечном направлении склона сильно отличается от их качения на горизонтальном участке. На горизонтальном участке сопротивление движению трактора вызывается только нормальной деформацией грунта. При движении трактора в поперечном направлении склона, так как трактор находится в постоянном вилянии, сопротивление движению кроме нормальной деформации грунта вызывается трением между грунтом и опорной поверхностью гусениц и сопротивлением почвы смятию.

Исходя из этого, сила сопротивления движению трактора (также коэффициент сопротивления движению) на поперечном склоне должна быть больше, чем на равнине.

Для определения коэффициента сопротивления движению поступали следующим образом: на разных склонах и на равнине (на стерне) трактор загружали таким расчетом, чтобы за опыт получить средние обороты двигателя 1250 в минуту. Результаты приведены в таблице:

Поперечный склон	Число оборотов двигателя	Тяговое усилие на крюке	Передача
0°	1250	2200	II
10°35'	1250	1800	II
7°39'	1250	1910	II
0°	1250	1800	III
4°6'	1250	1600	III
11°	1250	1410	III

Известно, что касательная сила тяги при постоянных оборотах двигателя (на определенной передаче) не зависит от рельефа. Определив величину коэффициента сопротивления движению на равнине $f = 0,087$ (определяли буксирова-

нием трактора), можем подсчитать касательные силы тяги P_t .

На второй передаче

$$P_t = P_{kp}^0 + Cf_0 = 2200 + 5100 \cdot 0,087 = 2643,7 \text{ кг}$$

На третьей передаче

$$P_t = P_{kp}^0 + Gf_0 = 1800 + 5100 \cdot 0,087 = 2243,7 \text{ кг.}$$

Зная касательные силы тяги и для разных поперечных склонов силы тяги на крюке, можем подсчитать коэффициенты сопротивления трактора перекатыванию

$$f_\beta = \frac{P_t - P_{kp}^0}{G}$$

При этих подсчетах $\cos \beta$ не учитываем, так как до 10—11 градусов его влияние может отразиться только на третье число после запятой.

Результаты подсчетов приведены в таблице:

Поперечный склон	Число оборотов двигателя	Касат. сила тяги	Тяговое усилие на крюке	Коэф. сопр. движ.
0°	1250	2643,7	2200	0,087
10°35'	1250	2643,7	1800	0,165
7°39'	1250	2643,7	1910	0,146
0°	1250	2243,7	1800	0,087
4°6'	1250	2243,7	1600	0,126
11°	1250	2243,7	1410	0,164

На основании этих данных строим диаграмму (фиг. 3).

Данные опыты проводились на стерне и если дальнейшие исследования покажут, что на всех разновидностях почв изменение f следует данной закономерности, тогда не трудно будет вывести эмпирическую формулу для подсчета изменения f .

Зная закон изменения f , не трудно подсчитать полезную силу тяги при работе в поперечном направлении склона:

$$P_{kp}^\beta = P_{kp}^0 - G(f_\beta - f_0).$$

С увеличением бокового крепа увеличивается величина поворачивающего момента и как следствие интенсивность поворачивания трактора. Надо полагать, что наступит такой

предел бокового крена, когда величина поворачивающего момента сравняется с моментом сопротивления почвы **повороту трактора на месте**.

Это условие можно выразить следующим образом:

$$\frac{B}{2} f(Q_1 - Q_2) + \chi_0 G \sin \beta = \frac{\mu GL \cos \beta}{4} \left[1 + \left(\frac{2 X_0}{L} \right)^2 \right].$$

В данном случае нельзя будет двигаться в поперечном направлении склона, не имея постоянно заторможенным разгруженную гусеницу.

Вставляя в данное уравнение значения Q_1 , Q_2 и χ_0 получим:

$$\begin{aligned} \frac{B}{2} f \left(\frac{1}{2} G \cos \beta + \frac{h}{B} G \sin \beta - \frac{1}{2} G \cos \beta + \frac{h}{B} G \sin \beta \right) + \\ + \frac{L}{2\mu} G \frac{\sin^2 \beta}{\cos \beta} = \frac{\mu GL \cos \beta}{4} \left[1 + \frac{\sin^2 \beta}{\mu^2 \cos^2 \beta} \right], \end{aligned}$$

преобразуя окончательно получим

$$\tg \beta = \mu \left[\sqrt{4f^2 \frac{h^2}{L^2} + 1} - 2f \frac{h}{L} \right].$$

Данное рассуждение относится к движению трактора без прицепа. В случае движения с прицепом опасность поворачивания трактора на месте уменьшается, так как в данном случае на трактор действует момент сопротивления повороту созданный прицепным орудием. В этом случае большего внимания заслуживает выявление влияния виляния трактора на полезную работу его, о чем мы уже говорили.

Для улучшения эксплуатационных качеств гусеничного трактора при работе в поперечном направлении склона, необходимо уменьшить влияние поворачивающего момента на трактор или вовсе его нейтрализовать. С этой целью следует трактор снабжать подвижным крюком, чтобы иметь возможность переносить точку прицепа влево или вправо от продольной оси симметрии трактора, исходя из того, работаем ли в верхней или нижней борозде.

Опыты доц. Цицишивили, проведенные с тракторными плугами в поперечном направлении склона подтвердили что такое поперечное перемещение плуга даже желательно с точки зрения технологии пахоты.

Опыты показали, что на поперечных склонах плуг при работе в верхней борозде, (т. е. когда пласт отваливается сверху вниз) лезет в борозду и уменьшается ширина захвата плуга, при работе в нижней борозде (т. е. когда пласт отваливается вверх—в гору) плуг отходит от борозды в поле, чем увеличивает ширину захвата его. По этой причине пахота получается не однообразная.

Таким образом наличие подвижного крюка с одной стороны уменьшит виляние трактора (а иной раз совершенно его устранит) с другой стороны—улучшит качество пахоты.

При тех же опытах выяснилось, что тяговое сопротивление плуга при работе в поперечном направлении склона не остается постоянным, при отваливании пластов вверх и вниз. По данным доц. Цицишвили при глубине пахоты 20 см и ширине захвата 1 м разность тягового сопротивления плуга (верхней и нижней борозды) на каждом градусе доходит до 80 кг. Таким образом на склоне 10° разность тягового сопротивления вверхней и нижней бороздах дойдет до 800 кг. Этот важный фактор, характеризующий работу тракторного агрегата в поперечном направлении склона, должен учитываться, как при эксплоатации существующих тракторов, так и при их проектировании.

პროც. ა. დილებულიძე

პროც. ა. დიდებულიძის სისხლის ურჩავრილი-
ნია მოვაწინებელი

აქ არ შევეხებით წყლის მოძრაობის წინააღმდეგობას მომწვიო-
შებლის თითოეულ ნაწილში და წნევის კარგვას მის შიგნით, რადგა-
ნაც ეს საკითხი მოიპოვება პიღრავლიკის კურსში—წყლის მოძრაო-
ბა მილებში. სპეციალურად წნევის კარგვა მომწვიობებლებში, საქმა-
რისად სრულად არის დამუშავებული ¹⁾

აქ გავარჩევთ მოწყვიმებელს, მისი მოწყვიმების თვისებების თვალსაზრისით, სახელდობრ, შემდეგ ძირითად ელემენტებს:

1. ქავრილის გასროლის სიშორებს;
 2. ქავრილის გამტკერების ხარისხს;
 3. ქავრილის გამოსროლის ქუთხის ცვლას;

1. ჭავრილის გასროლის სიშორე, ანუ გაწვდენის რადიუსი R არის მანძილი მომწვიმებლის კერტიკალური ლერძიდან უკანასკნელი წვეთების დაცვის ადგილამდე. გასროლის სიშორიდან უნდა განვასხვავოთ მოქმედების რადიუსი R, რომელიც უდრის მანძილს მომწვიმებლის ლერძიდან იმ ადგილამდე, სადაც დაცუმული ჭყლის რაოდენობა უდრის დასაშვები ნალექის მინიმუმის hmin პ. პ. ნაბევარს. აქ თუ მორწყვის ნორმა არის h პ. პ. მაშინ ნალექის დასაშვები მინიმუმი იქნება $\frac{h}{\sigma}$, სადაც σ —მიღებული უთანაბრობაა,

$$\text{g. o. } \sigma = \frac{h}{h_{\min}}. \text{ ნახევარი } h_{\min} \text{ აღებულია იმიტომ, რომ, მეზობელი}$$

მომწვიმებლის გადაფარვისას ნალექი გაორკეცდება. ჩვეულებრივ $R = (0,8\text{--}0,95)$ R_0 გასროლის რადიუსი აქამდე. არ არის შესწავლითი საჭიროსად. დღემდე არ არის არც თეორიული და არც ექსპერიმენტული ფორმულა ჰიგრილის გასროლის სიშორის ზუსტად განსაზღვრისათვის.

¹⁾ „Гидроэлектропроект“ Иригационная система на основе дождевателя, для условий Приволжского Юго-Востока, № 123453, 1934 г., Дождевание. Сельхозгиз, № 8. 1936 г. инж. Ф. И. Пикалов; Гидравлика дальнеструйного дождевательного аппарата, Г. Рихтер. Гидравлика трубопровода О. Н. Т. И. 1936 г. № 1632.

გასროლის სიშორე, ანუ რადიუსი დამოკიდებულია შემდეგ
ფაქტორებზე:

- ა) საქშენის ნახერეტის d დიამეტრზე,
- ბ) საქშენის გამოსავალ ნახერეტთან არსებულ H_0 წნევაზე,
- გ) ჭირილის გამოსროლის α კუთხზე, ე. ი. იმ კუთხზე რო-
მელიც არსებობს ჭირილსა და პორიზონტალს შორის
- დ) შედარებით მცირედ — საქშენის ფორმაზე.

ჭირილის გამოსროლის სიშორის განსაზღვრისათვის არსებობს
მთელი რიგი ფორმულები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეიკავს
მთლიანად ყველა ელემენტს, ე. ი. არ არის ცხადი სახით ფორმულა
 $R=f(d, H_0, \alpha)$. საქშენის ფორმა მცირე გაელენას ახდენს და მის
გაელენას შეიძლება ანგარიში გაეწიოს ერთგვარი კოეფიციენტის
შემოტანით.

1. ასევაული ფორმულები

გავარჩიოთ ორი ყველაზე უფრო გაერცელებული ფორმულა,
კონსის ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$R_0 = H_0 \left[\frac{1}{2} \sin 2\alpha + \cos^3 \alpha \cdot \log \frac{1 + \sin \alpha}{\cos \alpha} + 2 \cos \alpha \sqrt{\frac{2}{3}} (1 - \right. \\ \left. - \cos^3 \alpha) \right] \dots \dots \dots \quad (1)$$


ამ ფორმულით მოცემულია გასროლის სიშორე H_0 -ის და α -ის
ფუნქციაში. მასში არ შედის d . თუ ჩავსვამთ H_0 -ისა და α -ის მთელ-
რიგ მნიშვნელობებს, მივიღებთ R_0 -ს შემდეგ მნიშვნელობებს მეტ-
რებში:

ცხრილი

$H_0 =$	$\alpha =$	28°	30°	32°	34°	45°	50°
10		13,70	14,26	14,71	15,14	15,63	15,09
20		27,40	28,52	29,42	30,28	31,26	30,18
40		54,80	57,04	58,84	60,56	62,52	60,36
60		82,20	85,56	88,26	90,84	93,78	90,54
80		109,60	114,08	117,68	121,12	125,04	120,75

ეს ფორმულა არ არის სწორი, რადგანაც გასროლის სიშორე,
როგორც ეს ჩვენმა ცდებმა გვიჩვენა, არ არის H_0 -ს პროპორციული,
არამედ დამოკიდებულია მასზე უფრო რთული ფორმით. კონსის ფორ-
მულით $\alpha=30^\circ$ და $H=80$ მ.

გასროლის სიშორე $R_0 = 114,08$ მ. (იხ. I ცხრილი), რაც ჩვენი
ცდების მიხედვით (იხ. IV ცხრ.) შეესაბამება საქშენის დიამეტრს
 $d = 55 - 57$ მმ. წნევის დროს $H_0 = 60$ მ. $R_0 = 88$ მ., რაც შეესაბამება
მება $d = 55$ მმ. წნევით $H_0 = 40$ მ. $R_0 = 57$ მ. შეესაბამება $d = 325,88$ მმ.
წნევით $H_0 = 20$ მ. $R_0 = 28,5$, რაც ჩვენი ცდით შეესაბამება $d = 17$ მმ.



1 ნახ.

უვილაფერი ეს გვიჩვენებს, რომ კონის ფორმულა არ არის
სწორი და ამიტომ მიუღებელია. დიაგრამებზე (სურ. 1-1) მოცემუ-
ლია მრუდი $R_0 = f(H)$ როცა $\alpha = 32^\circ$ და მე-2 ნახ. მრუდი $R_0 = f(\alpha)$
კონის ფორმულის მიხედვით.

ახლა განვიხილოთ ცუნკერის ფორმულა

$$R_0 = 1,55 H_0 \left(1 - \frac{0,95 H_0}{4,9 + H_0} \right) \cdot V \sqrt{d}$$



სადაც H_0 არის მეტრებში და $d = \text{მმ-ში}$.

არც ეს ფორმულა არის სწორი, რადგანაც, როგორც ჩვენმა ცდებმა გვიჩვენა, გასროლის სიშორე პირდაპირ პროპორციული კი არ არის $V \sqrt{d}$ -ისა, არამედ უფრო რთულ დამოკიდებულებაშია d -სადმი. გარდა ამისა ეს ფორმულა არ იძლევა R_0 -ის დამოკიდებულებას კუთხე α -სადმი. ცუნკერმა მიიღო კუთხე α მუდმივი და 32° -ის ტოლი. თუ ცუნკერის ფორმულით ვისარგებლებთ, მივიღეთ შემდეგ მნიშვნელობებს R_0 -ისათვის:

II ცხრილი

$H=$	$d=$	10	20	30	40	50
10		17,8	25,2	30,9	35,6	39,8
20		22,9	32,4	39,6	45,8	51,2
40		30	12,5	52	60,2	67,2
60		35,4	50,1	61,3	70,7	79
80		40,3	57	69,7	80,5	90

ჩვენ ვხედავთ, რომ ცუნკერის ფორმულის მონაცემები სრულებით არ ეთანხმება კოხის ფორმულის მონაცემებს. ცუნკერი გამოთვლებს აწარმოებდა $\alpha = 32^\circ$ -ისათვის.

კოხის ფორმულის ცხრილში კუთხე 32° -სათვის სულ სხვა მნიშვნელობებია R_0 -ისათვის, ვიდრე ცუნკერის მონაცემები (იხ. 1—2 დიაგრამა).

ამგვარად, არც კოხის და არც ცუნკერის ფორმულები არ ეთანხმება ცდებით მიღებულ მონაცემებს.

განვიხილოთ კიდევ ინტ. ფ. ი. პიკალევის ფორმულა.

ამ ფორმულას აქვს შემდეგი სახის ჰიპერბოლური ფორმა:

$$y = a + \frac{b}{x},$$

სადაც


$$a = 0,42, \quad b = 1000$$

$$y = \frac{R}{H} \quad \text{და} \quad x = \frac{H}{d}$$

აქ d საჭენის ნახვრეტის დიამეტრია მ-ით, R —ჭავრილის გასროლის სიშორე მ-ით, H —წნევა საჭენთან მ-ით.

თუ ამ მნიშვნელობებს ჩაესვამთ, მივიღებთ:

$$\frac{R}{H} = 0,42 + \frac{1000}{\frac{H}{d}}$$



2 ნახ.

ანუ

$$R = \left(0,42 + \frac{1000 \cdot d}{H} \right) H = 0,42H + 1000 \cdot d \quad (3)$$


თუ d -ს გამოვსახავთ არა მეტრებში, არამედ მილიმეტრებში, მაშინ ინუ. ფ. ი. პიკალევის ფორმულა მიიღებს სახეს:


$$R = 0,42H + d \quad (3a)$$

თუ ამ ფორმულით გამოვთვლით R -ის სიდიდეებს, მივიღებთ შემდეგ მონაცემებს:



$H =$	$d =$	10 սս	20 սս	80 սս	40 սս	50 սս
10		14,2	24,2	84,2	44,2	54,2
20		18,4	28,4	38,4	48,4	58,4
40		26,8	36,8	46,8	56,8	66,8
60		35,2	45,2	55,2	65,2	75,2
70		39,4	49,4	59,4	69,4	79,4
80		43,6	53,6	63,6	73,6	83,6





4 ნახ.

როგორც ვხედავთ ფ. ი. პიკალევის ფორმულაც არ არის სრული, ის არ უწევს ანგარიშს კუთხე α -ს გავლენას და სთვლის მას მუდმივს და $\alpha = 32^\circ$ -ის ტოლს (იხ. ღიაგრ. 3 ნახ.).

საზოგადოდ კი ფ. ი. პიკალევის ფორმულის მონაცემები R -სა-თვის გაცილებით უფრო ახლოა ცდებით მიღებულ შედეგებთან, ვიდრე წინა ფორმულები. ამის გარდა ის მეტად მარტივია. საუკეთესო შედეგს პიკალევის ფორმულა ძლიერა 40 მეტრიდან დაწყებული წნევებისათვის, მაგრამ ცდებით მიღებულ შედეგებთან შეუსაბამობა მაინც საკმაოდ დიდია.

როგორც ვიცით ჭავრილის გასროლის სიშორე

$$R_0 = f(H, d, \alpha)$$



და α -ს მცირე მნიშვნელობისათვის დამოკიდებულია კიდევ მიწიდან საქართველოში არსებულ სიმაღლეზე, როგორც ჩვენმა ცდებმა გვიჩვენა, დაწყებული კუთხიდან $\alpha \geq 15^\circ$ საქართველოს მდებარეობის სიმაღლე იმდენად უმნიშვნელო გავლენას ახდენს, რომ საქმარისი სიზუსტით შეიძლება ამ გაელენის უფლება. მოწვეომების დროს არ არის სასურველი 20° -ზე ნაკლები კუთხის აღება, რადგანაც 15° -ზე ნაკლები კუთხის დროს საქართველოს გამოსროლილი წყალი ეცემა მიწას მახვილი კუთხით და ძლიერ ურტყამს მის ზედაპირს. ამიტომ ჩვენ კუთხე α -ს ვუშევთ ზღვრულზედ 15° -ზე ცოტა მეტს.

სახელდობრ ჩვენ მივიღეთ $\alpha_{\min} = 20^\circ$. მთელი რიგი ცდებით, ჩვენ მივიღეთ ჭავრილის გასროლის სიშორები, მკვეთრად კონსტანტი, სხვადასხვადიამეტრიან საქართველში. ცდების მონაცემები მოყვანილია IV ცხრილში.


ამ ცდების შედეგების მიხედვით აგებული იყო მრუდები R -ისა და H -ის დამოკიდებულებისა, სხვადასხვადიამეტრიან საქართველისათვის (იხ. ნახ. 4). ეს მრუდები ჰიპერბოლური ხასიათისაა. ცველაზე უფრო შესაბამისი აღმოჩნდა შემდეგი სახის განტოლება

$$R_0 = \frac{H}{a + xH} \cdot y \quad (4)$$

თუ მივიღებთ კუთხე $\alpha = \text{const}$ და $y = f(\alpha) = 1$, მივიღებთ განტოლებას $R_0 = \frac{H}{a + xH}$.

როცა უკანასკნელ გინტოლებაში განვსაზღვრეთ a და x , ცველა მრუდისათვის მივიღეთ a -სათვის მუდმივი მნიშვნელობები ტოლი $a = 0,42$, ხოლო x -ის მნიშვნელობები საქართველის სხვადასხვა დიამეტრისათვის სხვადასხვაა. მაშინადამ, $x = f(d)$. V ცხრილში მოყვანილია ცდებით მიღებული მნიშვნელობები x -ისა:

	V ცხრილი									
$d =$	7 მმ	10 მმ	15 მმ	20 მმ	25 მმ	30 მმ	35 მმ	40 მმ	45 მმ	50 მმ
$\log. d =$	0,845	1,000	1,176	1,301	1,398	1,477	1,544	1,602	1,653	1,699
$x =$	0,0324	0,0240	0,0169	0,0129	0,0106	0,0090	0,0079	0,0070	0,0063	0,0058
$\log. x =$	1,495	1,620	1,772	1,889	1,945	2,046	2,102	2,155	2,201	2,273



ამ ცხრილის მიხედვით აგებულია დიაგრამა (შე-5 ნახ-ზე $x=f(d)$ და დიაგრამა (6 ნახ.) $\log x=f(\log d)$ უკანასკნელი დიაგრამიდან ჩანს, რომ x არის ფუნქცია ლოგარითმებისა შემდეგი


	7 ss		10 ss		15 ss		20 ss		25 ss		30 ss		35 ss		40 ss		45 ss		50 ss		
	ss20	ss21	ss20	ss21	ss20	ss21	ss20	ss21	ss20	ss21	ss20	ss21	ss20	ss21	ss20	ss21	ss20	ss21	ss20	ss21	
10	12,5	13,4	15,5	15,2	16,8	17,1	17,4	18,2	18,5	19,0	18,8	19,6	19,1	20,0	19,6	20,4	19,7	20,7	19,9	20,9	
20	18,0	18,7	22,2	22,2	27,1	26,6	30,0	29,5	32,0	31,7	33,8	33,3	34,8	34,6	34,9	35,75	35,7	36,6	36,3	37,3	
30	20,9	21,6	26,2	26,3	31,0	32,7	38,2	37,2	41,5	40,7	44,1	43,5	46,8	45,7	48,6	47,7	50,0	49,3	51,0	50,6	
40	22,8	23,3	28,9	29,0	37,5	37,0	43,4	42,8	47,8	47,4	51,7	51,3	55,3	54,4	58,1	57,2	60,4	59,5	62,1	61,4	
50	24,3	24,5	31,7	30,9	40,6	40,0	47,8	46,9	53,3	52,7	57,7	57,5	62,7	61,4	65,6	65,0	68,9	68,0	70,8	70,4	
60	25,8	25,4	33,0	32,2	48,0	42,4	51,2	50,2	57,3	56,8	62,6	62,5	68,1	67,2	71,8	71,4	76,7	75,2	78,5	78,1	
70	27,0	26,0	34,2	33,3	45,1	44,2	54,0	52,9	60,6	60,25	66,9	66,7	72,8	72,0	77,8	77,0	81,9	81,3	85,2	84,7	
80	27,5	26,6	34,7	34,2	46,3	45,8	56,0	55,1	63,2	63,2	70,0	70,2	75,8	76,2	81,8	81,7	86,6	86,6	91,1	90,5	
90	27,8	27,1	35,7	34,9	48,1	47,0	57,5	56,9	65,2	65,5	72,2	73,1	79,8	79,7	86,6	86,7	90,6	91,0	96,6	95,6	
100	—	—	—	—	—	—	—	—	—	67,2	67,6	74,8	75,7	82,4	83,0	89,6	89,25	94,6	95,3	100,0	100,0

სახისა $x = \alpha d^\beta$ ანუ $\log x = \log \alpha + \beta \log d + \alpha$ და β კოეფიციენტის პოვნით ვიღებთ $\alpha = 0,1787$ და $\beta = -0,8776$ და ფუნქცია x ძლებს სახის

0,1787
0,8776

$$x = \frac{\alpha}{d^\beta} = \frac{0,1787}{d^{0,8776}} \quad (5)$$

გამოთვლების გასაადვილებლად x -ის მნიშვნელობების აღება შეიძლება მე-5 დიაგრამიდან, ანდა VI ცხრილიდან, რომელიც მიღებულია მე-(5) განტოლებიდან.



6 ნახ.

VI ცხრილი

$d =$	7	10	15	20	25	30
$\log d =$	0,84510	1,00000	1,17609	1,30103	1,39794	1,47712
$\log x =$	2,5104	2,37452	2,21998	2,11034	2,0929	3,95580
$x =$	0,03239	0,02369	0,01692	0,01289	0,01060	0,009032
$d =$	35	40	45	50	55	60
$\log d =$	1,54407	1,60206	1,65321	1,69897	1,74036	1,77815
$\log x =$	3,89705	3,84615	3,86126	3,76110	3,72478	3,69162
$x =$	0,007885	0,007017	0,006328	0,005769	0,005306	0,004916

როგორც ცხრილიდან ჩანს V ცხრილის გამოთვლილი სიდი-
დები სავსებით ეთანხმება VI ცხრილის მონაცემებს.

პრაქტიკულად სრულიად საქმარისია X-ისათვის დაგემაჟო-
ფილდეთ 4 ნიშნით მძიმეს შემდეგ.

IV ცხრილში შეტანილია R-ის მნიშვნელობები გამოთვლილი
ჩვენი ფორმულით, როგორც ცხრილიდან ჩანს ცდებით და გამოთვლით
მიღებულ R-ის მნიშვნელობებს შორის განსხვავდება არსად არ აღე-
მატება 1 მეტრს, ეს კი არ აღმატება ცდების ცდომილების ფარ-
გლებს.

ფუნქციისათვის, რომელიც გამოხატავს გასროლის სიშორის
დამოკიდებულებას ჭავრილის გამოსროლის კუთხისადმი ე. ი. კუთ-
ხისადმი, რომელიც არსებობს ჭავრილის ლერძა და პორიზონტა-
ლურ სიბრტყეს შორის, ცდებით ჩვენ მივიღეთ შემდეგი საშუალო
მნიშვნელობები $y=f(\alpha)$.

VII ცხრილი

α	0°	5°	10°	15°	20°	30°	32°	34°	40°	45°	50°	60°	70°	80°	90°
y	0,40	0,50	0,60	0,716	0,86	1,00	1,00	1,00	0,96	0,88	0,8	0,60	0,36	0,16	0

აქ y -ის მნიშვნელობებს ვლებულობთ ფარდობიდან $y = \frac{R \alpha}{R \sin \alpha}$.

y -ის ამ მნიშვნელობებს სრულებით აქმაყოფილებს განტოლება
 $y = \sin(K\alpha)$.

აქ თვით K -ც კუთხე α -ს ფუნქციაა. რაკი $K = f(\alpha)$ ამოცხსენით
მივიღეთ $K = 3,26 - 0,014\alpha$ აქედან

$$y = \sin[(3,26 - 0,014\alpha)\alpha] = \sin(3,26\alpha - 0,014\alpha^2). \quad (6)$$


VII ცხრილიდან ჩანს, რომ მაქსიმალურ მნიშვნელობას უ დე-
ბულობს როგორ $\alpha = 32^\circ$ და ეს მაქსიმუმი = I. თუ მე-6 განტოლე-
ბაში ჩაესვამო α -ს მნიშვნელობებს — შემდეგ ცხრილს მივიღებთ:

VIII ცხრილი

$\alpha =$	0°	5°	10°	15°	20°	25°	30°	32°	35°
$y =$	0,00	0,276	0,517	0,716	0,863	0,955	0,996	1,000	0,999

$a =$	34°	40°	45°	50°	60°	70°	80°	90°
$y =$	0,997	0,954	0,880	0,788	0,571	0,350	0,154	0,0

თუ შევადარებთ VII და VIII ქსრილებს, შევამჩნევთ, რომ
მოკიდებული 15° -დან და მის შემდეგ, ცდებით მიღებული y -ის მნი-



შველობები სავსებით ეთანხმება გამოთვლით მიღებულ მნიშვნელობებს. დიდი განსხვავებაა ცდით და გამოთვლით მიღებულ მნიშვნელობებს შორის, 15° -ზე ნაკლები კუთხეებისათვის, აისნება მით, რომ ცდების დროს მომწვიმებლის საქშენი ჩოთავსებული იყო არა

მიწის დონეზე, არამედ მიწიდან 1,5—2 მეტრის სიმაღლეზე. ამიტომ კუთხისათვის $\alpha = 0$ ცდებში ვლებულობთ მამრავლს $\alpha \neq 0$ ხოლო $y = 0,4$. მაგრამ ჩაკი მოწევიმების დროს, ჩვეულებრივ საქართვის მოთავსებულია მიწიდან 1,5—2 მეტრის სიმაღლეზე, პრიტონი ჩინი განტოლება y -სათვის სავსებით მისალებია მოკიდებული 15° -დან და მის ზევით. გარდა ამისა მოწევიმების დროს 15° -ზე ნაკლები კუთხის აღება დაუშვებელია, რადგანაც ჭავრილი ძლიერ ურტყამს ნიადაგს. საქართვის უფრო მაღლა დაყენებისას, მაგალითად უმილო იგრეგატის შემთხვევაში (სიმაღლე 3 მეტრი და მძლავრი მოწევიმებელი), 20° ნაკლები კუთხის აღება არ გვჭირდება იმავე და აგრეთვე კონსტრუქციული მოსახრების გარი. ამის გარდა, როგორც ეს VI ცხრილიდან და $მე-7$ დიაგრამიდან ჩანს, $\alpha = 25^{\circ}$ -მდე დაწევით, მეტად ვამცირებთ ჭავრილის უმაღლეს წერტილს. როცა მოქმედების რადიუსს R ვამცირებთ $4,5^{\circ}/_0$ -ით, რაც სრულებით მისალებია, ჭავრილის უმაღლესი წერტილი დაიწევს პროცენტულად გაცილებით მეტს, ხოლო ჭავრილის სიმაღლის შემცირება ძლიერ ასუსტებს მასზე ჭარის გავლენას. $მე-7$ ნაკლებობა მოცემულია შრუდი $y = f(\alpha)$, შიავი მარცხნივი იძლევა საქართვის სიმაღლის გავლენას, ე. ი. ის აგებულია $მე-7$ ცხრილის მიხედვით. 15° -დან მოკიდებული ორივე შრუდი ერთომეორეს ემთხვევა. ამგვარად, ჩვენ მიერ წამოყენებული ფორმულის სახე ჭავრილის გასროლის სიშორის გამოსათვლელად, საბოლოოდ შემდეგია:

$$R = \frac{H}{0,42 + \frac{0,1787}{d^{0,8776}} H} \cdot \sin(3,26 \alpha + 0,014 \alpha^2)$$

ან გამარტივებით:


$$R = \frac{H}{0,42 + x \cdot H} \cdot y \quad (8)$$

სადაც x და y ვიღებთ ან V და VI ცხრილებიდინ ანდა მე-5 და მე-7 დიაგრამებიდან.

2. ჭავრილის გაპკურება მატულობს სიჩქარის ზრდით, ე. ი. H -ის წნევის ზრდით. ჭავრილის დამსხვერევის საზომად, ოილერის თანახმად, მიღებულია ფარდობა გასროლის R სიშორისა საქართვის არსებულ H წნევაზე ე. ი. $\frac{R}{H}$ ჭავრილის სუსტად გაპკურების დროს, ჩნდება წვიმის მეტად დიდი წვეობი, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს მცნარის ზოგიერთი ნაწილის მექანიკური დაზიანება და ნიადაგის ზედაპირის სტრუქტურის დარღვევა. ამის გარდა სუსტი გაპკურების დროს ჭავრილი გამოდის კომპაქტური და ამიტომ

ვიღებთ წყლის განაწილების დიდ უთანაბრობას, მეტადრე მოსარ-წყავი ფართობის პერიფერიაზე. ჭავრილის ძლიერი გაპკურების დროს კი მივიღებთ წვიმის მეტად მცირე წვეთებს, რომელიც სრუ-ლებით მცირე ქარსაც კი ადგილად გადააქვს. ამიტომ მოწყვების მიზნისათვის აუცილებელია გაპკურების გარკვეული ოპტიმალური ხარისხი. ჭავრილის გაპკურება შეიძლება სამგეარი ხერხით:

1. თვით ჭავრილის შიგნით გრიგალისებრი ძრაობის შექმნით. ამისათვის აკეთებენ სუსტ-კონუსურ საქშენს ცილინდრული და-ბოლოებით. რაც უფრო გრძელია ცილინდრული ნაწილი (გარ-კვეულ ზღვრამდე), მით უფრო ძლიერია ჭავრილის გაპკურება. გაპ-კურების ამ ხერხს აქვს ორი დიდი უარყოფითი მხარე: პირველი ის, რომ ჭავრილის შიგნით გრიგალისებური ძრაობა ხდება მისი ენერ-გიის ხარჯზე, რის გამოც საგრძნობლად ეცემა ჭავრილის გასრო-ლის სიშორე: მეორე ის, რომ ჭავრილი იწყებს გაპკურებას საქშე-ნიდან გამოსვლისთვანავე და აჩენს წინააღმდეგობის დიდ ზედაპირს, რის გამოც ძლიერ ჩქარდება ჭარვილის გაპკურება. ამ დროს თქორი



8 ნახ.

უმთავრესად ნაწილდება შედარებით მცირე ფართობზე. საქშენიდან გარკვეულ მანძილზე ეს განაწილება მკეთრად კლებულობს გასრო-ლის მიმართულების ორივე მხარეზე. წყლის განაწილებას ვლებუ-ლობთ მე-9 ნაკვეთზე ნაჩენები მე-4 მრუდის ანალოგიურს. ყველა ეს მოვლენა იწვევს ჭავრილის გასროლის სიშორის კიდევ მეტად შემცირებას.


2 გაპკურებას მივიღებთ ჭავრილის მხოლოდ ზედაპირზე გრი-გალისებური ძრაობის შექმნით. ამას მივაღწევთ შემდეგნაირად:

1. მკეთრად—კონუსური და არაცილინდრული საქშენის გა-მოყენებით, რის გამოც ჭავრილი გამოდის ჰიდრაულიკურად წმინდა, ე. ი. მის შიგნით არ არის გრიგალისებრი ძრაობა.

2. ჭავრილის სიჩქარის შედარებითი გადიდებით.

3. საქშენის გამოსავალი პირის გამოხარხვით.

დიდი სიჩქარით გამოსროლილი ჭავრილი ხედება ჰაერის შინააღმდეგობას, ჭავრილის ზედაპირის ჰაერზედ ხახუნის გამო მის ზედაპირზე ჩნდება გრიგალისებრი ძრაობა, ამის გამო ჭავრილის მთელ სიგრძეზე ხდება მისი ზედაპირიდან მცირე წვერების მატლათანობითი გამოყოფა. ეს წვერები ეცემა მიწაზე, საკმარისად თანაბარი წვრილი წვემის სახით.



9 ნახ.

ელექტრომოტორი დაუნებულია ჩონჩხებზე (კარკასზე), რომელიც გაკეთებულია კუთხედი რკინისაგან (140×140) და დამოქლონებულია დგარში. ელმოტორის გაშვება ხორციელდება AEГ ფორმის მაგნიტური გამშვების დახმარებით, რომელიც მონტირებულია თუვის ყუთში. მაგნიტურ გამშვებს (220 ვ., 60 ამპ) აქვს მაქსიმალური რელე და ამპერმეტრი. გამშვები რეოსტატი (ფირმა AEГ) მონტირებულია მაგნიტურ გამშვების გეერდით. ელექტროტრაქტორის გამშვებ და მაგნიტურ აპარატურის ხედი მოცემულია № 5 ნახატზედ. აქ „ა“ მაგნიტური გამშვებია; „ა₁“ მისი გამშვები სახელური, „б“ გამშვები რეოსტატი, „б₁“—მისი სახელური. რომ უზრუნველყოფილი იყოს ელექტრომოტორის ბრუნვის მიმართულების შეცვლა მყებავ პუნქტში ფანების გადართვის გარეშე, პროექტი ითვალისწინებს ელექტროტრაქტორზედ დამატებითი გადამრთველს.

7. ელექტროტრაქტორის მართვის ბერკეტები. ელექტროტრაქტორზედ მუშაობის დროს იხმარება მართვის შემდეგი ბერკეტები: ელექტრომოტორის გაშვების დროს მაგნიტურ გაშვების სახელური; გამშვები რეოსტატის სახელური; სატერფული, რომელიც გამოსწევს წამყვანი ხახუნას დისკებს; სიჩქარის ჩამორთვი სახელური, ელექტროტრაქტორის საჭე.

უკანა სვლის დროს—ლენტისებური მუხრუჭის სახელური. ელექტროტრაქტორის მოძრაობის და მისი გაჩერების დროს საჭიროა მართვა სატერფულით, სიჩქარეთა გადართვის ბერკეტით და საჭირო. ი. ი. უფრო იოლად ვიდრე თბოტრაქტორის შემთხვევაში, სადაც დამატებით საჭიროა საწვავი ნარევის და ანთების რეგულირება.

8. ელექტროტრაქტორის შექანიზმების ურთიერთ მოქმედება. ელმოტორის გაშვების და სიჩქარეთა კოლოფის ჩართვისთანავე ელტრაქტორი იწყებს მოძრაობას. ტრაქტორის წამყვან კბილანასთან ერთად მბრუნვავ ლეიდურ გადაცემის ბორბლიდან ბრუნვას იწყებს ფრიქიულ ქუროს გარემი. ქუროს დისკოებით ბრუნვა გადაცემა ძაბელის დოლს კაბელის განსაზღვრულ დაჭიმულობამდე, როცა მისი დაჭიმულობა არ აღემატება ფრიქიულ ქუროს დისკოების შეჭიდულობის ძალებს. ასეთ წონასწორობის მიღწევის დროს დოლი გაჩერება და ფრიქიულ ქუროს დისკოები აბუქსავდება ზეთში. დოლთან ერთად ბრუნვას კაბელდამლაგებელი აპარატიც, რომელიც

დოლთან დაკავშირებულია ჯაჭვური გადაცემით და ან ახევეს და ან შლის კაბელს.

ამგვარად, როცა ელექტროტრაქტორი სასოფლო-სამურნოში შუ-შაობას აწარმოებს — ხან მიუახლოვდება მინდვრის ქსელთან კაბელის მიერთების პუნქტს და ხან სცილდება მას. ამ დროს კაბელი აეტო-მატურად ან ეხევეა დოლზედ სწორი რიგებით და ან იშლება და ლაგდება ელტრაქტორის და მასზე მიბმულ მუშა იარაღის უკან ველზედ.

ფრიქიული დამჭერი ქურო იცავს კაბელის მუდმივ დაჭიმუ-ლობას, რის გამოც კაბელი ლაგდება მიწაზედ ელტრაქტორიდან რა-დაც მანძილზედ ისე, რომ არ ედება არც ტრაქტორს და არც მი-საბმელ იარაღს.

ელექტროტრაქტორის ყველაზედ საპასუხისმგებლო კვანძს წარ-მოადგენს ფრიქიული ქურო და კაბელდამლაგებელი აპარატი, რო-მელნიც უზრუნველყოფენ დოლზედ კაბელის აეტომატურ და სწორ დახვევას და გაშლას და იცავენ კაბელის მუდმივ დაჭიმულობას, რომ კაბელი არ მოხედეს ტრაქტორის თვლების ქვეშ.

9. მინდვრად ელექტროტრაქტორებით მუშაობის ორგანიზა-ციის აღწერა. ელექტროტრაქტორებით მუშაობის ორგანიზაცია ამ საკითხის თეორიული დამუშავების თანახმად („ზაქნიმესხ“-ის მი-ერ) შემდეგნაირი უნდა იყოს: მუშაობა წარმოებს აგრეგატებით, რომელნიც შედგებიან ორ ელექტროტრაქტორისაგან და ტრანს-ფორმატორული ქვესადგურისაგან. ორსებობს მუშაობის ორგანიზა-ციის ორი ვარიანტი. პირველ ვარიანტში აგრეგატი შედგება ორ ელექტროტრაქტორისაგან. ერთ მოძრავ ტრანსფორმატორულ ქვესადგურისაგან (6600/380 ვოლტის ძაბვასთვის) ერთი თბო-ტრაქტორისაგან. მეორე ვარიანტში აგრეგატი შედგება ორი ელექტროტრაქტორისაგან. ერთ მოძრავ ტრანსფორმატორულ ქვესადგურისაგან (იმავე ძაბვისათვის), ორ საკაბელე ურიკასაგან, თი-თოეული 250 მ სიგრძის კაბელით და ერთ საკაბელე ურიკასაგან, მა-ღალ-ვოლტიან 110 მ სიგრძის კაბელით.

დასამუშავებელი ფართობის გასწვრივ გადის განმანაწილებელი მაღალვოლტიანი საპარერო ხაზი 6600 ვოლტის ძაბვით. ამ ხაზიდან პირველ ვარიანტისათვის ყოველ 500 მეტრის შემდეგ განშორებუ-ლია სამინდვრე სამუშაო ხაზები 5 კილომეტრზედ, სვერებს შორის 50 მეტრის მანძილით.

ამგვარად, ელექტროტრაქტორის საქცევის სიგრძე უდრის 500 მ ხოლო სიგანე — 25 მ. ასეთი საქცევის დროს მინიმუმია შეიძლება დაყანილი იქნეს კაბელის თრევა მიწაზედ და მიღწეული იქნეს სტანდარტული მანძილი საპარერო ხაზის სვეტებს შორის (50 მ).

მეორე ვარიანტისათვის დასამუშავებელი უჯრედი წარმოადგენს ოთხეუთხედს 50×1000 მ ე. ი. 5 ჰექტ. ელექტროტრაქტორი იწყებს მუშაობას კაბელმზიდიდან, რომელიც არის სამინდვრებაზე სვეტიდან 250 მ მანძილზედ. კაბელმზიდს ელექტროენერგია გადაეცემა დაბალვოლტიან 250 მ სიგრძის კაბელით.

II. ზომოთოსახეობულ პოლისის საერთო დასავალი

„ფორდზონი“-ს ტიპის ტრაქტორების გამოშვება უკვე დიდია ანია შეწყვეტილია ჩვენი ქარხნების მიერ და ამ ეამად მათი შემოტანაც საზღვარგარეთიდან არ წარმოებს. მეურნეობაში ელტრაქტორი შევიწროებულია აგრეთვე უფრო მძლავრ და სრულქმნილ ტრაქტორებით „სტზ“, „ხტზ“, „ჩტზ“, „სტზ-ნატი“ და სხვათა მიერ. ამიტომ ჩვენ მიერ აღწერილი ელექტროტრაქტორი ფორდზონის ბაზაზედ განიხილება როგორც საცდელი ნიმუში არსებულ ტრაქტორების ბაზაზედ უფრო სრულქმნილ ელტრაქტორის გასაკეთებელი მასალების მოსამზადებლად. ამ მიზნით შეიძლება ისეთი ტრაქტორების გამოყენება, რომელიც, ნაწილების გაცვეთის გამო, ან უმოქმედოდ დგანან მეურნეობაში და ას უნდა გადააღნონ მარტენის ლუმლებში. სწორედ ამ თვალსაზრისით არის გაკეთებული ქვემომოყვანილი დასკვნები:

1. აუცილებელია უფრო გულდასმით და ფრთხილად იქნეს შერჩეული დრეკადი კაბელის კვეთი და გაანგარიშდეს ის არა მარტო ელექტრომოტორის ნომინალურ დენჭედ, არამედ გაუვალისწინებული იქნეს ელექტროტრაქტორის მუშაობის დროს ხშირად განმეორებული დენის პიკები.

კაბელის შემცირებული კვეთი ძირითადად სცვლის ელექტროტრაქტორის მუშაობის რეჟიმს, ამცირებს მის სამუშაო სიჩქარეს და სპობს ასინქრონულ მოტორის ძეირფას თვისებას—გადატვირთვის ატანას ($1,8 - 2$ ნომინალური).

კაბელში ძაბვის დიდი დაცვის შედეგად მოტორი არ ავითარებს ბრუნვის ნომინალურ მომენტსაც კი—როგორც ეს ხდებოდა ელექტროტრაქტორის საცდელ ნიმუშში.

2. კაბელის დოლის გაბარიტები უნდა გაიზარდოს, რომ შესაძლებელი იყოს კაბელის საანგარიშო სიგრძის (275 გ) მოთავსება, რაც აუცილებელია ელექტროტრაქტორის მუშაობის ორგანიზაციის შედეგენილ სქემების თანაბმად.

კაბელის დოლის ზომები გადიდებული უნდა იქნეს იმ ვარიუდით, რომ კაბელი $\text{ПРШТ } 3 \times 10$ მმ² შეცვლილი იქნეს უფრო დიდი ძველის კაბელით, თუ კი ქსელის ძაბვა დარჩება 220 ვოლტი. კაბელის დოლის კონსტრუქციის პრინციპმა გაამართლა იმედები და

შეიძლება მისი გამოყენება შემდგომ კონსტრუქციებში ცალკე-
ულ დეტალების შეცვლით: სპილენძის გარეპირების კაბელის დამაგ-
რება, კაბელის შეცვანა მიღწი და ა. შ.

3. კაბელდამლაგებელ აპარატის მუშაობის პრინციპი სრულიად
გამოსადექია ელექტროტრაქტორის კონსტრუქციაში. დოლზედ კა-
ბელის სწორი დახვევისათვის აუცილებელია შესრულდეს პირობა,
რომ კარეტის სწორხაზობრივი მოძრაობა (ე. ი. კუთხვილი ნაბიჯი-
და აპარატის ლილვის ბრუნვის სიჩქარე) ზუსტად იქნეს შეთანხმე-
ბული დოლის ბრუნვასთან. დოლის ერთ ბრუნვის შესაბამისად კა-
რეტამ უნდა გადაადგილოს კაბელი დოლის დიამეტრის სიგრძეზედ.
საცდელ ნიმუშში ეს პირობა დაცული არ არის. ეს კეთი შერჩეუ-
ლი იყო რადგან ლაბორატორიაში უფრო დიდი კვეთის კაბელი არ
იყო. კაბელდამლაგებელი მოწყობილობა გაანგარიშებული იყო არა-
 3×10 მმ² არამედ 3×16 მმ² კაბელის ზომაზედ.

4. ხახუნის დამჭირი ქურო უზრუნველყოფს კაბელის საჭირო
დაჭიმულობას და ნებას იძლევა ფართო სახლვრებში ვაწარმოთ-
დაჭიმულობის რეგულირება. გამოცდის დროს ხანგრძლივ მუშაობი-
სათვის მისი მოქცევა გახურების თვალსაზრისით მთლიანად ვერ იქ-
ნა გამორკეცული. კუნსტრუქციის სიმარტივის და კომპაქტობის-
თვალსაზრისით ქურო მთლიანად ვარგისია ელექტროტრაქტორებზედ,
ეკონომიურია და თხოვულობს უმნიშვნელო სიმძლავრეს (600 ვატი).

დამჭირი ქუროს ლვედური ამძრავი სამუშაოდ გამოუსადეგარია;
ის უნდა შეიცვალოს ჯაჭვური გადაცემით, რომელიც გარცმით უნდა
იყოს დაცული.

5. ელექტროტრაქტორის კონსტრუქცია უკანა სვლის დროს
არა დამაკაციულფილებულად მუშაობს. ამ დროს ფრიქციული ქურო-
შლის კაბელს და არ ჰქმნის არავითორ დაჭიმულობას, რის გამოც-
კაბელის ხეიები სუსტდება და თვით კაბელი ფუჭდება ანძაში ხახუ-
ნის გამო.

აუცილებელია მოფიქრებული იქნეს კონსტრუქცია ისე, რომ
ქუროს შეეძლოს კაბელის გაჭირვა ელტრაქტორის სელაზე დამოუკი-
დებლად. ელტრაქტორის უკანა სვლის დროს დოლის დამუხრუჭები-
სათვის გათვალისწინებული ლენტისებური მუხრუჭი ცუდად მუშა-
ობდა. ეს უარყოფითი მხარეები აცილებელია მეორე ვარიანტში.

6. ანძის კონსტრუქცია და მისი თავი მიმღები ბლოკით საკმა-
ოდ მკრივია და გამოცდების დროს კარგად მუშაობდა.

ელტრაქტორის მდგრადობის გაუარესება არ ხდებოდა.

7. დასამუშავებელი უმნის საქცევის სიგანე არ უნდა აღემატე-
ბოდეს 40 მეტრს, რადგან თორეულ კაბელის წინააღმდეგობა დიდი
ხდება და დამჭირი ქურო ვერ დასძლევს მას.

8. ელტრაქტორზედ მუშაობა ისე უნდა იყოს ორგანიზებული რომ აცილებული იქნეს საქცევის მოლოს ელტრაქტორის, მხოლოდ ერთი მხრით მობრუნება, რადგან ეს იწვევს კაბელის დაგრეხვას და მის გაფუჭებას. აუცილებელია ტრაქტორის მობრუნებათა თანამიმდევრობა ხან ერთ და ხან მეორე მხარეზე.

9. ელექტროტრაქტორის მუშაობაზე დაკვირვებამ გამოარკვია რომ ელექტროტრაქტორის მიერ გავლილი გზა ფრიქუინის ან ელექტრომოტორის გამორთვის შემდეგ პრაქტიკულად ნულს უდრის.

10. ელტრაქტორის კონსტრუქციის და მუშაობის უნარიანობის შეფასების შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა.

ა) ელტრაქტორის კონსტრუქცია უზრუნველყოფს ტრაქტორის დოლზედ კაბელის სწორ დახვევას და გაშლას. ეს წარმოადგენს მთავარ პირობის შესრულებას, რომ მომარაგებული იყოს დენით ელექტრომოტორი მოძრავ შექანიშხვედ.

ბ) წინხედვის ელექტროტრაქტორი არ უშლის, რის გამოც მისი მართვა არ წარმოადგენს სიძნელეს. ელექტროტრაქტორის მომსახურეობა გაცილებით მაღრიცვია ვიდრე თბოტრაქტორის და მასზედ შეუძლიათ მუშაობა უფრო დაბალ კვალიტიკაციის ტრაქტორისტებს თბოტრაქტორთან შედარებით.

გ) ელექტროტრაქტორი ხასიათდება დიდი ეკონომიურობით და ერთი ჰექტას დამუშავებაზედ ხარჯავს 51—54 კვტ-ს, რაც ენერგიის ლირებულების 5 კაპ კვტ-ს, მობრუნებებზედ ენერგიის ხარჯის 20%, გაზრდის და უქმ გადასვლების გათვალისწინებით შეადგენს 3—3,10 მან. ერთ ჰექტარზედ. თბოტრაქტორისათვის ეს ხარჯი უდრის დაახლოებით 20 მანეთს.

დ) გამოკლილ ელტრაქტორის დოლზედ დახვეულ კაბელის სიგრძე 3×10 მმ² კვეთის დროსაც კი ნებას იძლევა დამუშავდეს 500—600 მ სიგრძის საქცევები. კაბელის სიგრძის და კვეთის გაზრდა გამოიწვევს კაბელის დოლის ზომების გაზრდას და ამით ხელს შეუშლის ტრაქტორის მართვას თვალზედვის გაუარესების გამო.

ე) რომ გამოვარკვიოთ სამეურნეო პირობებში აღებულ კონსტრუქციის ელტრაქტორების გამოყენების რენტაბელობა, აუცილებელია ამ საკითხის დამატებითი თეორიული დამუშავება მუშაობის ორგანიზაციის საკითხში (დამუშავებულ უჯრედის ზომები, საქცევის სიგრძე, მწარმოებლობა და ა. შ.) და გამორკვეულ იქნეს თუ რამდენად აქმაყოფილებს ის აგროტექნიკურ მოთხოვნილებებს.

ვ) თეორიულ დასკვნების შესამოწმებლად და ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტილისათვის აუცილებელია ელექტროტრაქტორების მუშაობის ორგანიზაცია, ხანგრძლივ სამინდვრე პირობებში, იგრეგატის სახით ამა თუ იმ შეთანაწყობაში ერთერთ ელექტროფიცირებულ საბჭოთა მეურნეობაში ან მტს-ში.

ელექტროტრანსპორტი—2

პროც. პ. ფიზიკურის და უც. მეც. მუზ. პ. მანევლის
სისტემის.

1. კონსტრუქციის აღწერა

ელექტრო-ტრაქტორი აგებულია ტრაქტორ „კატერპილერ—20“ ბაზაზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხოლტის ქარხნის ძეგლ 1926—1928 წწ. გამოშვების მოდელს, რომელიც შემდგომ წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა.

თბოტრაქტორიდან მოხსნილ და ელექტროტრაქტორზედ დაუწევებულ ნაწილების წონები მოყვანილია № 3 ცხრილში.

თბოტრაქტორიდან მოხსნილი და ელექტროტრაქტორზედ დაუწევებულ ნაწილების წონები.

№ 3 ცხრილი

თბოტრაქტორი			ელექტროტრაქტორი		
ნაიდული	ნაწილების დასახელება	რიცხვი	ნაიდული	ნაწილების დასახელება	რიცხვი
1	თბოტრავა 25 ც. ძ. კარბუ- რატორით და მქნევარით	400	1	ანძა	138
2	მანქეტო	10	2	კაბელის დოლი ამზრავით	82
3	რაფიატორი წყლით და ვენტილატორით . . .	80	3	კაბელი 3X25 მმ ² —85 მეტ.	128
4	აერები ნავთით და ბენზი- ნით	110	4	კაბელდამუგებელი აპა- რატი ამზრავით . . .	29
5	ჰაერის მწმენდი ზეთით . .	14	5	ელექტრომოტორი გამ- შეებ და დამცავ აპარა- ტურით	270
6	შასი, მუხლუხები და ა. შ.	1736	6	ელმოტორის შემაგრება .	72
			7	შასი, მუხლუხები და ა. შ. .	1736
მოხსნილ ნაწილების წონა ტრაქტორის მოლიანი წონა			ტრაქტორის მოლიანი წონა უკაბელოდ . . .	2327	
		614			
		2350			

№ 3 ცხრილი შედგენილია საორიენტაციოდ რადგან ლიტე-
რატურაში თითქმის არ არის ელექტროტრაქტორის-2 მოდელი-
სათვის გამოყენებულ მუხლუხა ტრაქტორის მონაცემები.

თბოტრაქტორის და ელტრაქტორის შედარებითი ტექნიკური
მონაცემები მოყვანილია № 4 ცხრილში.

თბილის და ელტრაქტორის შედარებითი
ტექნიკური მონაცემები

№ 4 ცენტრი



№ № რიგზე	ტექნიკური მონაცემები	თბილის ტორი	ელტრაქტორი
1	ძრავის სიმძლავრე ც. ძ.	25	28 (20,5 კტ)
2	ძრავის ბრუნვის რაცხვი წუთში . . .	950	1450
3	მთლიანი წონა კგ	1850	2330 უპაბელოდ
4	I-ლი სიჩქარე კტ/ს	3,6	5,50
5	II-ე „ „	5,0	7,62
6	III-ე „ „	8,7	13,3
7	უკანა სიჩქარე	4,03	6,15
8	გაბარატოლი ზომები:		
	ა) სიგრძე მმ	2750	3100
	ბ) სიგანე „	1320	1320
	გ) სიმაღლე „	1340	2730
	დ) მანძილი ტრაქტორის უდაბლეს წერტილამდე	—	—

ელექტროტრაქტორის საერთო ხედი მოცემულია № 6—№ 9 ნახატზედ, ხოლო მისი ცალკეული კვანძები წარმოდგენილია № 10—12 ნახატზე.


ელექტროტრაქტორის ცალკეულ კვანძების აღჭრა

1. დრეკადი კაბელი. დრეკად კაბელად ელექტროტრაქტორზე 2 გამოყენებული იყო პრიმიტივულად ნაკეთები კაბელი, ოომელიც დამზადებული იქნა ПРГН 25 მმ მავთულის სამი ძარღვისაგან. ზემოდან მას შემოკერილი ჰქონდა ბრეზენტის პერანგი. გამოცდის მომენტისათვის კაბელი ძლიერ გაცვეთილი იყო (იხ. № 10 ნახატი). მისი ბრეზენტის პერანგი დაიჩინჩა და ბევრ ადგილას დაიხა.

ПРГН მავთულის იზოლაციაც ბევრ ადგილას გაფუძებული იყო და ასეთივე კვეთის მეონე კაბელის უქონლობის გამო მისი შეცვლა ახლით კერ მოხერხდა. კაბელს აქვს შემდეგი მონაცემები: სიგრძე—85 მ, საშუალო $d=19$ მმ, წონა ერთი მეტრის უდრის 1,5 კგ.

მისი სიგრძე ვერ უზრუნველყოფა ელტრაქტორის მუშაობას 100 მ სიგრძის საქცევზედ. ამიტომ გამოცდების დროს კაბელზე მიმარებული იყო 50 მმ² კვეთის და 43 მ სიგრძის ალუმინიუმის გამტარი, რითაც მთლიანი სიგრძე გახდა 128 მ.


2. კაბელის ანძა მოჩანს № 6—8 ნახატზედ ხოლო უფრო დიდ მასშტაბში მისი ისარი გადალებულია № 11 ნახატზე, ელექტროტრანსტორის კონსტურქციი დამუშავებულია ხენისათვის დარიგ-თაშორის მუშაობისათვის. ამიტომ მისი ანძა სრულიად განსხვავდება ელექტროტრანსტორ-ფორდზონის ანძისაგან.



6 ნახ.


ანძა შედგება წონწინალიან ისრისაგან, რომელიც თავისუფ-ლად ბრუნავს გორგოლაპიან სახსარზე, მთელ წრეხაზზედ. ის შეიძლება ჩაიკეტოს განსაზღვრულ მდგომარეობაში და დააწყოს კაბელი ელტრანსტორის გვერდით ან უკან. ანძის ისარი მთავრდება მიმღებ გორგოლაპების სისტემით (ანძის თავი), რომელიც შედგება ერთ ჰორიზონტალურ და 10 ვერტიკალურ გორგოლაპებისაგან (5 მარჯ-ვნივ და 5 მარცხნივ) (იხ. №№ 6 და 11 ნაბ.). გორგოლაპები ხისაა; $d = 60$ მმ და სიგრძე—ჰორიზონტალურისათვის 380 მმ, ვერტიკა-ლურისათვის—320 მმ. ამ გორგოლაპების დანიშნულებაა რომ ხელი შეუშალონ კაბელის შეკეთო მოლუნვას ისრის მდგომარეობის და-მოკიდებულებით.

ანძის თავის გვერდით მოთავსებულია მიმმართველი ხის ბლო-კი ($d_2 = 320$ მმ, სიგანე $B = 60$ მმ), რომლის ჩანალრმავები კაბე-ლისათვის უდრის 40 მმ.



7 ნახ.

ბლოკი (1) გავლის შემდეგ კაბელი გადადის ბლოკშე (2) რომელიც მოთავსებულია ისრის სახსრის გვერდით და დამზადებულია ისეთივე ზომებით როგორც ბლოკი (1) ხისგან. ამის შემდეგ კაბელი გადის მილში (3) $d = 200$ მმ რომელიც წარმოადგენს ანძის ისრის სახსრის ღერძს. შემდეგ კაბელი გადადის კაბელმგები აპარატის ბლოკშედ (4) (10 ნახ.) და ეწყობა რიგებად დოლზედ. ისრის კუდზედ დამაგრებულია თუნუქის ყუთი $470 \times 260 \times 210$ მმ (7 ნახ., რიცხვი 5), რომელიც გაესტულია რკინის ნაჭრებით და გამოყენებას მისა დაგენერირებისათვის.




გ ნახ.

ბულია როგორც ისრის ჭონწინალი. ისარი გაკეთებულია სივრცე-
ული ფერმის სახით, დამოქალანებულია 25×25 მმ კუთხედი რკი-
ნისაგან და შეკრულია 8×25 მმ ზოლიან რკინის განივი წევებით.

ისრის სახსარი შემდეგნაირადაა აგებული.

მილზედ (3) გორავს 8 გორგოლაჭი (6) (იხ. № 6 ნახ.) 24 მმ
დაიამეტრით და 200 მმ სიგრძით, რომელიც ჩადგმულია ორ რგოლ-
ში. ეს უკანასკნელნი ასრულებენ საკისარების როლს და დამაგ-
რებულნი არიან ისრის ფერმის ზედა და ქვედა ნაშილში.

გარდა ამისა ისარს ქვემოთ აქვს საყრდენი გორგოლაჭოვანი. საკისარი საკმაო სიმაგრის და ისარი თავისუფლად ბრუნავს გარშემო. ისრის ქვემოთ ანძის ჩონჩხედზედ დამაგრებულია 480 მმ დიამეტრის რეოლი (7) 20×60 მმ ზოლიან რკინისაგან, რომლის საშუალებით ანძის ისარი იკეტება საჭირო მღვომარეობაში. ანძის ჩონჩხედი (8) ერთდროულად გამოყენებულია როგორც კრონშტეინი კაბელის დოლისათვის, მისი ამძრავისა და კაბელისამლაგებელი აპარატისათვის. ის გაკეთებულია 50×50 მმ კუთხედი რკინისაგან.




9 სახ.

3. კაბელდამლაგებელი აპარატი ნაჩენებია 10 ნახატზედ მისი კონსტრუქცია და მუშაობის პრინციპი ისეთივეა როგორც ელ-ტრაქტორ-ფორდზონში. კაბელდამლაგებელი აპარატი შეუდება ფოლადის ლილვისგან (9) $d = 40$ მმ, რომელზედაც 470 მმ მანძილზედ მოჭრილია მართულთხიანი შექცეული კუთხვილი.

კუთხვილზე მოძრაობს კარეტა (10) მიმმართველი გორგოლაჭით (4). კარეტის გადახრის და კუთხვილში მისი თითების გაჭედვის ასაკილებლად მას აქვს შეიძროდ მიერთვებული წამყვანი (11) რომელიც მთავრდება გორგოლაჭით და მოძრაობს მიმმართველ პარალელურ თამასებში (12), რომელიც გაკეთებულია კუთხედ რკინისაგან და დამაგრებულია ანძის ფეხებს შორის.

შიშმართველი ლითონის გორგოლაჭი თავისუფლად ბრუნავს ქარეტაზედ. მისი დიამეტრი $d=280$ მმ, სიგანე $B=40$ მმ კაბელი-სათვის ლარის სილირმე—45 მმ.

მიმდინარეობის დროის განვითარება




10 ნახ.

ქვემოთ გორგოლაჭი თითქმის მეტიდროდ მიღის თუნუქის გარც-
შთან, რომელიც ხურავს ელმოტორს და სტოვებს რამოდენიმე მილი-
ცეტრის ღრეჩის.

აპარატის ამოძრავება ხდება ჯაჭვით (14), (საამისოდ გამოყენე-
ბული იყო თვითმკვრელის მანქანის ჯაჭვი) მისი ნაბიჯი $t=28$ მმ.
დიდი გარსკვლავა (13) ($Z=21$) ზის მის ღერძზე; პატარა გარსკვ-
ლავა დასმულია დოლის ღერძზედ (მისი კბილთა რიცხვი $Z=10$).

კაბელდამლაგებელი აპარატის ამძრავი ცხადად ჩანს № 12 ნა-
ზატზედ, სადაც პატარა გარსკვლავას ეფარება ფრიქციული დამჭიმი
ქურო.

4. კაბელის დოლის ზომები: შიგა ღიამეტრი რომელზედაც
ეგება კაბელის პირველი რიგი $d = 670$ მმ; გარეგანი $D = 970$ მმ. გაძინ-
ლი გარეპირება—შორის—494 მმ. დოლის ლერძად გამოყენებულია კა-
გაზის მილი $d = 48$ მმ, რომელიც ბრუნავს თითბრის საღებებიან
საკისარებში. საკისარების გარეგანი შერიდან ლერძედ დამაგრებუ-
ლია დამჭერი რგოლები, რომელთაგან ერთს აქვს 10 კბილი და გა-




11 ნახ.

მოყენებულია, როგორც პატარა გარსკვლავა კაბელდამლაგებელი აპა-
რატის ამძრავისათვის. დოლის ლერძის მარცხენა ბოლოზედ დამაგრე-
ბულია მცურავ დენამლების სამი სპილენძის რგოლი (იხ. №№ 6 და 7
ნახ.). ჯაგრის მჭერები და ჯაგრისები დამაგრებულია დოლის კრონ-
შტეინშე სპეციალურ პატარა ბრჯენების საშუალებით. კაბელის ფო-
ლის ზომები იტებს: პრიმიტიულად ნაკეთებ კაბელს (ПРГН 25 მმ²
მავთულისგან $d = 19$ მმ), რიგში 26 ხვით და 8 რიგს რადიუსის გას-
წვრილ, რაც შეადგენს საერთო სიგრძეს 560 მეტრს ან ПРШТ ტიპის
კაბელს 3×25 მმ² $d = 33$ მმ რიგში 15 ხვიას, რადიუსის მიხედვით
4—5 რიგს ე. ი. 150—190 მეტრს. ელექტროტრაქტორის მარჯვენა

მხარეზედ დოლის ლერძის ბოლოზედ დასმულია ფრიქციულ დამჭირი
ქრისტის მიღსაყი.

ისრაელის
სახელმწიფო



12 ხას.

5. ფრიქციული დამჭირი ქურო და დოლის ამძრავი [იხ. ნახ. № 12 (17)].

მისი კონსტრუქცია არ განსხვავდება ელტრაქტორ-ფორდ-ზონის კონსტრუქციისაგან. დოლის ლერძეზედ დამაგრებული ქუროს მიღისა შეერთებულია გარუმთან 9 წყვილ ლითონის დისკოთი, რომელიც მოთავსებულია ზეთში ან ზეთის და ნაეთის ნარევში. დისკოების დაჭრის ხარისხის რეგულირება ხდება ექვსი ჭანვიკით. ქუროს აუჭვური ამძრავის ვარსკვლავა ($Z=16$) უერთდება ქუროს გარუმს განსაკუთრებულ მოწყობილობის—რედუქტორის საშუალე-ბით, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს დოლის ერთი მხრისკენ ბრუნვა ელტრაქტორის წინა ან უკანა სელაზე დამოუკიდებლივ. რედუქტორის მუშაობის პრინციპი, ცხადია, № 9 ნახატზედ ნაჩვენებ სქემიდან. კბილანა „A“, რომელიც წარმოადგენს კბილებიან ბრინჯაოს ფერსოს, დამაგრებულია ფრიქციულ ქუროს გარუმზედ. ბრინჯაოს კბილანა „B“ (იხ. № 7 ნახ.) დასმულია ცალკე ლერძეზედ და მოდებაშია „A“ კბილანასთან. ვარსკვლავებთან ისინი შეერ-

თებული არიან სოლისებურ გორგოლაჭების სისტემით. (საში სეჭ-
ტორი; თითოეულ სექტორში 4 ცალი გორგოლაჭი (იხ. სქემა № 9)
გორგოლაჭები ა, ნ, ვ, რ). გორგოლაჭების დიამეტრი: $d_1=16\text{mm}$
 $d_2=12$; მმ $d_3=11$ მმ $d_4=8$ მმ. ისინი ნებას იძლევიან ვაპრუნოთ კბი-
ლანა მიღსაყთან „C“ ერთად მხოლოდ ერთი მხრით: „A“ კბილანი-
სათვის საათის ისრის საწინააღმდეგოდ ხოლო „B“ კბილანისთვის—
საათის ისრის მიმართულებით. ამ დროს გორგოლაჭები ჩასოლავენ
კბილანას მიღსაყთან, რომელიც მაგრად შეერთებულია ვარსკვლავების-
თან. კბილანის „A“ საათის ისრის მიმართულებით ბრუნების დროს
(ან მისი მიღსაყის საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით
ბრუნების დროს) არავითარი ჩასოლვა არ ხდება, მიღსაყი თავისუფ-
ლად ბრუნავს გორგოლაჭებზე და არ არის შეერთებული „A“ კბი-
ლანასთან.

ამგვარად თუ კბილანების „A“ და „B“ ვარსკვლავებზე ჩამო-
ვაცვამთ ერთ საერთო ჯაჭვს ((18) იხ. № 12 ნახ.) და ავამოძრავებთ
მათ მესამე ვარსკვლავებისთან მაგალითად საათის ისრის მიმართულებით
(ეს შემთხვევა შეესაბამება ელტრაქტორის წინა სელის), გაშინ „A“
კბილანის ვარსკვლავა თავისუფლად იბრუნებს ხოლო „B“ კბილანის
ვარსკვლავა ჩაისოლება მიღსაყით კბილანასთან და ააბრუნებს მას
იმავე მიმართულებით.

თუ „B“ კბილანის ჩერთავთ ფრიქციულ ქუროს ვარტმზედ და-
მაგრებულ „A“ კბილანასთან—ეს უკანასკნელი დაბრუნდება საათის
ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. ფრიქციულ ქუროს ვარტმი
დისკოების ჩართვით დააბრუნება დოლს და დაახვევს კაბელს იმ
მომენტამდე სანამ მისი დაჭიმულება არ აღემატება დისკოების მო-
დების ძალას. ამის შემდეგ დისკოები იბუქსავდება და დოლი ან ვა-
ჩერდება და ან უკუმიმართულებით დაბრუნდება, რითაც გაშლის
კაბელს.

ელტრაქტორის უკანა სელის დროს ჯაჭვი აბრუნებს კბილა-
ნების ვარსკვლავებს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.
ამ დროს ჩაისოლება „A“ კბილანა, რომელიც იმავე მიმართულებით
იბრუნებს ხოლო კბილანა „B“ თავისუფლად იბრუნებს გორგოლა-
ჭებზე.

როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში ელტრაქტორის წინა და
უკანა სელის დროს—კბილანას, „A“ და, მაშასადამე, ფრიქციულ
ქუროს ვარტმს აქვს ბრუნების ერთი მიმართულება—საათის ისრის
საწინააღმდეგოდ, რითაც უზრუნველყოფილია კაბელის მუდმივი და-
ჭიმულობა ელტრაქტორის სელაზე დამოუკიდებლად. № 12 ნახატ-
ზე მოჩანს დოლის ამძრავი. მუხლუხი ტრაქტორის მარჯვენა წამყვან
კბილანაზე დამაგრებულია ვარსკვლავა (19) Z=16. ის ჯაჭვით (21)

შეერთებულია მეორე კბილანასთან (20) $Z=8$, რომელიც შუალედ ტრანსმისიის ღერძზე ზის.

ღერძის მეორე ბოლოზე მუხლუხას უკან დამაგრებულია საკუთრივი თივე კბილანი $Z=8$. ჯაჭვით (18) ის შეერთებულია ფრიქციული ქურის რედუქტორის ვარსკვლავისთან. 33 და 34 ციფრებით აღნიშნულია ჯაჭვის მიმმართველი გორგოლაჭები. კბილანები და ჯაჭვი აღებულია თივის მკერელიდან.

6. ელექტრომოტორი და გამშვები და დამცავი აპარატურა. ელექტრომოტორი ლია ტიპისაა, რგოლებითურთ, ტიპი $T-1500$, $20,5$ კვტ $\Delta 2203$ ვ.; 68 ამპ. $Cos\varphi=0,88$; $n=1450$ ბრ/წ. ის დაყენებულია ჩარჩოზე (22) (იხ. № 7 ნახატი), რომელიც დამაგრებულია ტრაქტორის შასის წინა განივ რესორზედ და სიჩქარეთა კოლოფის გარცმის ტანჩედ. ზევიდან და გვერდებზე მოტორი დაფარულია თუნექისგან გაკეთებულ გარცმით. ლილვზე ზის მილტუჩი თითებით, რომელთა დახმარებით ის შეერთებულია წამყვან ფრიქციული ქუროს დისკოსთან.

გამშვები რეოსტატი $TM-3$ ტიპის (3,2) მოჩანს № 6 და № 12 ნახატებზე (აღნიშნულია 32 რიცხვით). ელექტროლდაფა დაბაგრებულია ტრაქტორისტის წინ ანძაზედ. ის შედგება ხის ჩინჩხედისა-გან (24 № 8 ნახ.) რომელზედაც დაყენებულია: ამპერმეტრი — $0-150A$ (25), გადამრთველი (26) ელმოტორის, ბრუნვის გამოსაცელელად, გამშვები დენცენტო (27) და ღონბადი დამცველები (28), რომელიც გაწყობილია მარმალილოს დაფაზე და გარედან დაცულია გარცმით.

დოლის მცურავ დენამლების დაფასთან შემაერთებელი გამტარები მოთავსებულია სპილენძის მილებში. დაფილან ულექტრომოტორზედ და გამშვებ რეოსტატზედ შეერთება შესრულებულია ელექტრომოტორის გარცმის ქვეშ დაფარულ ებონიტის მილებში.

7. ელტრაქტორ—2-ის შართვის ბერკეტები: დენცენტო (27) ელმოტორის გაშვებისათვის გამორთულ სიჩქარეთა კოლოფის დროს თუ ელმოტორი უკუმიმართულებით ბრუნავს; გადამრთველი (26); გამშვებ რეოსტატის შტურვალი 23; სახელური ელმოტორის ჯაგრისების ასაწევად; საჭიროა ელტრაქტორიდან ჩამოსელა რაღვან ის მის ცხვირზედ არის (7 ნახ.).

მოტორის გაშვება სრულდება გამორთულ სიჩქარეთა კოლოფის ე. ი. უძრავ ელტრაქტორის დროს. მართვის ბერკეტები ელტრაქტორის მოძრაობის და გაჩერების დროს: სატერფულო 30 (ნახ. № 6); სიჩქარეთა ჩართვის ბერკეტი 31, ორი სატერფული ტრაქ-

ტორისტის მარჯვენა მხრისკენ ელექტროტრაქტორის მკერრი გრ-
ბრუნებისთვის, 2 ხელის ბერკეტი (33) — (№ 6 ნახ.) ტრაქტორის
მდორული ბობრუნებისათვის.

საბუღალტო მუზეუმი

8. ელტრაქტორის შექანიშების საერთო ურთიერთშოქმედება

ტრაქტორის მუხლუხები, სიჩქარეთა კოლოფი, წამყვან ხახუ-
ნას შერთვა-გამორთვა და ტრაქტორის მობრუნების ბერკეტები უც-
ვლელად დარჩნენ, და მათი მუშაობა ელტრაქტორში ისეთივეა, რო-
გორც თბოტრაქტორში. მუხლუხის მარჯვენა წამყვან ვარსკვლავის
ბრუნვის დროს (ტრაქტორი მოძრაობს) ჯაჭვით ამოძრავდება დამ-
კიმ ხახუნა ქუროს გარცხი. გარცმის დისკოებით ბრუნვა გადაეცემა
დოლს, რომელიც ავტომატურად დახვევა მინდორზედ მდებარე კა-
ბელს, როდესაც ელტრაქტორი მიუახლოვდება შერთვის პუნქტს.
დოლი ბრუნავს უკულმა და ქურო ბუქსაობს მაშინ, როდესაც ელტ-
რაქტორი სცილდება კაბელის შერთვის პუნქტს და კაბელი წვება
მინდორზედ. ელტრაქტორის პირდაპირ და უკუსვლანედ კაბელის
დაკიმულობის რეგულირება ხდება ფრიქციული ქუროს ექსი ჰანკი-
კით, რომელიც ერთმანეთშედ აქერენ დისკოებს. დოლზედ კაბელის
დახვევის სიჩქარე მეტია ტრაქტორის სიჩქარეზედ, რის გამოც კა-
ბელი ყოველთვის დაკიმულია და მოცილებულია მიწას, ტრაქტორი-
დან არმოცენიმე მეტრის დაცილებით. ანტის დაუმაგრებელი ისარი
მიმართულია კაბელის დაჭიმების მხრისაერთ და თუ ის განსაზღვრულ
მდგომარეობაში დამაკრდება ის მთახდებს კაბელის დახვევას ან გაშ-
ლას ტრაქტორის რომელიშე მხარეზედ.

კაბელის დამლაგებელი აპარატი უზრუნველყოფს დოლზედ კა-
ბელის ავტომატურ დახვევის სწორი როგორის ხახით.

მინდერად მომუშავე ტრაქტორი მუდმივად ხან უახლოვდება
კაბელის მიერთების პუნქტს და ხან შორიდება მას. ამ დროს კაბელი
ან იშლება დოლიდან და წვება მინდორზედ ან ავტომატურად ეხ-
ვევა დოლზედ. ინდივიდუალური კეცის ელექტროტრაქტორებით მუშაო-
ბის ორგანიზაცია სამინცვრე მუშაობისათვის აღწერილია ელტრაქ-
ტორ-ფორდონის განხილვის დროს. რიგთაშორისი მუშაობის ორ-
განიზაცია დამუშავებული არ არის.

II. გამოცდის პირობების აღწერა

უქმ სვლაზედ ელექტროტრაქტორის გამოყელევა და მისი
კონსტრუქციული თვისებების გამოვლინება ხდებოდა ქალ. თბილის-
ში ვაკეს არიონში, 3-წლიან ბუდობის უბანზედ. მკედავ კაბელის სი-
გრძე საშუალებას იძლეოდა გამოცდა ჩატარებულიყო 80 მ სიგრძის
და 40—50 მ სიგანის საქცევზედ.

220 გ ძაბვის საპარტო ხაზის მცირე კვეთის და ნიაღავის სიმუშ-
რის (გუთანი არ ლრმავდებოდა) გამო დატვირთვის ქვეშ ტრაქტორის
გამოცდა გადატანილი იყო მეორე უბანზედ რომლის ნაწილი მოხსნული
იყო 1935 წლის შემოდგომაზედ, ხოლო ნაშილი მიმდინარე წლის
გაზაფხულზედ (გამოცდამდე ერთი თვით ადრე).

ელექტროტრაქტორი იტვირთებოდა „როსტსელმაში“-ს ოთხ-
ტანიანი გუთნით, რომელსაც ორი ტანი მოხსნილი ჰქონდა. ელექ-
ტროტრაქტორის მოტორის მთლიანი სიმძლავრით დატვირთვისათვის
ხვნა წარმოებდა 30 სმ სიღრმეზედ (ტანის სიგანე—30 სმ).

ტრაქტორის გამოცდა ხდებოდა დატვირთვის ქვეშ მხოლოდ
პირველ სიჩქარეზედ, რომლის სიდიდე ელმოტორის გაზრდილი სი-
ჩქარის გამო მეტი იყო ვიზუალური თბოტრაქტორის მეორე სიჩქარისა-
თვის (იხ. ქვემოთ მოთავსებული ცხრილები).

ელტრაქტორის უქმი სკლები გადაღებული იქნა I და II სიჩ-
ქარებზედ. მისი მუშაობის რეჟიმი III სიჩქარეზედ არ იყო გამოკვლე-
ული ელტრაქტორის მექანიკურ ნაწილების გატეხის საშიშროების
გამო, რაც გამოიწვევდა ცდების ჩაშლას. ელტრაქტორის გამოცდის
პერიოდში ხდებოდა იმავე ფაქტორებზედ დაკვირვება როგორჩედაც
ელტრაქტორ-ფორციზონის გამოცდის დროს.

გამოყენებული ელექტრომიზომი ხელსაწყოები და მათი შერთ-
ვის სქემა იგივე დარჩა.

გამოყენებული იყო ვ. პ. გორიაჩინის სისტემის დინამომეტ-
რი № 392 ზამბარით 1250 კგ.

გამოცდა ტარდებოდა 15/X-დან 23/X-მდე 1935 წ. ელექტრო-
ტრაქტორით მოხნული ფართი შეაღენს 0,24 გ.

III. ელექტროტრაქტორის გამოცდის ზოგადი განვითარები

a) გეეჯიკური ნაწილი.

1. კაბელი. ელექტროტრაქტორის გამოცდის მომენტისათვის
პრიმიტიულად დამზადებული კაბელი ძლიერ გაცვეთილი იყო.

დაკვირვება მანძილზედ ანძიდან მიწასთან კაბელის შეხების
წერტილამდე პირდაპირი და უკუსელის დროს მოყვანილია № 5
ცხრილში.

კაბელის დაჭიმულობის ძალა შეაღენდა 70—80 კგ. ერთ
კაცს არ შეეძლო დაჭიმულ კაბელის დაჭრა.

მუხლუხა ტრაქტორის გამოცდამ დაადასტურა ელტრაქტორ
ფორციზონის გამოცდის მონაცემები საქცევის შესაძლო სიგანის სა-
კითხში. 25—27 მ სიგანის, საქცევისათვის ნახურგით ხვნის დროს
ხახუნის ქურო ვერ სძლევდა კაბელის თრევის წინააღმდეგობას. მა-

წაზედ მოთრეულ კაბელის ნაწილის სიგრძე აღწევდა 30—50 მ.
ქურო იწყებდა კაბელის აღებას მხოლოდ მაშინ, როდესაც მიღმია
ტროტრაქტორი უკუსვლის დროს უახლოვდებოდა აღგილს, სადაც
დფა კაბელი და გარდა ამისა ქურო ყოველთვის ვერ ასწრებდა კაბე-
ლის დახვევას დოლქედ. საჭირო ხდებოდა ელტრაქტორის გაჩერება
და კაბელის გვერდზედ გადაწევა.

№ 5 ცხრილი

ნახ ენი ზე	გაზომვის პირობები	მდგრად მიმდევ რი	I_{min} მეტრ.	I_{max} მეტრ.	$I_{საშე.$	შემიშვნა
1	I სიჩქარე—ელტრაქტორის პირდაბირი სელა	6	12	15	14	ფრიძციულ ქუროს
2	I სიჩქარე—ელტრაქტორის უკუსელა	6	3,5	5	4	განვიკების დაკერის
3	II სიჩქარე—ელტრაქტორის პირდ. სელა	9	10	17,2	15	შემდეგ
4	II სიჩქარე—ელტრაქტორის უკუსელა	9	3,0	4	3,7	$I=20-25$ მ
5	უკანა სელა	3	7	7	7	

2. ანძები, მიმმართველი ბლოკები, მიმღები გორგოლაჭები

მექანიკური სიმტკიცის თვალსაზრისით ანძას აქვს საქმიო სი-
მტკიცე. გამოკდის პერიოდში მას არ ჰქონდა გალუნვა ან გატეხა. ანძის ისარი ბრუნავს მსუბუქად და ყოველთვის მიმართულია კაბე-
ლის მოწოდების მხრისაკენ. ელტრაქტორის გამოცდა ჩატარდა ან-
ძით არ მომხდარა.

მიმმართველ გორგოლაჭიდან კაბელი გარდებოდა და გაიკედე-
ბოდა. ეს მეტადრე ხდებოდა II სიჩქარის დროს როდესაც გაძლიე-
რებული იყო ჰერმი მოქანავე კაბელის ბიძები. კაბელის ქანაბა შე-
მნიშვნელი იყო და მოხდა დაკეირება 1 და 2 ბლოკებს შორის, მათ
შორის დიდი მანძილის გამო და აგრეთვე მიმღებ გორგოლაჭების
მიერ შექმნილ დიდი ხერეტილის შედეგად (50×250 მმ). ამ ხერე-
ტილში კაბელი ირხეოდა, რის გამოც ის ხანდახან ვარდებოდა მი-
მართველ 1—2 ბლოკიდან. ანძის ისრის მიერ შექმნილი მომენტები
მნიშვნელოვნად სცვლიდა ტრაქტორის დინამიკას. ელტრაქტორის
მოძრაობის დროს ის ძლიერ ირხეოდა, მდგომარეობა მით უფრო
უარესდებოდა, რომ ტრაქტორის ამ მოდელის მუხლუხათა საყრდე-
ნი ფართი და მანძილი მუხლუხებს შორის ძლიერ უმნიშვნელოდა. მო-

ძრაობის დროს ელტრაქტორის ქანაობის მიუხედავად ის არ გადაბრუნდა და განაგრძობდა მუშაობას გვერდით დახრებშედ (15°-შე) და აღმართდა მიმართულმართებშედ (10°-მდე). ამგვარად ელტრაქტორის მდგრადობა ახლოა თბოტრაქტორის მდგრადობასთან. მიმღებ ჰორიზონტალურ გორგოლაჭის დაკიდების სიმაღლე 2140 მმ არაა საკმიარისი და კაბელი ხენაზედ მუშაობის დროს გუთნის ჩაღრმავების ბერკეტს ედება, რითაც ძლიერ ფუქცება იზოლაცია თუ კი ტრაქტორისტი ამას სწრაფად არ შეამჩნევს.

3. კაბელდამლაგებელი აპარატის გამოცდის დროს კვანძი კარგად მუშაობდა. კაბელდამლაგებელი აპარატის ბლოკირან ხშირად გარდებოდა კაბელი ამ უკანასკნელის არაერთგვაროვან დიამეტრის და დრეკალობის გამო (გამტარის გაფუჭებულ იზოლაციის ადგილებში დახვეული იყო საიზოლაციო ლენტი, რის გამოც ხდებოდა გასქელება და დრეკალობაც იცვლებოდა).

წამყვანი (11) (იხ. ნახ. № 8) არ აძლევს კაბელს ამის საშუალებას. ამგვარად ბლოკის კანსტრუქცია თხოულობს დამატებით დამუშავებას: მაგალითად მორჩილ გორგოლაჭების მოწყობა წამყვანის დონეზედ ან სხვა რაიმე.

კაბელის ცუდი მდგომარეობის გამო კაბელდამლაგებელი აპარატი ხანდახან ირლვევდა კაბელის სწორ დაწყობას და ცალკეული ხვიები ედებოდა ერთი მეორეზედ. უმეტეს ნაწილად კაბელი დოლზედ სწორრიგებად ეხვევოდა.

4. კაბელის დოლი. დოლის შიგა დიამეტრი ძლიერ დიდია ($d=670$ მმ) რითაც ძლიერ შემცირებულია მისი მოცულობა; საქართვის მონაცემებით ПРШТ-ის კაბელისათვის დახვევის დაუშვებელი რადიუსი უდრის $10 \div 12$ რაც 3×25 მმ კვეთის და $d=33$ მმ ზომებისათვის შეადგენს 330—400 მმ.

5. ხახუნის დამჭირი ქურო და დოლის ამძრავი. რელუქტორი ხახუნის ქუროსთან ერთად უზრუნველყოფს კაბელის დაკიმულობას ელტრაქტორის წინა და უკანა სელის დროს. ვარსკვლავებს და ჯაჭვებს თვეისმექრელში არ ახასიათებს საჭირო შექანიერებული ცე-კველაზედ ხშირად წყდება ჯაჭვი, რომელიც ერთებს მუხლუხს წამყვან თვლის ვარსკვლავას შეუალედ ტრანსმისიის პატარა ვარსკვლავასთან (იხ. № 12 ნახ.). ვარსკვლავები თუჯისაა. ისინი იფშენებიან დარტყმით დატვირთებისაგან, რაც ხდება ხოლმე ელტრაქტორის მუშაობის დროს. მთელი ამძრავი მოთავსებულია ტრაქტორის მარჯვენა მხრიდან ე. ი. კვალში ან კვალთან ახლო მიმავალ მუხლუხს მახლობლად, რის შედეგად ვარსკვლავები, კბილანები, და ჯაჭვი მუდმივად მტკვერშია. აუცილებელია დოლის ამძრავის გადატანა ელტრაქტორის მარცხენა მხარეზედ და მისი ვარცმში მოთავ-

სება. გალის ჯაჭვის და კბილანასთან შერჩევის შემდეგ დოლის ფი-
ძრავი კარგიდ და საიმედოდ იმუშავებს.

ფრიქციულ ქუროს აქვს დისკორპის შერთვის აუცილებელი ჭა-
ლვა, რომელიც საკიროა კაბელის სათანადო დაჭიმვისათვის და ამ
დაჭიმულობის რეგულირებისათვის. ელექტროტრანსფორმის 2 გამოც-
რის მთელ პერიოდში მისი გახურება არ აღემატებოდა 50—60°
(ტემპერატურის გაზიმება მიახლოვებითია).

6. ელექტრომინტორი, დამცავი და გაშვები აპარატურა. ელ-
ექტროტრანსფორმის ძლიერ ნაპერწყლობდა და იწყოდა რკოლები
ჯაგრის შეკრთა ზამბარების სისუსტის და რკოლზედ ჯაგრისების
არამატიდრო მიმდევრობის გამო. მოტორის გაშეების შემდეგ ხდებო-
და მისი ჯავრისების აწევა. გამოცდის ბოლოს ელექტრომინტორის
გაშვება ხდებოდა მოკლედ შერთვით პირდაპირ ჩამრაზიდან. მოტო-
რის გახურება დასაშვებზედ დაბალი იყო,

გამშვები და დამცავი აპარატური ნორმალურად მუშაობდა.
გადამრთველი, რომელიც სცვლის მოტორის ბრუნვის მიმართულე-
ბას ძლიერ მოსახერხებელია მუშაობაში, და კაბელის მოლოების
მიერთებაზე დამოუკიდებლად შესაძლოა მუშაობა და ამავე დროს
ტრაქტორის უკანა სკლაზედ სხვადასხვა სიჩქარეს იძლევა.

7. ელტრაქტორის მართვის მოხერხებულობა და მისი მანევრ-
უნარიანობა. ელტრაქტორის მართვა საკმაოდ მარტივია და მნიშვ-
ნელოვნად იოლი ვიდრე თბოტრაქტორის.

საჯდომზედ მჯდომი ტრაქტორისტი ვერ უყურებს წინ გზას
და იძელებულია გადაიხაროს მარცხნივ ან მარჯვნივ ტრაქტორის
სამართვებად.

ელტრაქტორის ანძის ფეხი უშლის წამყვანი ხახუნას სატერ-
ცულის (30) (იხ. № 6 ნახ.) გამორითების.

კაბელის სიგრძის საზღვრებში ელტრაქტორის მანევრუნარია-
ნობა ისეთივეა, როგორც ანალოგიურ თბოტრაქტორის.

8. ელტრაქტორის მოძრაობის ფაქტური სიჩქარეთა და მუშა-
ობის დროს ხედა მაჩვენებელთა განხაზღვრა. ელტრაქტორის სიჩქა-
რე უქმ სვლებზედ (იხ. № 6 ცხრ.) ხოლო მუშაობის მაჩვენებლები
დატვირთვის ქვეშ მოყვანილია № 7 ცხრ.

№ 7 ცხრილის განმარტება. 1. საქცევის სიგრძე, დრო საქ-
ცევის გავლაზედ და ხენის სილრმე იზომებოდა გამოცდის დროს. ხენის
სილრმე იზომებოდა ყოველ 20 მეტრზედ. ცხრილში მოყვანილია მისი
მაქსიმალური და მინიმალური სიდიდეები და საშუალო მნიშვნელობა

2. 7 და 8 კვლებისათვის ხენის სილრმე არ გახომილა, მაგრამ
გუთნის ჩაღრმავების ბერკეტების რეგულირება დარჩა ისევე რო-
გორც წინა კვლებზედ. მაშასადამე, მათი საშუალო სილრმე არ შე-
ცვლილა.

ელტრაქტორის სიჩქარე უქმ ხვდებზე

№ 6 ცხრილი

№ № რიგი	დასახლება	საქცევის სივრცე მ	საქცევის გაელის დრო წამით	ელტრაქ- ტორის სიჩქარე მ/წ	ელტრაქ- ტორის სიჩქარე კმ/ს
1	ელტრაქტორის I-ლი სიჩქარე . . .	80	47,5	1,68	6,05
2	" " " . . .	80	56,5	1,42	5,1
3	" " " . . .	80	46,5	1,72	6,2
4	" " " . . .	80	53	1,51	5,4
5	" " " . . .	80	55	1,46	5,2
6	" " " . . .	80	51,6	1,55	5,57
	I სიჩქარის საშუალო სიდიდე ეჭვის გაზომვით	80	51,7	1,55	5,57
7	ელტრაქტორის II სიჩქარე	80	39	2,05	7,4
8	" " "	80	38,5	2,08	7,5
9	" " "	80	40,0	2,0	7,2
10	" " "	80	39,0	2,05	7,4
	II სიჩქარის საშუალო სიდიდე ოთხის გაზომვით	80	39,0	2,05	7,4

ელტრაქტორის პირველი სიჩქარე კაკვშედ სხვადასხვა
წევის ძალვების დროს

№ 7 ცხრილი

ტილის № №	საქცევის ზომები	საქცევის გა- დას დრო, წმ-იც.	ელტრაქტ- ტორის გა- ნერი	სიჩქარე კმ/ს.	ხერის სიღრმე			ძალვა კაკვშედ			გ/მ განდა- ნა
					min სმ	max სმ	საშუ- ალო სმ	ძბ	ძბ	საშუ- ალო ძბ	
1	100	74	1,35	4,86	26	28	27	346	346	548	12,8
2	96	68,5	1,40	5,0	25	28	27	311	1039	603	5,7
3	100	74	1,35	4,86	20	29	26	306	955	613	12,8
4	100	70	1,43	5,14	20	28	25	302	941	506	7,9
5	100	72	1,39	5,00	26	28	27	297	937	564	10,4
6	100	71	1,41	5,1	25	28	26	311	1008	502	9,2
7	100	72	1,40	5,0	—	—	27	222	857	570	10,4
8	100	74	1,35	4,86	—	—	27	237	1182	604	12,8

ელტრაქტორის სიჩქარე გამოთვლილია, როგორც საშუალო
საქცევისათვის.

4. F_{კა} საშუალო მნიშვნელობა ისაზღვრებოდა დინამიკურის
დიაგრამის პლანიმეტრირებით.

ცხრილში მოყვანილია კაკვზედ წევის ძალვის რყოფის ზღვა-
რები.

$$5. \text{ ბუქსაობის } \% \text{ ითვლებოდა } \text{ფორმულით } \delta = \frac{t_H - t_X}{t_H}, \text{ სადაც}$$

t_H —დატვირთვის ქვეშ ელტრაქტორის მიერ საქცევის გავლის დროა
 t_X —იგივე უქმი სელისათვის (№ 6 ცხრილის საფუძველზედ)

დროს დაკარგვა იმავე გზაზედ დატვირთულ ელტრაქტორის
გავლაზე ჩდებოდა: а) წამყვან თვლების ან მუხლუხების ბუქსაობის
ბ) დატვირთვის ზრდის დროს ასინქრონულ ძრავის ცურვის გაზრ-
დის ხარჯზედ.

ეს ცურვა ელტრაქტორებისათვის უმნიშვნელოდ იცვლება
(1—2%) ძრავის დატვირთვის ზღვრებში 0,5 ა.დ.-დან (ელტრაქტო-
რის უქმი. სელი) 1,25 ა.დ.-მდე (ელმოტორის მაქსიმალური დატვირ-
თვა ხვნაზედ). მაშასადამე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ერთდაიმავე
გზის გაელაზედ დატვირთულ და დაუტვირთავ ტრაქტორის მიერ
დროის გაზრდა ხდება მუხლუხების ბუქსაობის ხარჯზედ და ზემოთ
მოყვანილი ფორმულა სწორია.

№ 8 ცხრილი იძლევა ნიადაგის წინააღმდეგობის კუთრ კოე-
ფიციენტის მნიშვნელობას, რომელიც გამოთვლილია ტოლობით

$$F_{კა} = kab$$

სადაც $a = 60$ სმ—გუთნის მოდების განი,

b — ხნის საშუალო სილტმე,

$F_{კა}$ და b სიდადეები აღებულია № 7 ცხრილიდან.

დასკვნები №№ 6, 7 და 8 ცხრილებზე

1. ელტრაქტორზედ დაყენებულ გაზრდილბრუნვიან მოტორ-
ში ძლიერ გაზარდა თბოტრაქტორის სამუშაო სიჩქარეები.

მაგალითად, ელტრაქტორის 1-ლი სიჩქარე მის უქმ სელაზედ
და დატვირთვის ქვეშ უფრო მაღალია ვიდრე თბოტრაქტორის მე-
ორე სიჩქარე; ცოტად ნაკლებია თბოტრაქტორის მე-3 სიჩქარეზედ
(იხ. № 2 და 4 ცხრილი).

2. საშუალო დატვირთვა საქცევზე ელტრაქტორის კაკვზე ადას-
ტურებს იშას, რომ ის არ იყო მოლიან ძალვაზედ გამოყენებული,
რაც აღებულ სიჩქარეზედ 1000—1200 კგ. შეადგენს.

საცდელ უბნის ნიაღაგის წინააღმდევობის კუთრი
კოეფიციენტი

№ 8 06 06 2023

$\frac{F}{ab}$	$\frac{F}{ab}$	$\frac{F}{ab}$	$\frac{F}{ab}$	$\frac{F}{ab}$	$\frac{F}{ab}$	$\frac{F}{ab}$
1	27	60	548	0,34	ეს მონაცემები უახლოე- დებიან ელტრაქტორ- ფორდზონის გამოცდის შედეგებს, რაც ასედაც უნდა ყოველიყო რადგან გამოცდები ერთ და იმავე უბანზე ტარდებოდა.	
2	27	60	603	0,37		
3	26	60	613	0,39		
4	25	60	503	0,34		
5	27	60	564	0,35		
6	26	60	502	0,32		
7	27	60	570	0,35		
8	27	60	604	0,37		

საქცევის ცალკეულ უბნებზე ეს დატვირთვა აღწევდა მაქსიმა-
ლურ მნიშვნელობას (იხ. № 7 ცხ.). ელტრაქტორის კაკვზე წევის ძალ-
ვის გამოუყენებლობა აიხსნება მსუბუქი ნიაღაგით, რომლის საშუ-
ალო წინააღმდევობის კუთრი კოეფიციენტი უდრის 0,35 კგ/სმ²,
ცალკეულ მოკლე უბნებზე და ეს კოეფიციენტი ძლიერ იზრდება და
კაკვზე და წევის ძალა აღწევდა 900—1100 კგ. ამ დროს ელმოტო-
რის დენის ძალა ქსელის შემცირებულ ძაბვის შედეგად ნომინალურ-
ზე დიდი იყო და ელტრაქტორის დატვირთვის გაზრდა გუთნის
ტანების რიცხვის ზრდით არ შეიძლებოდა.

3. ბუქსაობის % № 2 კვლის გამონაკლისით დიდია მუხლუხა
ტრაქტორებისათვის, მაგრამ მთლიანად შეესაბამება სანამდვილეს
რადგან ნიაღაგი ფხვიერი იყო.

4. ელტრაქტორის ფაქტიური სიჩქარეები № 6 და 7 ცხრი-
ლებში ადასტურებენ № 2 ცხრილში თეორიულად გამოთვლილ სი-
ჩქარეებს. № 7 ცხრილში მათ უფრო ნაკლები მნიშვნელობები აქვთ
რაც აიხსნება მუხლუხას ბუქსაობის % -ის ზრდით.

ბ) ენერგეტიკული მაჩვენებლები: დენის ძალის, სიმძლავ-
რის, ძაბვის და კაკვზე ძალვის საშუალო სიდიდეები სარგისტრა-
ციონ ხელსაწყოების დიაგრამების პლანიმეტრირებიდან მიღებული
მოცემულია № 9 ცხრილში. ის შეესებულია აუცილებელ საანგარიშო
სიდიდეებით.

თითოეულ კვლის საქცევის ცალკეულ მომენტებისათვის იგრვე
მნიშვნელობები მოყვანილია № 10 ცხრილში.



1. $J_{\text{საშ}} = W_{\text{საშ}} \text{ და } F_{\text{კა}} \text{ № 9}$ ცხრილში წარმოადგენერირება რეგისტრაციის ხელსაწყობის დიაგრამათა ორდინატების საშუალო არითმეტიკულ მნიშვნელობებს.

2. № 10 ცხრილში ეს მნიშვნელობები შეესაბამება ერთს კველა დიაგრამისათვის საერთო მომენტს.

3. მოტორის კლემებზე ძაბვა გამოითვლებოდა როგორც სხვაობა $V_c - \Delta V = V_2$, სადაც V_c არის ძაბვა კაბელის დასაწყისში, კაბელში ძაბვის ვარდნა $\Delta V = \sqrt{3} \cos \varphi JR$ ვოლტ. აქ $\cos \varphi$ დენის ძალის თითოეული მნიშვნელობისათვის ისაზღვრებოდა ანალოგიური მოტორის მრუდით.

გამტარის ჭინაალმდევობა $R = \frac{l_1}{k_1 q_1} + \frac{l_2}{k_2 l_2}$ ისაზღვრებოდა როგორც საერთო თანამიმდევრობით ჩართულ სპილენძის და ალუმინის გამტარებისათვის. მათი სიგრძე და კვეთი მოცემულია ზემოთ ციფრობრივი მნიშვნელობით $k = 0,0864$.

4. კაბელში დაკარგული სიმძლავრე ისაზღვრებოდა ფორმულით $W_t = 3 \cdot J_R^2 \cdot 10^{-3}$ კვტ = $0,26 \cdot 10^{-3} J^2$ კვტ.

5. მოტორზე მიყვანილი სიმძლავრე წარმოადგენს სხვაობას W — კაბელის დასაწყისში სიმძლავრისა და W_t — კაბელში დანაკარგ სიმძლავრეს შორის.

მრუდების მიხედვით, ანალოგიურ ასინქრონულ მოტორებისათვის მ. ქ. კოეფიციენტისათვის, ხდებოდა ძრავის დანაკარგების ალრიცხვა და ისაზღვრებოდა სიმძლავრე მოტორის ლილზე.

6. $F_{\text{კა}} \text{ მნიშვნელობის } \text{შესაბამისი } \text{ სიმძლავრე } \text{ კაკვნე } \text{ ისაზღვრებოდა } \text{ ფორმულით } W_{\text{კა}} = \frac{F_{\text{კა}} V}{102} \text{ კვტ, } \text{ სადაც } \text{ მნიშვნელობები } \text{ ალებული } \text{ იყო } \text{ № 7 } \text{ ცხრილიდან.}$

7. სიმძლავრე თვითგადაადგილებაზე და წარმოადგენს სხვაობას $W_d - W_{\text{კა}}$.

8. ელტრაქტორის მარგი ქმედების კოეფიციენტის გამოთვლა ხდებოდა ფორმულით $\eta = \frac{W_{\text{კა}}}{W_d}$. საერთოდ კი ელტრაქტორში უნდა განსხვავებული იქნეს სამი მ. ქ. კოეფიციენტი:

$\eta = \frac{W_{\text{კა}}}{W_0}$ რომელიც ალრიცხვს კველა დანაკარგს და მათ შორის დანაკარგებსაც კაბელსა და მოტორში.

$\eta = \frac{W_{\text{ж}}}{W_n}$ ალრიცხავს დანაკარგებს მოტორში, ტრაქტორის ტრანს-
მისიაში და ტრაქტორის თვითგადაადგილებაზედ.

სამართლებრივი სამინისტრო

$\eta = \frac{W_{\text{ж}}}{W_d}$ ალრიცხავს დანაკარგებს ტრანსმისიაში და ტრაქტორის

თვითგადაადგილებაზედ მოტორის ლილვზედ სიმძლავრესთან მიუვანით

№ 9 და 10 ცხრილში მოყვანილია η -ს მნიშვნელობები რაღაც
ობოტრაქტორებში, რომლებთანაც უნდა შედარებული იქნეს ელ-
ტრაქტორის მაჩვენებლები, მოყვანილია სწორედ ამ მ. ქ. კოეფიცი-
ენტის მნიშვნელობები (მოყვანილი მოტორის ლილვზე).

დასკვნები № 9 და 10 ცხრილებზე

1. ძაბვა მოტორის კლემებზე მნიშვნელოვნად დაბალი იყო
ნორმალურზე. ძაბვის ვარდნა ქსელში (საჰაერო ქსელი და კაბელი)-
შეადგენდა $15-18\%$. ამის შედეგად ასინქრონულ მოტორის მუშა-
ობის რეჟიმი არანორმალური იყო: გაზრდილი დენის ძალა, ძრავის
მგრუნვა მომენტის, მ. ქ. კოეფიციენტის შემცირება. 124 მ სიგრძის
კაბელში ძაბვის ვარდნა შეადგენდა $4-6,5\%$. მოტორის ნომინა-
ლურ სიმძლავრეზე დასატვირთად ძაბვის ვარდნა შეადგენდა $5,5\%$.
კაბელის სამუშაო სიგრძე არ უნდა იყოს 275 მ-ზე ნაკლები, ზაშასადამე,
გასში ძაბვის ვარდნა გაიზრდება $2,2$ -ჯერ. მოტორის ნომინალური
სიმძლავრისათვის ეს დანაკარგები იქნება 12% . სიმძლავრის შესაბა-
მისი დანაკარგი 275 მ სიგრძის კაბელში მოტორის ნომინალურ და-
ტვირთვის დროს შეადგენს $3-5$ კვტ ანუ მოტორის სიმძლავრის
 $12-24\%$.

მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს, რომ 20,5 კვტ სიმძლავრის
მოტორისათვის და ქსელში 220 კ. ძაბვისათვის კაბელის კვეთი მცირეა
მისი გაზრდა აუცილებელია და მუშაობა უნდა წარმოებდეს უფრო
დიდი ძაბვის ქსელიდან.

2. მუხლუხა ელტრაქტორის მ. ქ. კოეფიციენტი, რომელიც მი-
იღეს გამოცდების დროს, დაყრდნობილია ლიტერატურულ მონა-
ცემებზე, რომელთა მიხედვით ის მერყეობს $0,6-0,7$ ფარგლებში:
ელტრაქტორის მ. ქ. კოეფიციენტის შემცირება აიხსნება შემდეგით
ა) კავშე არამთლიანი დატვირთვით, რაც ჩანს № 9 და ნაწილობ-
რივ № 10 ცხრილიდან. ნომინალურ სიმძლავრის ახლო დატვირთვები-
სათვის მ. ქ. კოეფიციენტი უახლოვდება ლიტერატურულ მონაცემებს-

ბ) ბრუნვის რიცხვის გაზრდით და ამის მიხედვით შექანიურ
მაჩვენებლების ცვალებადობით.

ପ୍ରତିକାଳର ମହାନ୍ତରର ଦ୍ୱାରା ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ

(b) *Regulatory Authority* (as defined above).

第 9 章 數據整理

No.	Name of the species	Percentage of the species in the total number of individuals		Percentage of the species in the total number of individuals		Percentage of the species in the total number of individuals		Percentage of the species in the total number of individuals		Percentage of the species in the total number of individuals		Percentage of the species in the total number of individuals		
		No. 1	No. 2	No. 3	No. 4	No. 5	No. 6	No. 7	No. 8	No. 9	No. 10	No. 11	No. 12	No. 13
1	Amphibolites (v. 1) (greenish-yellow)	—	—	29	19	219	217	0,2	1,7	—	—	—	—	—
2	Amphibolites (v. 2) (greenish-yellow) I (inclining)	—	—	36—39	7,5—12	210—211	206	0,4	9,6	9,1	—	—	—	9,1
3	Amphibolites (v. 2) (greenish-yellow) II (inclining)	—	—	49—47	12—14	197—212	199	0,6	12,4	11,2	—	—	—	11,2
4	Quartzite-schistose rock (greenish-yellow) I (inclining)	1	—	85,6	23,5	193	183	2,0	21,5	19,4	54,9	7,3	12,1	37,6
5	quartz	8	84,0	26,1	189	178	1,8	24,3	21,7	61,9	8,1	13,6	37,3	
6	quartz	5	71,7	21,1	194	184	1,3	19,8	17,8	56,4	7,7	10,1	45,9	
7	quartz	6	65,6	18,6	190	190	1,1	17,5	15,8	50,2	7,0	8,8	43,8	

四

ელტროექინოს მექანიკური და ელექტრულ მართვებლების ცალკეულ ზოგიერთ შე

— 3 —

გ) საცდელ უბნის ნიადაგის სიფხვიერით, რის გამოც ხდებოდა ბუქსობის გაზრდა.

3. ელტროაქტორის ნომინალური დატვირთვის დროს კაცვები ძალვა უდრის დააზღვრებით 900 კგ-ს

საშუალო კვადრატულ დანის მიზანებისა

სარევისტრაციი ამპერმეტრის ორი დიაგრამის პლანიმეტრირებით განსაზღვრული საშუალო კვადრატულ დენის მნიშვნელობათა ზრდა საშუალო არითმეტიკულ მნიშვნელობებთან შედარებით $\frac{J_{\text{მა}}}{J_{\text{საშ. არით}}}$ იძლევა შემდეგ მნიშვნელობებს:

$$\text{№ 1} \quad \text{კვლისათვის} \quad \frac{J_{\text{მა}}}{J_{\text{საშ. არით}}} = \frac{88,0}{85,6} = 1,028$$

$$\text{№ 5} \quad " \quad \frac{J_{\text{მა}}}{J_{\text{საშ. არით}}} = \frac{72,6}{71,7} = 1,026$$

შეუარდება გვიჩვენებს, რომ $J_{\text{მა}}$ ოდნავ ალემატება $J_{\text{საშ. არით}}$ -ს, ეს უფლებას გვაძლევს მოვახდინოთ მოტორის სიმძლავრის ანგარიში ელექტროტრაქტორებისათვის საშუალო არითმეტიკულ დენის მიხედვით.

ელექტროგიის ხარჯი 1 ჰექტ. ხვნაზედ 11 ცხრილი

ნა მდე ბი	გადაცემა	დაწესებუ ლი სიძლი სიმძლავ რის მდე ბი	მომდებ არის სი ძლის მდე ბი	სა ჭირო სი ძლის მდე ბი	ელექტროგიის ხარჯი 1 ჰე კტ. ჟე რე ბი სი ძლის მდე ბი/სათ.		ელექტროგიის ხარჯი 1 ჰე კტ. ჟე რე ბი სი ძლის მდე ბი/სათ.		ცხ რი ლი	
					ჟე რე ბი სი ძლის მდე ბი	ჟე რე ბი სი ძლის მდე ბი				
1	I-დი	27	60	100	0,470	0,540	176	82,7	95	
2	"	27	60	96	—	0,422	183	—	77,2	
3	"	25,5	60	100	0,522	0,516	176	91,9	90,8	
4	"	25,0	60	100	—	0,399	176	—	70,2	
5	"	27,0	60	100	0,422	0,469	176	74,3	82,5	
6	"	26,3	60	100	0,372	0,315	176	65,3	55,4	
დენეროენერგიის საშუალო ხარჯი					0,447	0,444		78,6	78,5	

შენიშვნა: ერთ ჰექტარზე კვლების რიცხვი გუთნების გამოცდის ლიტერატურული მონაცემებით გაზრდილია 5%-ით, რითაც ალირიცნება გუთნის მოდების განის შემცირება მუშაობის დროს.



1. ელტრაქტორ 2-ის საცდელი მოდელი კეთდებოდა კონსტრუქციისათვის ჟენერალური და ელაპარატურა უნდა იქნეს განვითარიშებული და შერჩეული სამინდვრე პირობებში მუშაობისათვის. ელმოტორი გამშვები დრენაჟითი და გამტარების მონტაჟი, კაბელის დოლი დოლის ამძრავი და სხვა. მდნობად დამცველებმა მუშაობაში კარგი, შედეგები უჩვენეს. მათზედ არ მოქმედობს ტრაქტორის ნჯლრევა. სრულებრივი ტრაქტორების კონსტრუქციაში გათვალისწინებული უნდა იყოს გადამზადელი.

2. ელტრაქტორის — 2 მოხერხებულად არის გადაჭრილი კვანძი — ხახუნის ქურო რედუქტორით, რომლის საშუალებით იქმნება კაბელის მუდმივი დაკიმულობა ელტრაქტორის წინა და უკანა სვლაზე და ამით უზრუნველყოფილია მუდმივი ავტომატური დახვევა და გაშლა კაბელისა დოლზე.

კაბელის დოლის ამძრავი მოთავსებული უნდა იყოს კვლის მოწინააღმდეგე მხარეზე და დაცული იქნეს გარცმით. ამით გაუმჯობესდება ვარსკვლავების და ჯაჭვური გადაცემის მუშაობის პირობები.

3. დოლის კონსტრუქცია კაბელმგები აპარატით, ანძები და ელექტროდაფა ნაწილობრივ ხელს უშლიან ტრაქტორისტის თვალხედვას. აუცილებელია მათი ადგილმდებარეობის შერჩევა ტრაქტორზე ისე, რომ ისინი ტრაქტორისტს არ ეფარებოდეს. ან გადატანილი იქნეს ტრაქტორისტის საჯდომი მართვის ბერკეტებით გვერდზე და ან აწეული იქნეს ზევით.

4. მისი ცალკეული კვანძები როგორიცაა: ხახუნის ქურო და კაბელდამლაგებელი აპარატი — არ განსხვავდება ელტრაქტორ—ფორდზონის ასეთ ნაწილებისგან და გამოცდის ღროს კარგი შედეგები გვიჩვენა.

ხახუნის ქურო პერიოდის კაბელის საჭირო დაკიმულობას და მისი გახურება არ აღემატება 65° .

5. ელტრაქტორის — 2 გამოცდებმა დაადასტურეს, რომ საქცევის სიგანე არ უნდა იყოს 50 მეტრზე მეტი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ქურო კერ ახვევს კაბელს დოლზე.

6. კვადრატული დენების საშუალო მნიშვნელობა მუხლუხის ტრაქტორისათვის აღემატება საშუალო არითმეტიკულ მნიშვნელობებს $2 - 3\%$ -ით. ეს მდგომარეობა ნებას იძლევა, რომ ტრაქტორისათვის მოტორის სიმძლავრე შერჩეული იქნეს საშუალო არითმეტიკული დენით.

7. ელტრაქტორის კონსტრუქციის საერთო შეფასება. ყველა
შემოალნიშნულ დეფიქტის მოსპობის შემდეგ და დეტალური
დასმით შესრულების შემთხვევაში ელტრაქტორის კონსტრუქცია
უზრუნველყოფს დოლზე კაბელის ავტომატურ დახვევას და გაშლის.

ელტრაქტორის მართვა გაცილებით მარტივია ვიდრე თბო-
ტრაქტორის; მუშაობს იაფი სახის ენერგიით—ელექტროენერგიით
და ძლიერ ეკონომიურია.

მაგრამ ელტრაქტორის შეზღუდულობა, სვლის განსაზღვრული
სიგრძე და სამინდვრე მუშაობის ზოგიერთ პროცესშე ელტრაქტო-
რით მუშაობის შეუძლებლობა წარმოადგენს მის ნაკლოვანებებს.

ყველა ეს საკითხი გამორკვეული იქნება სამეურნეო პირობებში
ლტრაქტორის მუშაობის დროს.

Проф. А. ДИДЕБУЛИДЗЕ

ЭЛЕКТРОТРАКТОР

Наш электротрактор начат постройкой в 1927 г., первый опытный образец был построен и испытан в 1930 году.

Первый образец системы профессора А. Дицебулидзе, проф. К. Амирэджиби и доцента В. Манвелидзе был построен на базе трактора Фордзон, так как в распоряжении имелся свободный трактор этого типа.

В 1934—35 г.г. был построен трактор системы профессора А. Дицебулидзе и доцента Манвелидзе на базе трактора Катерпиллер (гусеничный), так как в наше распоряжение был дан именно этот трактор.

Поэтому на эти трактора надо смотреть как на конструктивные и опытные модели.

В 1935 г. 27 октября была назначена комиссия из представителей Всесоюзного Научно-Исследовательского Института Электрификации с.-х.—ст. научн. раб. Дмитриева И. И. и Ерохина И. А. и представителей Зак. Научн. Исследовательск. Института Механизации и Электрификации с.-х. проф. А. Дицебулидзе, ст. научн. раб. Г. Кебурдия.

Дальнейшее изложение заимствовано из акта испытания.

ВАРИАНТ I-Я

Электротрактор на базе фордзона (вариант первый):

Общий вид электротрактора представлен на фото 1 и 2, изображающие его виды с боков и спереди¹⁾.

Как видно из фото, электротрактор состоит из следующих основных узлов:

1. Гибкого кабеля—марки ПРШТ сечением $3 \times 10 \text{ mm}^2$ и длиной 181 м, с помощью которого электромотор приключается к низковольтной сети или понизительной трансформаторной подстанции.

¹⁾ Фото и чертежи см. в предыдущем грузинском тексте.

2. Мачта электротрактора—представляет из себя пространственную ферму, сделанную из углового железа 50×50 . Четыре ноги мачты внизу у своего основания крепятся болтами к каркасу, на котором установлен эл. мотор. В верхней части эти уголки сходятся вплотную, образуя 4-х угольное отверстие с сечением 90×90 мм (см. фото № 2, цифру 1).

განვსაზღვროთ ახლა $V'_{\text{ც}}$ -ის მიმართულება, ე. ი. ის კუთხე, რომელსაც ის ქმნის თარაზულ სიბრტყესთან. ვინაიდან $V_{\text{გ}}$ დახრილია $V_{\text{ც}}$ -ის მიმართ რაიმე ი კუთხით, ამიტომ მისი დახრა თარაზოსთან იქნება არა $\beta = 90^\circ - \alpha$ (7 ნახ.), არამედ რაიმე სხვა სიდიდის კუთხე β' , სადაც

$$\operatorname{tg} \beta' = \operatorname{tg} \beta \cdot \cos \sigma$$

ან (9) ფორმულის მსგავსად:

$$\beta' \approx \beta \cdot \cos \sigma \quad (14)$$

მე-(14) გამოთქმაში ჩვენთვის უცნობია კუთხე σ , რომელიც შეიძლება განისაზღვროს abc სამკუთხედიდან (8 ნახ.), რადგანაც:

$$V'_{\pi} = (V_f + V_{0\delta}) \cdot \cot \sigma,$$

04.03.63 გვ.
განვითარებული

საიდანაც:

$$\cot \sigma = \frac{V_f \cdot \sin \gamma \cdot \sin \alpha}{V_f \cdot \cos \gamma + V_{0\delta}} \quad (15)$$

ახლა, რომ გაესაზღვროთ ბრუნვის სიჩქარის შეცვლილი მიჩარ-თულების გაცლენა ბელტის მოძრაობის სიჩქარის სიდიდეზე და მის მიმართულებაზე, ამისათვის საჭიროა $V'_{1\delta}$ გადავიყვანოთ დისკოს ბრუნვის სიბრტყეში, რის შედეგადაც მივიღებთ (8 ნახ.):

$$V'_{1\delta} = V'_{1\delta} \cdot \cos \delta' \quad (16)$$

მე-(16) გამოთქმაში შემავალი კუთხე δ' ჩვენთვის უცნობია, რომელიც მე-8 ნახ. მიხედვით ტოლი იქნება:

$$\cos \delta' = \frac{V_{0\delta}^2 + V_{1\delta}^2 - V_0^2}{V_{0\delta} \cdot V_{1\delta}} \quad (17)$$

$V'_{1\delta}$ -ის დისკოს ბრუნვის სიბრტყეში გადაყვანით, ამავე დროს თარაზულ მდგომარეობაშიც გრდავიყვანეთ ის; ასე, რომ Θ კუთხის საშუალებით ბელტის აბსოლუტური სიჩქარის განსასაზღვროვად შეიძლება გამოვიყენოთ ისეთივე სქემა, როგორიც პირველ შემთხვევაში გამოვიყენეთ.

როგორც მე-9 ნახ-დან ჩანს, დისკოს ბრუნვის სიბრტყისათვის ბელტის მოძრაობის აბსოლუტური სიჩქარე ტოლია:

$$V'_{1\delta} = V'_{1\delta} + V_{0\delta}^2 - 2V_{0\delta} \cdot V_{0\delta} \cdot \cos(\pi - \Theta),$$


საიდანაც:

$$V'_{1\delta} = \sqrt{V'_{1\delta}^2 + V_{0\delta}^2 + 2V_{0\delta} \cdot V_{0\delta} \cdot \cos \Theta} \quad (18)$$


იმავე ნახაზიდან განისაზღვრება $V'_{1\delta}$ -ის დაბრის კუთხე $V_{0\delta}$ -თან $-A'$, რომელიც ტოლია:

$$\cos A' = \frac{V_{0\delta}^2 + V'_{1\delta}^2 - V_{0\delta}^2}{2V_{0\delta} \cdot V'_{1\delta}} \quad (19)$$

მე-(18) და მე-(19) გამოთქმებით ბელტის მოძრაობის აბსოლუტური სიჩქარე და მისი გატყორცნის კუთხე განსაზღვრული არიან დისკოს ბრუნვის სიბრტყისათვის, სინამდვილეში კი ისინი მდებარება-

რეობენ დისკოს ბრუნვის სიბრტყის მიმართ β' კუთხით დაწლილ 

$$V_s = \frac{V_{1s}}{\cos \delta} \quad (20)$$



გ ნაბ.

და

$$\sin A = \sin A' \cdot \cos \delta'$$

ან მსგავსად ზევით აღნიშნულისა:

$$A \approx A' \cdot \cos \delta' \quad (21)$$

მე-(21) გამოთქმაში A წარმოადგენს V_{1s} -ის დახრის კუთხეს V_{1s} -ის მიმართ, მაგრამ ვინაიდან თვითონ V_{1s} თარაზული სიბრტყის მიმართ დახრილია β' კუთხით, ამიტომ ბელტის მოძრაობის აბსოლუტური სიჩქარე (V_s) თარაზული სიბრტყის მიმართ დახრილი იქნება კუთხით: -

$$C = \beta' + A \quad (22)$$

II. დისკოს დინამიკა

1. დისკოს ჭრის პრინციპის შესახებ

უმცესი მჭრელი იარაღის დახასიათების დროს საჭიროა ფიცილეთ, თუ როგორ ვითარდება ჭრის პროცესი მისი მუშაობის დროს მოცემულ კონკრეტულ პირობებში. აკადემიკოს ვ. პ. გორიაჩინის შრომებმა (6) დაამტკიცა, რომ „ჭრის პროცესი საერთოდ შეიძლება განვითარდეს ორი გზით: 1. სოლის (მჭრელი იარაღის — ა. ა.) გადანაცვლების საშუალებით მხოლოდ ჭრის მიმარ-

თულებით; 2. სოლის გადანაცვლების საშუალებით ორ ურთის-ერთ
პერპენდიკულარული მიმართულებით: პრისა და მისი პერპენდი-
კულარული მიმართულებით". პირველ შემთხვევაში კრა ნორმა-
ლური დაწოლით ხორციელდება, ხოლო მეორე შემთხვევაში ნორ-
მალურ დაწოლასთან ერთად ხდება მჭრელი იარაღის სრიალით მო-
ძრაობა. იარაღის მჭრელი პირის გადასაჭრელ მასალაზე სრიალს კი
უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პრის პროცესის გაადვილების-
თვის. ა. გ. დ. ვ. პ. გორიაჩინმა, რომელიც აწარმოებდა ამ საკითხის
შესწავლას, თავის ცდების დროს მეტად საინტერესო შედეგები მიიღო.
ის არკვევდა იმ დამოკიდებულებას, რომელიც უნდა არსებულიყო ია-
რაღის მჭრელი პირის მიერ გადასაჭრელ ჰურის ლეროებზე წარმოე-
ბულ ნორმალურ დაწოლასა და იმ მანძილის სიდიდეს შორის, რო-
მელიც სრიალით უნდა გაევლო მჭრელ პირს სხვადასხვა ნორმალური
დაწოლის შემთხვევაში, ლეროების სრულ გადაჭრამდე. ამ ცდების
დროს აღმოჩნდა შემდეგი (6):

ნორმალური დაწოლა (გრამებით)	სრიალით გაფანაცვ- ლება (მილიმეტრებით)
600	1,5
500	2,0
400	8,0
300	20,0
200	99,0
100	159,0

ა. გ. დ. ვ. პ. გორიაჩინი ამ დამოკიდებულების გამოსახატავად
იძლევა ასეთ განტოლებას (6):

$$P^2 S = \text{const}$$

ან

$$S = A e^P$$

სადაც S არის იარაღის მჭრელი პირის მიერ გავლილი მანძილი
ჰურის ლეროების გადაჭრის დროს;

P —მჭრელი პირის ნორმალური დაწოლა გადასაჭრელ ლე-
როებზე;

A —მუდმივი სიდიდე;

e —ნეპერის რიცხვი.


აქ აღნიშნული დამოკიდებულება P -სა და S -ს შორის შემდეგი
მრუდით გამოიხატება (10 ნახ.). ეს მონაცემები მეტად მჭერმეტყვე-
ლურად ადასტურებენ, რომ იარაღის მჭრელი პირის სრიალი გადა-
საჭრელ სხეულზე ფრიად მნიშვნელოვნად ამცირებს მჭრელი პირის
იმ ნორმალურ დაწოლას; რომელიც აუცილებელია მის გადასა-
ჭრელად.

ამრიგად, ჭრის პროცესისათვის საჭირო ძალაში მოგების თვალ-
საზრისით სრიალით მოძრაობით ჭრას ფრიად დიდი უპირატესობა
ახასიათებს მხოლოდ ნორმალური დაწოლით ჭრასთან შედარებით.


ამ წინასწარი შენიშვ-
ნის შემდეგ განვიხილოთ დის-
კო და ვნახოთ, როგორი
გზით ვითარდება ჭრის პრო-
ცესი მისი მუშაობის დროს.

მჯელობის გამარტივე-
ბისათვის ჯერჯერობით უგუ-
ლებელყოფით დისკოს ბრუნვა
და განვიხილოთ მისი მუშაო-
ბა მხოლოდ გადატანითი
ძრაობის შემთხვევაში.

პირველყოფლისა მივი-
ღოთ, რომ დისკოს ჭრის კუთ-
ხი იყოს ის ა კუთხე, რომე-
ლიც იქმნება მერელი პი-
რის ნებისმიერი წერტილის
აბსოლუტური სიჩქარის მართობსა და იმავე წერტილში გამავალ
მხებს შორის წევის ხაზის სწვრივ სიბრტყეში (11a და 11b ნახ.).




10. ნახ.



11 a. ნახ.

ჭრის კუთხის გამოხატვა დისკოს მხთ-
ლოდ გადატანით ძრაობის შემთხვე-
ვაში.




11 b. ნახ.

ჭრის კუთხის გამოხატვა დისკოს გა-
დატანით და ბრუნვით (ერთდროული)
ძრაობის შემთხვევაში

წარმოვიდგინოთ, რომ დისკო მუშაობის დროს აწარმოებს
მხოლოდ გადატანით ძრაობას ნახაზე ისრით ნაჩვენები მიმართუ-

ლებით (12 ნახ.) და განვიხილოთ დისკოს ნიადაგში ჩატრმაცებულ მჭრელ პირზე მოდებული m ნაშილაკის მოძრაობა. ხახუნი, რომ არ არსებულიყო დისკოსა და ნიადაგის ან სხვა, მის მჭრელ პირთან შეუხედრილ, ნაშილაკებს შორის, მაშინ m ნაშილაკი დისკოს წინგადა-ადგილებისას, წინ გადაინაცვლებდა კრის სიბრტყეში გაცლებულ m_1 ნორმალის მიმართულებით და დისკოს I-დან II მდგომარეობა-ში გადასცლის დროს აღმოჩნდებოდა m_2 მდებარეობაში (12 ნახ.)



12 ნახ.

ანდა ხახუნი, რომ ძალიან დიდი ყოფილიყო (ხახუნის კოეფიციენტი 1-ის ტოლი), მაშინ m ნაშილაკა დარჩებოდა დისკოს მჭრელი პირის იმ წერტილში, რომელსაც შეხვდა ის პირველად და დისკოს I-დან II მდგომარეობაში გადასცლის დროს ის აღმოჩნდებოდა m_1 მდება-რეობაში; მაგრამ, ვინაიდან ხახუნი არც ნულის ტოლია და არც ძალიან დიდი, ე. ი. ხახუნის კოეფიციენტი f არც ნულს უდრის და არც ერთს, არამედ მათ შორის რალაც საშუალო მნიშვნელობა უჭი-რავს ($0 < f < 1$), ამიტომ m ნაშილაკი გადაინაცვლებს არა m -ის მიმართულებით, არამედ m_1 -თან ხახუნის ფ კუთხით დახ-რილ m_2 -ის მიმართულებით და დისკოს I-დან II მდგომარეობაში გადასცლის დროს ის აღმოჩნდება m' მდგომარეობაში. მაშასადამე, m ნაშილაკი m_1, m' მანძილზე გასრიიალდა დისკოს მჭრელ პირზე. შე-ფარდებას

$$\frac{\sin(\varepsilon - \varphi)}{\cos \varepsilon} = i$$

პროფ. ვ. ა. ქელიგოვსკი უწოდებს სრიალის კოეფიციენტს (9). როგორც ამ შეფარდებიდან ჩანს ε -ის გაზრდით სრიალის კოეფიციენტი იზრდება, ხოლო ფ კუთხის გადიდებით კი — პირიქით .

ნიადაგის ზედაპირის სიბრტყეში მდებარე დისკოს მჭრელი პირის რომელიმე წერტილისათვის ე მცირე სიდიდის არის, შემდეგ, ქვედა შრეებში ის თანდათან იზრდება და მჭრელი პირის იმ წირტილიდან, სადაც ე გაუტოლდება ხახუნის ფ კუთხეს, იწყება ნიადაგის ნაწილაკებისა, მცნარეთა ნარჩენებისა და სარეველების არიალება დისკოს მჭრელ პირზე ქვევით, ე. ი. ხდება სრიალით ჭრა. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ, ვინაიდან ხახუნის კუთხე ფოლადისა ნიადაგთან და იმავე ფოლადისა (დისკოს მჭრელი პირისა) მცნარეთა ფესვებთან და ნარჩენებთან სხვადასხვა სიდიდის არის, ამიტომ ნიადაგისა და მცნარეთა ფესვებისა და ნარჩენების სრიალით ჭრა დისკოს მჭრელი პირის სხვადასხვა წერტილიდან დაიწყება.

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, შეგვაძლია როგორც გრაფიკულად ისე ანალიზურად განვსაზღვროთ, დისკოს მჭრელი პირის რომელი წერტილიდან დაიწყება ნიადაგისა და სარეველების სრიალით ჭრა და, მაშასადამე, კელის ფსკერიდან რა სიმაღლეზე ხდება ეს პროცესი.

დისკოს მჭრელი პირის ამ წერტილის განსაზღვრა ანალიზურად შემდეგი მარტივი მსჯელობით შეიძლება: როგორც შე-13 ნახაზიდან ჩანს:

$$h = R - r,$$

შაგრამ ვინაიდან

$$r = R \cdot \sin \epsilon',$$

ამიტომ:

$$h = R - R \cdot \sin \epsilon'.$$

h -ის სიღიდის ასეთი განსაზღვრა შართებული იქნებოდა, რომ 13 ნახ. ჭრის სიბრტყის შესაბამისი იყოს; აქ ნახაზი აღებულია დისკოს ბრუნვის სიბრტყის შესაბამისი, რის გამოც ჭრის კუთხე ე ჭრის სიბრტყედან გადატანილი უნდა იქნას დისკოს ბრუნვის სიბრტყეში, ე. ი. ϵ -ის მაგირ ე'-ის სახით h -ის გამოთქმაში უნდა ჩაისახოს: $\sin \epsilon' = \sin \epsilon: \cos \gamma$ ან $\epsilon' \cong \epsilon: \cos \gamma$ (ფორმულის (9) მსგავსად) და მივიღებთ:


$$h = R - R \cdot \sin (\epsilon: \cos \gamma),$$

თუ ახლა ამ გამოთქმაში ϵ -ს შევცვლით ხახუნის ფ კუთხით, საბოლოოდ ქვექნება:

$$h = R - R \cdot \sin (\varphi: \cos \gamma), \quad (23)$$

სადაც h არის სიმაღლე კვალის ფსკერიდან დისკოს მჭრელი პირის იმ წერტილამდე, რომლიდანაც დაიწყება სრიალით ჭრა.

განვიხილოთ ახლა, როგორ ვითარდება ჭრა დისკოს მუშაობის დროს იმ შემთხვევაში, როცა ის გადატანით ძრაობასთან ერთად ბრუნვას კიდევ თავის ლერძის გარშემო რაიმე კუთხური სიჩქარით ამ შემთხვევაში დისკოს მჭრელი პირის ყოველ წერტილს და მასზე მოდებული ნიადაგის რომელიმე თ ნაწილაკს ორი წარმტანი სიჩქარე აქვს: ერთის მხრივ გადატანითი და მეორეს მხრივ ჭრის სიბრტყეში გადატანილი ბრუნვის სიჩქარე. ცხადია, ამ შემთხვევაში დის-



13 ნახ.

კოს მჭრელი პირის რომელიმე წერტილის აბსოლუტური სიჩქარე ტოლი იქნება აღნიშნულ სიჩქარეთა პარალელოგრამის დიაგონალისათვის ამ აბსოლუტურ სიჩქარეს (V_z) და შემთხვევაში (V_x ნახ.), რომ დისკოს მჭრელი პირი მოძრაობს ორ ურთიერთ პერპენდიკულარული მიმართულებით— V_x -სა და V_z -ს მიმართულებით. ახლა თუ გავიხსენებთ აკად. ვ. პ. გორჩიაჩინის ზემოაღნიშნულ დებულებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში დისკი აწარმოებს სრიალით ჭრას— V_x -ის მიმართულებით ჭრის, ხოლო V_z -ს მიმართულებით კი სრიალებს. აღსანიშნავია, რომ V_x -ს მხოლოდ არსებობა არ სწყვეტს საკითხს სრიალით ჭრისათვის, რადგან V_x სულ იარსებებს ამა თუ იმ სიღიღის ს წერტილამდე (და შეიძლება იმის იქითაც). მაგრამ სრიალით ჭრა კი არ მოხდება. ფაქტიურად სრიალით ჭრა მანამდე იქნება, სანამ ჭრის კუთხე ε მეტი რჩება ხახუნის ფ კუთხეზე, ე. ი. სახამ არსებობს პირობა: $\varepsilon \geqslant \varphi$; სახელდობრ დისკოს მჭრელი პირის რომელ წერტილში წყდება სრიალით ჭრა როგორც ნიადაგის, ისე მცენარეთა ფესვებისა და ნარჩენების, ამ შემთხვევაში შეიძლება განისა-

ზღვროს ანალიზურად, პირველი შემთხვევის ანალოგიურად. ამი-
სათვის დისკოს წინსვლის ($V_{\text{ფ}}$) სიჩქარე გადავიტანოთ მისი პრუნვის
სიბრტყეში ($V'_{\text{ფ}} = V_{\text{ფ}} \cdot \cos \gamma$) და მოვძებნოთ დისკოს მჭრელი პირის
ნებისმიერი წერტილის აბსოლუტური V' , სიჩქარე, რომელიც ნაჩვე-
ნებია ეს მე-14 ნახაზზე. ამ ნახაზიდან ჩანს, რომ:

$$h' = R - r,$$

სადაც:

$$r = R \cdot \sin (\beta - \varepsilon')$$


მაშინ:

$$h' = R - R \cdot \sin (\beta - \varepsilon').$$

ახლა თუ ამ გამოთქმაში ჩაესვამთ ε' -ის მნიშვნელობას, გვექნება:

$$h' = R - R \cdot \sin (\beta - \varepsilon : \cos \gamma),$$

ამ გამოთქმაში უცნობია β კუთხე, რომელიც მე-14 ნახაზის მიხედ-
ვით შემდეგნაირად განისაზღვრება:



14 ნაზ.

$$\frac{V_{\text{ფ}} \cdot \cos \gamma}{\sin (90^\circ - \varepsilon')} = \frac{V_{\text{გ}\delta}}{\sin \beta},$$

$$\sin \beta = \frac{V_{\text{გ}\delta} \cdot \cos \varepsilon'}{V_{\text{ფ}} \cdot \cos \gamma},$$

რომელშიაც ε' -ის მნიშვნელობის ჩასმის შემდეგ, მივიღებთ:

$$\sin \beta = \frac{V_{\text{გ}\delta} \cdot \cos (\varepsilon : \cos \gamma)}{V_{\text{ფ}} \cdot \cos \gamma}$$

თუ ახლა, როგორც β -ს, ისე h' -ის გამოთქმაში ეს შეცვლით ხა-
ხუნის ფ კუთხით, საბოლოოდ მივიღებთ:

$$h' = R - R \cdot \sin(\beta - \varphi : \cos \gamma) \quad (24)$$

და

$$\sin \beta = \frac{V_{\beta \delta} \cdot \cos(\varphi : \cos \gamma)}{V_{\beta} \cdot \cos \gamma}, \quad (25)$$

სადაც h' არის სიმაღლე კვლის ფსკერიდან დისკოს მჭრელი პირის
იმ წერტილამდე, რომლიდანაც შეწყდება სრიალით ჭრა.

როგორც (23), (24) და (25) ფორმულებიდან ჩანს, h -ის სი-
დიდე დამოკიდებულია დისკოს (R) რადიუსზე, მისი წევის ხაზისად-
მი დაყენების (γ) კუთხეზე და ფოლადსა და ნიადაგს (აგრეთვე მცე-
ნარეთა ნარჩენებს) შორის ხახუნის (φ) კუთხეზე; h' -ის სიდიდე კი
 R -სა, γ -სი და φ -ს გარდა $V_{\beta \delta}$ და V_{β} -ს შეფარდების სიდიდეზე. დის-
კოს კვლის ფსკერისადმიც დახრილად დაყენების შემთხვევაში ისი-
ნი დამოკიდებული იქნებიან აგრეთვე ა კუთხეზედაც.

ახლა მხედველობაში თუ მივიღებთ იტალიელი პროფესორის
ნერლონ ნერლის მტკიცებას იმის შესახებ, რომ დისკოებისათვის,
როგორც მბრუნავი სხეულებისათვის, ხახუნის კოეფიციენტი დაახლოე-
ბით ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი ხახუნის კოეფიციენტი
ნიადაგისა ფოლადთან (14) და ოთხჯერ შემცირებული ხახუნის კოე-
ფიციენტის მიხედვით განსაზღვრულ ფ-ს მნიშვნელობას ჩავსვამთ
(24) და (25) ფორმულებით, მაშინ ცხადია, რომ დისკოს ბრუნვის
შემთხვევაში კვლის ფსკერთან სრიალით ჭრა გაცილებით უფრო
ახლოს შეწყდება, ვიდრე ფ-ს ჩვეულებრივი მნიშვნელობის შემთხვე-
ვაში.

ასეთია მდგომარეობა, როცა დისკო წინსვლით ძრაობასთან
ერთად თავის ღერძის გარშემო მტკიცებას, თუ მხედველობაში არ მი-
ვიღებთ მისი მჭრელი პირის ფორმას; მაგრამ, თუ მხედველობაში
მივიღებთ იმას, რომ დისკოს მტკიცელი პირი წარმოადგენს გარშემო-
წერილობას და გავითხრებთ ზემოთგანილულს იმის შესახებ, რომ
არამტრუნავი დისკოს მუშაობის შემთხვევაში სრიალით ჭრა იწყება
მისი დალრმავების ქვედა შრეებში და მხედველობაში მივიღებთ
ქრედებათა შეკრების კონცნ, მაშინ ნათელი გახდება, რომ დისკოს
მუშაობის დროს მისი დალრმავების როგორც ზედა, ისე ქვედა
შრეებში ხდება სრიალით ჭრა. თუმცა ზოგ შემთხვევაში, იმისდა
მიხედვით, თუ როგორია ხახუნის კუთხის ფ-ს სიდიდე, შეიძლება დის-
კოს შიერ მოკრილი ბელტის ზედა და ქვედა შრეებს შორის მცირე
მანძილზე გვექნეს სრიალის გარეშე ჭრა.


ამრიგად, ყველა ზევით აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავსაკვნათ, რომ დისკოს მუშაობის დროს ჭრა ძირითადად სრიალით წარმოებს.

2. დისკოზე ძალების მოქმედების სქემა და მათი ხასიათი


დისკოზე მოქმედი ძალები შეიძლება დაყვით ორ ძირითად ჯგუფად: უშუალოდ მოდებულ და პასიურ ძალებად. უშუალოდ მოდებულ ძალებს ეკუთვნის გამწევი ძალა და დისკოს ან დისკოზე მოსული წონა, ხოლო, პასიურ ძალებს კი—ნიადაგის წინააღმდევობა, ხახუნისა და ინერციის ძალები. ვინაიდან ნიადაგის დასამუშავებელი იარაღების წინგადაადგილების სიჩქარე მუშაობის დროს მცირეა, ამიტომ ინერციის ძალები შეიძლება უგულებელვყოთ და დისკოზე მუქმედი პასიური ძალებიდან განვიხილოთ ნიადაგის წინააღმდევობა და ხახუნის ძალები.

აღნიშნული ძალების დისკოზე მოქმედება შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ სქემატურად:

დავიწყოთ უშუალოდ მოდებულ ძალებიდან.



15 a ნახ.



15 b ნახ.

გამწევი ძალა P , რომელიც, ჩვეულებრივ, რაიმე წ კუთხით არის მიყენებული დისკოზე თარაზული სიბრტყის მიმართ, დაიშლება ორ მდგენელად რომელთაგან თარაზული მდგენელი (15a და 15b ნახ.):


$$P_1 = P \cdot \cos \beta$$

არის წევის ძალის ის ნაშილი, რომელიც ძლევს დისკოს მთელ სამუშაო წინააღმდევობას და, მაშასადამე, ასრულებს დადებით მუშაობას; ხოლო ვერტიკალური მდგენელი:


$$P_2 = P \cdot \sin \beta$$



არის წევის ძალის ის ნაწილი, რომელიც მიმართულია ზეპირ და ცდილობს სისტემის ზევით ამოგდებას და, მიშასადამე, ასრულებს უარყოფით მუშაობას. ჩვეულებრივ P_2 მდგენელის უარყოფით მოქმედებას აბათილებს დისკოს ან დისკოზე მოსული წონის გავლენით როგორც დისკოს საკისარში, ისე მისი ჩარჩოს სავალი თვლების (თუ ჩარჩოს ასეთი აქვს) საკისარებში და მათი (თვლების) ნიადაგთან შეხების წერტილებში, წარმოიშობა ხახუნის ძალა fG -ს სახით, რომელიც წარმოადგენს სისტემის მავნე წინააღმდეგობას.




16 а ნახ.




16 б ნახ.

თუ გამწევი ძალის P_2 მდგენელის გაწონასწორების შემდეგ დისკოს ან დისკოზე მოსული წონის მორჩენილ ნაწილს $G - P_2 = q$ -ს გადავიტანთ დისკოს მჭრელი პირის ნიადაგთან შეხების წერტილში (16a და 16b ნახ.) და დავშელით ორ მდგენელად: დისკოს ზედაპირის შემხებისა და ნორმალის მიმართულებით, დავინახავთ, რომ მხები მდგენელი $q_2 = q \cdot \sin \alpha' = (G - P_2) \cdot \sin \alpha'$ წონის ის ნაწილია, რომელიც ცდილობს დისკოს ნიადაგში დაღრმავებას, ხოლო მართობული მდგენელი q_1 კი — წონის ის ნაწილი, რომლის გავლენითაც დისკი ზურგით აწვება კვლის ფსკერსა და კედელს და თელაცს ნიადაგს; სწორედ ამით უნდა აისხნას ის გარემოება, რომ დისკოებითი გუთნები და ამჩენები (მეტადრე პირველნი) კვლის ფსკერსა და კედელს ფრიიდ დატკეპნილს (დათელილს) სტოვებენ, რაც აგროტექნიკური თვალსაზრისით არ არის სასურველი და ამ იარაღების ერთერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს.

დავშეალოთ გამშევი ძალის თარაზული მდგრენელი P_1 ორ მდგრენელად: დისკოს ბრუნვის სიბრტყის სწორივად და ამ უკანასკნელის მართობულიდ (ნახ. 17a და 17b). ამ მდგრენელთაგან P_1'' —გამშევი ძალის ის ნაწილია, რომელიც დისკოს წინგადაა დგილების მიმართ მიმართულია კუთხით და დისკოს ნიადაგში ჩაღრმავებულ ნაწილზე წარმოშობილ ხახუნის ძალისთან fR_1 (17a და 17b ნახ.) პქმნის ძალთა წყვილს და აბრუნებს მას აღნიშნულ სიბრტყეში. მეორე მდგრენელი P_1' გადავიტანოთ დისკოს მცრელი პირის ნიადაგთან შეხების წერტილში და დავშალოთ მისი ზედაპირის მხებისა და ნორმალის მიმართულებით ორ მდგრენელად: d და c -დ (16a და 16b ნახ.). ამ შემთხვევაშიაც P_1' -ის მხები d მდგრენელი, წონის q_2 მდგრენელთან ერთად ცდილობს დააღრმავოს დისკოს ნიადაგში, ხოლო ნორმალური მდგრენელი c კი გამშევი ძალის ის ნაწილია, რომელმაც ერთის მხრივ უნდა დასძლოოს დისკოს ზედაპირზე ბელტის ზევით აწევისა, დეფორმაციისა და გადატყორცნის წინააღმდეგობა, ხოლო მეორეს მხრივ გააწონასწოროს დისკოს ან დისკოზე მოსული წონის q_1 მდგრენელი, რომელიც თელავს კვლის ფსკერსა და კედელს.



17 a ნახ.



17 b ნახ.

გადავიდეთ პასიური (რეაქტიური) ძალების განხილვაზე. როგორც აღნიშნული იყო პასიური ძალების სახით ჩენ განვიხილავთ ნიადაგის წინააღმდეგობას და ხახუნის წინააღმდეგობას დისკოს ზედაპირსა და მის ზედაპირზე ისრიალებულ ბელტს შორის. მართალია, ნიადაგის წინააღმდეგობის ძალა არათანაბრად არის განაწილებული მის ზედაპირზე, მაგრამ, ეინაიდან არ ვიცით—როგორი

კანონშომერებით ხდება ამ წინააღმდეგობის ძალის განაწილება დისკუსიას ზედაპირზე, ამიტომ ვუშვებთ, რომ ნიადაგის წინააღმდეგობის დისკუსიას ზედაპირის მთელ იმ ფართზე, რომელიც ნიადაგშია ჩაღრმავებული თანაბრად არის განაწილებული. უდათა, რომ ხახუნის მთელველობაში მიუღებლად ნიადაგის წინააღმდეგობის ძალის მოქმედება დისკუსიას ზედაპირის მართობულად წარმოებს, ხოლო თუ მხედველობაში მიყრებთ ხახუნსაც, მაშინ ის ზედაპირის მართობიდან გაიხრება ნიადაგსა და დისკუსია შორის არსებული ხახუნის ფ' კუთხით, მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეებე (17a და 17b ნახ.). თუ ნიადაგის წინააღმდეგობისა და ხახუნის ძალის თანაბარ მოქმედს R' -ით აღნიშნავთ. და მიეაყენებთ დისკუსია ნიადაგში ჩაღრმავებული ნაწილის გეომეტრიულ ცენტრში, შეიძლება ის დაეშალოთ სამ ერთმანეთის მართობულ მდგენელებად: ox , oy და oz მიმართულელებით (18 ნახ.)— R'_z ; R'_y -ად, R'_x -ად. შემოვილოთ აღნიშნა: Rx' იყოს S ; R'_y — L და R'_z — T . ამ მდგენელთაგან L ნიადაგის წინააღმდეგობის ის ნაწილია, რომელიც ეწინააღმდეგება დისკუსია წინგადა-ადგილებას და, მაშასადამე, უშუალოდ მიიღება გამწევი ძალის მიერ; S —მიმართულია კვლის კედლისაკენ და ცდილობს დისკუსია (და, მაშასადამე, მთელი სისტემაც) გვერდზე გადაადგილოს. ეს დაწილა დისკუსიან გუთნებსა და ამჩერებში (ვკულისხმობთ ე. წ. „სახორ-ბლე გუთნებს“) მიიღება სისტემის დახრილად დაყენებული თველების მიერ, რომელთა რეაქციაც აწონასწორებს მას; T —მიმართულია ქვევით მართობულად და დისკუსია ან დისკუსია მოსულ წონასთან ერთად ზევით განხილული სქემის მიხედვით (16a და 16b ნახ.) ხელს უშევობს მის დაღრმავებას.

განვიხილოთ ახლა, როგორი დამოკიდებულება არსებობს R -სა და R' -ის S , L და T მდგენელებს შორის. ამისათვის საჭიროა ვიკოდეთ ის კუთხები, რომელსაც S , L და T ცალ-ცალკე ჰქმინიან R' -თან, ე. ი. უნდა ვიკოდეთ სამი კუთხე; ფაქტიურად კი ვიკით ერთი კუთხე α' , — R ძალის მიყენების წერტილში გავლებული დისკუსია ზედაპირის თარაზულ სიბრტყესთან შემხების მიერ შექმნილი კუთხე, რომლითაც R -ის საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ მხოლოდ T , L , S და R -ს შორის დამოკიდებულების დასამყარებლად (ანუ R -ის მიმართ L -სა და S -ის სიდიდეთა გასაგებად) საჭიროა R ძალი გადავიყვანოთ xoy სიბრტყეში და მისი ფ' კუთხით გახრის შემდეგ, ყ კუთხის საშუალებით განვსაზღვროთ S და L . აქ აღნიშნული მოსახრებით თუ ვიხელმძღვანელებთ, მაშინ მივიღებთ, რომ (17a და 17b ნახ.)

$$S = R'_1 \cdot \cos(\gamma + \varphi'),$$

მაგრამ, რადგანაც:

$$R' = \frac{R}{\cos \varphi}.$$

და

$$R = R \cdot \cos(90^\circ - \alpha') = R \cdot \sin \alpha'$$

ამიტომ:

$$1. \quad S = \frac{R \cdot \sin \alpha'}{\cos \varphi} \cdot \cos(\gamma + \varphi'). \quad (26)$$

$$L = R' \cdot \cos [90^\circ - (\gamma + \varphi')] = \frac{R}{\cos \varphi} \cdot \sin(\gamma + \varphi').$$

$$2. \quad L = \frac{R \cdot \sin \alpha'}{\cos \varphi} \cdot \sin(\gamma + \varphi'). \quad (27)$$

$$3. \quad T = \frac{R}{\cos \varphi} \cdot \cos \alpha'. \quad (28)$$

ამ ფორმულებში ჩვენთვის უცნობია φ' კუთხის სიდიდე, რომლის ცოდნა აუცილებელია მათი გამოყენებისათვის. გაკვრით იყო აღნიშნული ზევით, რომ დისკოსათვის, როგორც მბრუნავი სხეულისათვის, ხახუნის კოეფიციენტი დაახლოებით ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი ხახუნის კოეფიციენტი ნიაღავისა ფოლადთან. ვნახოთ ახლა როგორია ხახუნის კოეფიციენტის უფრო ზუსტი მნიშვნელობა და, მაშასადამე, ხახუნის კუთხისა დისკოსათვის, როგორც მბრუნავი და მრუდე ზედაპირის მქონე სხეულისათვის. იმის გამო, რომ დისკოს მრუდე ზედაპირი აქვს, მექანიკის კანონების თანახმად ხახუნის კოეფიციენტი მისთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ბრტყელი ზედაპირის მქონე ფოლადისათვის, სახელდობრ (12):

$$f' = \frac{f}{\sin \psi},$$

საღაც f ამ შემთხვევაში არის ფოლადის ბრტყელ ზედაპირთან ნიაღავის ხახუნის კოეფიციენტი; f' — ფოლადის მრუდ ზედაპირთან და ψ — დისკოს ზედაპირის მოხრის კუთხე. ამისთანავე, როგორც იტალიელი პროფესორი ნერლო ნერლი ამტკიცებს (14) ხახუნის კოეფიციენტი დისკოსთვის, როგორც მბრუნავი სხეულისათვის, ტოლია:

$$f' = 0,2674 f,$$

სადაც f' არის ნიადაგის ხახუნის კოეფიციენტი დისკოს ზედაპირ-თან, როგორ დისკო არ ბრუნავს, ე. ი., საბოლოოდ, დისკოს ფიზიკური ხახუნის კოეფიციენტი ტოლი იქნება:

$$f_r = 0,2674 \frac{f}{\sin \psi}$$

და ხახუნის კუთხე განისაზღვრება ტოლობიდან:


$$\operatorname{tg} \varphi' = f_r = 0,2674 \frac{f}{\sin \psi}.$$

როგორც მე-(28) ფორმულიდან, ისე მე-16a და მე-16b ნახაზე-შიდან ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ α კუთხის გადიდებით დიდდება α' კუთხეც და R' ძალის მართობული მდგრენელი T თანდათან მცირდება; როგორ $\alpha = 90^\circ$ -ს (16a ნახ.), მაშინ T უმნიშვნელო სიდიდეს წარმოადგენს.

R, S, L და T ძალებში დინამომეტრის საშუალებით გაზომვა შეიძლება მხოლოდ L -ის; სახელდობრ:

$$L = P_i - f \cdot (G - q \cdot \sin \alpha'),$$

სადაც fG არის დისკოს ან დისკოზე მოსული მთელი წონის გადაადგილებაზე დახარჯული გამწევი ძალის ნაწილი, ხოლო $f \cdot q \cdot \sin \alpha'$ კი— დისკოს წონის იმ ნაწილის გამაწონას წორებელი გამწევი ძალის ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს შის დალრმავებას.



18 ნახ.

L -ის განსაზღვრის შემდეგ, (26), (27) და (28) ფორმულებიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვსაზღვროთ R, S და T ძალები; სახელდობრ:

$$R = \frac{L \cdot \cos \varphi'}{\sin \alpha' \cdot \sin (\gamma + \varphi')} \quad (29)$$

$$S = L \cdot \cot (\gamma + \varphi') \quad (30)$$


$$T = \frac{L \cdot \cot \alpha'}{\sin (\gamma + \varphi')} \quad (31)$$

3. წევის ძალის ანგარიში დისკონტინუიტუიტი


ის წინააღმდეგობა, რომელსაც უწევს მუშაობის პროცესში ნიადაგის დასამუშავებელი იარაღების სფერული სამუშაო ორგანო (სფერული დისკო) გამწევ ძალას, მისი დაყენების ზოგადი შემთხვევისათვის (ე. ი., როცა ის დაყენებულია დახრილად როგორც წევის ხაზის მიმართ კუთხით, ისე კვლის ფსკერის მიმართაც ა კუთხით), შეიძლება დაიყოს ხუთ ძირითად კატეგორიად, ხოლო როცა ის მხოლოდ წევის ხაზის მიმართ არის დაყენებული დახრილად კუთხით, მაშინ კი ოთხ ძირითად კატეგორიად.

1. პირველი კატეგორიის წინააღმდეგობას უნდა მიეკუთვნოს სისტემის მავნე წინააღმდეგობა, რომელიც კად. ვ. პ. გორიანი კინის გუთნის წევის ძალის საანგარიშო რაციონალური ფორმულის (7) პირველი წევრის მსგავსად შეიძლება გამოიხატოს გამოთქმით:

$$R_1 = f \cdot G,$$



19a ნახ.



19b ნახ.

სადაც f არის ხახუნის შეჯამებული კოეფიციენტი, ხოლო G —კი სისტემის (დისკოს ან დისკოზე მოსული წონა) წონა კილოგრამებით.

2. მეორე კატეგორიის წინააღმდეგობას მიეკუთვნება წევის საერთო წინააღმდეგობის ის ნაწილი, რომლითაც ეწინააღმდეგება დისკუს ნიადაგის საერთო მასიდან განსაკალკევებული ბელტი (ბელტის მხოლოდ განკალკევების წინააღმდეგობა ნიადაგის საერთო მასიდან) ანუ ჭრის წინააღმდეგობა.

ჭრის პროცესი წარმოადგენს სამუშაო ორგანოს მიერ (ჩვენს შემთხვევაში—დისკუს) ნიადაგის ნაწილაკებს შორის შეკიდების ძალის დაძლევას მისი მოძრაობის სიბრტყეში და მათი ერთმანეთზე დაშორებას ისეთი მანძილით, რომელიც უზრუნველჰყოფს ნაწილაკებს შორის კაშირის სრულიად მოსპობას.

დისკუს მჭრელი პირის ელემენტს თუ წარმოვიდგენთ, როგორც მართკუთხიან სამკუთხედს (სოლს) და განვიხილავთ მუშაობის პროცესში მასზე მოქმედ უშუალოდ მოდებულ (აქტიურ) და პასიურ (რეაქტიურ) ძალების წინასწორობას, ჭრის წინააღმდეგობის ძალის სიდიდე შეიძლება შემდეგი გამოთქმით გამოვხატოთ (19b ნახ.):

$$R - P \cdot \sin(\omega + \varphi') = 0$$

$$R = P \cdot \sin(\omega + \varphi')$$

$$P = \frac{N}{\cos \varphi'}$$

$$R = N \cdot \sin \omega + N \cdot \cos \omega \cdot \operatorname{tg} \varphi',$$

შაგრამ, რადგან:

$$f_* = \operatorname{tg} \varphi',$$

ამიტომ;

$$R = N (\sin \omega + \cos \omega \cdot f_*)$$

ჭრის წინააღმდეგობის ძალის სიდიდის გამოსახატავად შეიძლებოდა ამ უკანასკნელი გამოთქმით დაკვანილებულიყავით, რომ შესაძლებელი იყოს N ძალის გაზომვა, შაგრამ ჯერჯერობით არავითარი მოწყობილობა და არავითარი ისეთი მეოთხი არ არსებობს, რომლითაც შეიძლებოდეს ნიადაგის დასამუშავებელი იარაღების სამუშაო ორგანოების და კერძოდ მბრუნავი დისკოების მჭრელი პირის წახნაგებზე ნორმიალური დაწოლის გაზომვა გაწარმოოთ.

ჭრის წინააღმდეგობის ძალის გაზომვის საკითხი ლითონების ტექნოლოგიაში უფრო იძრე დაისკვა, ვიდრე სას.-სამ. მანქანების მიმართ, მაგრამ მისი საბოლოო გადაწყვეტა დღემდის არც იქ მომხდარა; ამ ძალის გამოსახატავად არსებობს მხოლოდ ზოგიერთი თეორიული მოსაზრება. ამ მხრივ, სხვა გამოკვლევათა შორის, აღსანიშნავია გერ-

მანელი პროფესორის პ. ფრიდრიხის (H. Friedrich) შრომების (5), რომელმაც იმ მოსაზრების საფუძველზე რომ ჭრის დროს შესრულებული მუშაობა ჭრის ზედაპირის პროპორციულია,—ლითონის მეტელებისათვის ჭრის წინააღმდეგობის ძალის გამოსაანგარიშებულად მოგვცა ფორმულა (5):

$$P = w \cdot (a+b),$$

სადაც w არის 1 mm^2 -ზე შესრულებული მოჭრის მუშაობა, a —მიწოდება და b —ბურბუშელას სიგანე ($a+b$ —ბურბუშელას კვეთის ნახევარპერიმეტრი, ანუ ჭრის პერიმეტრი).

ამ ფორმულიდან გამოდის, რომ ჭრის წინააღმდეგობის ძალა ბურბუშელას მოჭრის პერიმეტრის პროპორციულია.

თითქმის ამის მსგავს დასკვნამდის მივიღა. პროფ. გ. ი. პოკროვსკი, როცა თავის კვლევის დროს ჭრის წინააღმდეგობის ძალის სიდიდის საკითხი ბელტის მოჭრის პერიმეტრს დაუკავშირა. ის ჩვეულებრივი (სახნისებიანი) გუთნებისათვის ჭრის წინააღმდეგობის ძალის საანგარიშოდ იძლევა შემდეგ ფორმულას (13):


$$P = \frac{b_1 k_1}{\operatorname{tg} \varphi} (B+H),$$

სადაც k_1 არის დროებითი წინააღმდეგობა დაძერაზე, B —სახნისის მიერ მოჭრილი ბელტის სიგანე (სანტიმეტრებით), H —დისკოსებური საკვეთლის სამუშაო რადიუსი (სანტიმეტრებით); b_1 —მანძილი, რომლითაც უნდა დაშორდეს ერთმანეთს ნიადაგის ხაწილაკება, რომ მათი შეჭიდების ძალებმა ურთიერთ შორის შესწყვიტონ მოქმედება; φ —მოცუმული ნიადაგის ხაწილაკების შინაგანი ხახუნის კუთხე.


დისკოების მუშაობის შემთხვევაში ნიადაგის ჭრის წინააღმდეგობის ძალის საანგარიშოდ ჩვენ ვიყენებთ პროფ. გ. ი. პოკროვსკის აღნიშნულ ფორმულას, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ ბელტის მოჭრის პერიმეტრის გამოსახატავად ($B+H$)-ის მაგიერ გსვამთ ფორმულაში ($B+H$)· η -ს, სადაც η არის შესწორების კოეფიციენტი. ბელტის მოჭრის პერიმეტრის გამოხატულებაში შესწორების კოეფიციენტის შეტანა საჭირო გახდა იმისთვის, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვატევს არა ჩვეულებრივი გუთნის ტანთან, არამედ დისკოსთან, რომლისთვისაც ბელტის მოჭრის პერიმეტრი $a+b$ კი არ არის, არამედ ელიფსის mnr რეალი (20a და 20b ნახ.), რომელიც სიგრძით უფრო მეტია, ვიდრე $a+b$. ჩვენი მიახლოებითი ანგარიშით (mnr -ის ზუსტი გამოანგარიშება მეტად რთულ მათემატიკურ ოპერაციას მოითხოვს) დისკოს η და α კუთხეებით დაყენების დროს ბელტის

მოქრის პერიმეტრი $mnr > a + b - \eta$ 4,8% -ით, ე. ი. $\eta = 1,048$ და დისკოს მხოლოდ γ კუთხით დაყენების დროს კი — $mnr > a + b - \eta$ 7,24% -ით, ე. ი. $\eta = 1,0724$. ამრიგად, პროფ. გ. ი. პოეტოვსკის განხილული ფორმულა, ჩვენ მიერ მიღებული აღნიშვნების — ჭრის წინააღმდეგობის ძალისა, ბელტის სიგანისა და სიღრმის — ჩასმით, შემდეგ სახეს მიიღებს:

$$R_2 = \frac{b_1 k_1}{\operatorname{tg} \varphi} (a + b) \cdot \eta.$$



ნახ. 20.



20a. ნახ.

ამ ფორმულაში შემავალი k_1 , b_1 და φ წევრების სიდიდეთა განსაზღვრის მეთოდიკა მოცემულია ბ. ბ. იაკოვ ლევას სტატიაში: „О расчёте сопротивления почвы при вспашке на основании лабораторных исследований“ (13).

3) მესამე კატეგორიის წინააღმდეგობას ეკუთვნის საერთო წინააღმდეგობის ის ნაწილი, რომელსაც უწევს დისკოს მოქრილი ბელტის დეფორმაციის წინააღმდეგობა.

საერთოდ ნიადაგის დეფორმაცია არის მისი ნაწილაკების ერთიმეორის მიმართ გადანაცვლება, მათი პირველსაწყისით აგებულების (მდგომარეობის) ცვლილება და ზოგჯერ კი დარღვევაც; ასე რომ, ბელტის დეფორმაციის დროს მისი ნაწილაკების გადანაცვლება ხშირად ისეთი ხასიათისაა, რომ ნაწილაკები სრულიად შორდე-

ბინ ერთმანეთს, რის გამო მივიღებთ ბელტის დაწილადებას, მის გაფხვიერებას. წწორედ ის წინააღმდევობა, რომელსაც დისკოს გაუშევს უქვე მოჭრილი ბელტის ნაწილაკები ამ გადანაცლების დროს, არის მესამე კატეგორიის ე.წ. დეფორმაციის წინააღმდევობა.

თუ მივიღებთ, რომ ბელტის დეფორმაციის კუთრი მუშაობა დაახლოებით მუდმივია და ბელტის ამ კუთრ ანუ ერთეული მოცულობის (1 cm^3) მუშაობას k -თი აღვნიშნავთ, ხოლო ბელტის მოცულობას $F \cdot l$ -ით გამოვსახავთ, მაშინ მივლი მოცულობის ბელტის დეფორმაციის მუშაობა ტოლი იქნება:

$$= k \cdot F \cdot l.$$

ამავე დროს მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ იმავე დეფორმაციის მუშაობა ტოლია დეფორმაციის წინააღმდევობის R_3 ძალისა და წინგადაადგილების დროს განვლილი მანძილის, l -ის ნაწარმოებისა

$$A = R_3 \cdot l,$$

მაშინ გვექნება:

$$R_3 \cdot l = K \cdot F \cdot l,$$

საიდანაც:

$$R_3 = K \cdot F,$$

სადაც F არის ბელტის განივევეთის ფართი ¹⁾.

ეს ფორმულა მოგვაგონებს აკად. ვ. პ. გორიაჩევინის რაციონალური ფორმულის მეორე წევრს $P_2 = k \cdot a \cdot b$, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი, ბელტის დეფორმაციის წინააღმდევობის გარდა, შეიცავს ბელტის მოჭრისა და მისი ზევით აწევის წინააღმდევობებს, რომლებიც ცალკე გვაქვს ჩვენ გამოყოფილი.

ბელტის დეფორმაციის წინააღმდევობის ძალის სიდიდეზე სხვა მრავალ შინაგან ფაქტორის გარდა გავლენას ახდენს დისკოს სიმრუდის რაღიაუსიც, მაგრამ დეფორმაციის წინააღმდევობის ძალის გამოსანგარიშებელ ფორმულაში სიმრუდის რაღიაუსის შეტანა შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი კვლევის შედეგი გახდეს.

4. მეოთხე კატეგორიის წინააღმდევობას წარმოადგენს საერთო წინააღმდევობის ის ნაწილი, რომელსაც უქვევს დისკოს ბელტის ზევით აწევა.

¹⁾ ამ ფორმულაში შემავალი F -ის—ბელტის განივევეთის ფართის—გამოანგარიშება მნიშვნელოვნად გამსხვავდება ჩეცულებრივი გუთნების მუშაობის დროს მიღებული ბელტის განივევეთის ფართის განგარიშებისაგან, მაგრამ უადგილობის გამო მას აქ ვერ ვათავსებთ.

ვინაიდან დისკოს როგორც წევის ხაზის ისე კვლის ფსკერის მიმართაც დახრილად დაყენების შემთხვევაში საქმე გვაქვს დახრილი სიბრტყის მსგავს მდგომარეობასთან, ამიტომ ბელტის წევით აწევის წინააღმდევობის ძალის გამოსაანგარიშებლად შეიძლება ვისარგებლოთ მექანიკაში კარგიდ ცნობილი დახრილი სიბრტყის ფორმულით (12):

$$P = Q \cdot \operatorname{tg}(\alpha + \varphi),$$

სადაც Q არის დახრილი სიბრტყის ზედაპირზე მოძრავი სხეულის წონა; α —სიბრტყის დახრის კუთხე თარაზულ სიბრტყესთან და φ —კი მოცემული სხეულის ხახუნის კუთხე დახრილი სიბრტყის ზედაპირთან. მაგრამ ამ სახით ეს ფორმულა მაშინ იქნებოდა ჩვენთვის გამოსადევი, დისკოს ზედაპირი სიბრტყეს რომ წარმოადგენდეს და თან არ ბრუნავდეს. ამ შემთხვევაში კი სხვა სურათი გვაქვს: დისკოს ზედაპირი წარმოადგენს მრუდ ზედაპირს და ამავე დროს ის ბრუნავს, ასეთ შემთხვევაში კი, როგორც უკვე განვიხილეთ, დისკოს ზედაპირთან ნიადაგის ხახუნის კუთხე ტოლია:

$$\operatorname{tg} \varphi' = f = 0,2674 - \frac{f}{\sin \psi}.$$

ამის გარდა დისკოს მრუდე ზედაპირის კელის ფსკერის მიმართ დახრის α კუთხე მისი ზედაპირის სხვადასხვა წერტილისათვის სხვადასხვაა—ქვედა ზრებში ზედარებით მცირეა და ზედა ზრებში კი იზრდება, რაც მიღებული უნდა იქნას მხედველობაში. ამისათვის კი საჭიროა ავილოთ α კუთხის რამდენიმე შუალედი დისკოს ზედაპირის რამდენიმე სხვადასხვა წერტილისათვის, დახრილი სიბრტყის ფორმულაში φ -ს მაგიერ ჩაესვათ φ' , და მაშინ გვექნება:

$$R'_4 = Q \cdot \sum_{i=1}^n \operatorname{tg}(\alpha_i + \varphi').$$

ეს ფორმულა რომ გამოვიყენოთ R'_4 ძალის გამოსაანგარიშებლად, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ დისკოს ზედაპირზე მოძრავი ბელტის Q წონა. ბელტის განივევეთის ფართს ჩვეულებრივ თუ აღვნიშნავთ F -ით, ნიადაგის მოცულობით წონას— μ -თი და წინგადაადგილების სიჩქარეს V_F -თი, მაშინ მივიღებთ:

$$R'_4 = F \cdot V_F \cdot \mu \cdot \sum_{i=1}^n \operatorname{tg}(\alpha_i + \varphi'),$$

მაგრამ ამ სიდიდის ძალით მხოლოდ მაშინ შეიძლება აიწიოს სხეული დახრილ სიბრტყეზე, თუ ეს მისი ამწევი ძალა დახრილი სიბრ-


ტყის ფუძესთან შემხები წიბოს მართობული და მისი ფუძის პარა-
ლელური იქნება; ამ შემთხვევაში კი ძალა, რომელმაც უნდა ასწოოს
ბელტი დისკოს ზედაპირზე, დახრილი სიბრტყის წიბოს მართობული
ლი კი არ არის, არამედ მასთან ჰქმნის კუთხეს (21 ნახ.); ამიტომ
წევის ხაზის მიმართ კუთხით დაყენებულ და კვლის ფსკერის მი-
მართ დახრილად დაყენებულ დისკოს ზედაპირზე ბელტის ასაწევად
საჭირო წევის ძალის სიდიდე ტოლი იქნება;

$$R_4 = \frac{F \cdot V_f \cdot \mu \cdot \sum_{i=1}^n \operatorname{tg}(\alpha_i + \varphi')}{\sin \gamma}$$

ამჩინად, გამოდის, რომ ბელტის წევით ამწევი ძალის სიდიდე და-
მოკიდებულია არა მარტო ა კუთხეზე, არამედ კუთხეზედაც; სა-
ხელფობრ, თუ კუთხე იზრდება, ის მცირდება და—პირიქით.

განხილული ოთხი

კატეგორიის წინააღმ-
დეგობათაგან პირველი
სამი საერთოა დისკოს
დაყენების ორივე შემ-
თხვევისათვის, ხოლო
მეოთხე კატეგორიის
წინააღმდეგობა ეკუთვ-
ნის მხოლოდ დისკოს
დაყენების იმ შემთხვევე-
ვას, როცა ის წევის ხა-
ზის გარდა კვლის ფსკე-
რის მიმართაც არის
დახრილად დაყენებუ-
ლი. ეს გასაგებიცაა,
რადგან დისკოს კვლის
ფსკერის მიმართ ვერტიკალურად დაყენების შემთხვევაში უმნიშვნე-
ლობ ბელტის ზევით აწევა მის ზედაპირზე.



21 ნახ.

5. მეხუთე კატეგორიის (ამ დისკოს მხოლოდ წევის ხაზის მი-
მართ კუთხით დაყენების შემთხვევაში—მეოთხე კატეგორიის)
წინააღმდეგობას წარმოადგენს საერთო წინააღმდეგობის ის ნაწილი,
რომელსაც უწევს დისკოს ბელტის გვერდზე გადატყორცნა.

ამ კატეგორიის წინააღმდეგობის ძალის გასაგებად შემდეგ-
ნაირად ვმსჯელობთ: თუ დისკოს ზედაპირზე 1 წამში აწეული ბელ-
ტის მასას ჩვეულებრივ მის აღვნიშნავთ, გვერდზე გადატყორცნი-

ლა ბელტის მიერ შესრულებულ მუშაობას გამოვხატავთ მისი კინეზ
ტიკური ენერგიით:

$$L = \frac{mV^2}{2}$$

1913 წლის
სიცოდური

და გავიხსენებთ, რომ სიმძლავრე ანუ დროის ერთეულში (1 წამში)
შესრულებული მუშაობა:

$$W = P \cdot V = L,$$

შეგვიძლია დავწეროთ:

$$P \cdot V = \frac{mV^2}{2},$$

საიდანაც ბელტის გვერდზე გადატყორცნის წინააღმდეგობის ძალა
ტოლია:

$$P = \frac{mV}{2}$$

ამა თუ ამ განტოლებაში ჩასვამთ m -ის მნიშვნელობას:

$$m = \frac{F \cdot V_f \cdot \mu}{g}$$

და დისკოს ზედაპირზე ბელტის მოძრაობის აბსოლუტური სიჩქარის
ანუ ბელტის გადატყორცნის სიჩქარის მნიშვნელობას, მიეკიდებთ
ბელტის გვერდზე გადატყორცნის წინააღმდეგობის ძალის შემდეგ
გამოხატულებას:

$$1. \quad R' = \frac{F \cdot V_f \cdot \mu \cdot V_s}{2g},$$

როცა დისკო დაყენებულია დახრილად, მხოლოდ წევის ხაზის მი-
მართ უ კუთხით,

$$2. \quad R'' = \frac{F \cdot V_f \cdot \mu \cdot V_s}{2g},$$

როცა დისკო დაყენებულია დახრილად, როგორც წევის ხაზის ისე
კვალის ფსკერის მიმართაც უ და ა კუთხეებით.

ასეთია ბელტის გვერდზე გადატყორცნის წინააღმდეგობის ძა-
ლის სიდიდის გამოხატულება, რომლის მიმართულება, ცხადია, ბელ-
ტის გადატყორცნის სიჩქარის მიმართულების თანხედენილია; მაგ-
რამ, ვინაიდან ბელტის გვერდზე გადატყორცნის წინააღმდეგობის
ძალა ჩენ გვაინტერესებს იმისათვის, რომ ის დავუკავშიროთ წევის
ძალას, ე. ი. გავიგოთ წევის ძალის თუ რა ნაწილია საჭირო ზის

დასაძლევად, ამიტომ აუცილებელია R''_4 და R''_5 გადავიყვანოთ შევის
ძალის მიმართულების სიბრტყეში მის საჭინაალმდეგო მხარეზე, ამიტა-
თვის ვისარგებლოთ V_s -სა და V'_s -ის მიერ შექმნილი კუთხეებით ჩა-
ვორც წევის ხაზის, ისე თარაზული სიბრტყის მიმართ და ჯერ თა-
რაზულ და შემდეგ წევის ძალის სწორივ სიბრტყეში გადავიყვანოთ
 R''_4 და R''_5 , რის შედეგად მიეღილებთ:

$$R_4 = \frac{F \cdot V_{\bar{v}} \cdot \mu \cdot V_s \cdot \cos \beta \cdot \cos(\gamma + \delta)}{2g}$$

და

$$R_5 = \frac{F \cdot V_{\bar{v}} \cdot \mu \cdot V'_s \cdot \cos C \cdot \cos(\gamma + \delta' \cdot \cos \beta')}{2g}$$

R_4 და R_5 ძალები წარმოადგენენ ბელტის გვერდზე გადატყოჩ-
უნის წინაალმდეგობის ძალის იმ ნაშილებს (დისკოს γ , γ და α
კუთხეებით დაყენების შემთხვევაში), რომლებიც უშუალოდ მიიღე-
ბა გამწევი ძალის მიერ და, ძაშისაღამე, უნდა შევიდეს წევის ძა-
ლის ანგარიშში.

ამრიგად, დისკოს წევის ძალის გამოსაანგარიშებლად, როცა
ის დაყენებულია დახრილად მხოლოდ წევის ხაზის მიმართ γ კუთ-
ხით, მიეღილეთ ფორმულა:

$$R = f \cdot G + \frac{b_1 \cdot k_1}{\operatorname{tg} \varphi} (a+b) \cdot \eta + k \cdot F + \frac{F \cdot V_{\bar{v}} \cdot \mu \cdot V_s \cdot \cos \beta \cdot \cos(\gamma + \delta)}{2g} \quad (33)$$

ხოლო, როცა დისკო დახრილია როგორც წევის ხაზის, ისე კვლის
ფსკერის მიმართაც γ და α კუთხეებით, მაშინ კი:

$$R' = f \cdot G + \frac{b_1 \cdot k_1}{\operatorname{tg} \varphi} (a+b) \cdot \eta + k \cdot F + \frac{F \cdot V_{\bar{v}} \cdot \mu \cdot \sum_{i=1}^n \operatorname{tg}(\alpha_i + \varphi')}{\sin \gamma} + \\ + \frac{F \cdot V_{\bar{v}} \cdot \mu \cdot V'_s \cdot \cos C \cdot \cos(\gamma + \delta' \cdot \cos \beta')}{2g}. \quad (34)$$

დ ა ს პ 3 6 0 8 0

წევით განვითარებული მოსაზრებანი საშუალებას გვაძლევს გა-
ვაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. დისკოს კონსტრუქციული რაღიუსი მეტია მისი ბრუნვის
მყისა რადიუსზე ($R_s > R_d$) ე. ი. მისი ბრუნვის მყისა ცენტრი ძევს

მისი წრეწირის შიგნით. ჩვენი ცდების შემთხვევაში $R_g < R_d$ -ზე 5,1-დან 5,7% -მდე. რასაკეირველია, R_d კონკრეტული მნიშვნელობის სიდიდე შეიცვლება დისკოს დაღრმავების სიდიდისა და ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეცვლასთან ერთად. შემდეგში საჭიროა R_d -ის სიდიდე დაღვენილი იქნეს სხვადასხვა ნიადაგისათვის სხვადასხვა პირობაში და დისკოს სხვადასხვა დაღრმავებაზე.

2. დისკოს გარშემოწერილობის (მჭრელი პირის) ბრუნვის სიჩქარე (V_g) მეტია $V_d = V_f \cdot \cos \gamma - \zeta$, ხოლო ნაკლებია წინსელის სიჩქარეზე (V_f). ჩვენი ცდების შედეგების მიხედვით V_g მეტია $V_d = V_f \cdot \cos \gamma - \zeta$ 4,8—6,2% -ით, ხოლო ნაკლებია $V_f - \zeta$ 8,8—9,2% -ით.

3. დისკოს ზედაპირზე აწეული ბელტის მოძრაობის აბსოლუტური სიჩქარე და მისი გატყორცნის კუთხე დისკოს ზედაპირიდან დამოკიდებულია:

a) დისკოს წევის ხაზის მიმართ γ კუთხით დაყენების შემთხვევაში: a) დისკოს წინსელის V_f სიჩქარეზე; b) ბელტის სიმძიმის ცენტრის შესატყვისი დისკოს ზედაპირის რომელიმე წერტილის ბრუნვის V_d სიჩქარეზე; g) წევის ხაზის მიმართ დისკოს დაყენების γ კუთხეზე და დ) დისკოს R რადიუსზე.

b) დისკოს წევის ხაზის მიმართ γ კუთხით და კვლის ფსკერის მიმართ დაყენების შემთხვევაში: a პუნქტში ჩამოთვლილ ფაქტორებზე და, მათ გარდა, კუთხეზედაც.

4. დისკოთი ჭრა ძირითადად სრიალით წარმოებს და სრიალით ჭრის ხარისხი, დისკოს მუშაობის დროს, დამოკიდებულია: a) დისკოს R რადიუსზე; b) დისკოს მიერ გადასაჭრელ სხეულებთან ხახუნის φ კუთხეზე; g) დისკოს წევის ხაზის მიმართ დაყენების γ კუთხეზე; d) დისკოს წრეწირის (მჭრელი პირის) (V_g) ბრუნვის სიჩქარესა და მისი (V_f) წინსელის სიჩქარების სიდიდეზე და ე) კუთხეზედაც, დისკოს კვლის ფსკერის მიმართაც დახრილად დაყენების შემთხვევაში. აქედან მოწესრიგებისათვის ჩვენს ხელთ არის γ , R და φ , რის გამოც დისკოებიანი იარაღებით სრიალით ჭრის რაც შეიძლება მაღალი ხარისხის მისაღებად სხვა—კონსტრუქციულ და ბუნებრივ—ფაქტორებთან განპირობებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ შერჩევას.

5. დისკოზე მოქმედი ნიადაგის წინააღმდეგობის ძალა იშლება სამ მდგრენელად: a) L , რომელიც ეწინააღმდეგება დისკოს წინგადაადგილებას და, მაშასადამე, უშუალოდ მიიღება გამწევი ძალის მიერ; b) S , რომელიც მიმართულია კვლის კედლისაკენ და ცდილობს

გვერდზე გადაადგილოს დისკო და გ) T , რომელიც მიმართულია ქვე-
ვით და ხელს უწყობს დისკოს დაღრმავებას. ამ მდგრენელებში დინამი-
მომეტრის საშუალებით გაიზომება მხოლოდ L , რის შემდეგაც
შევვიძლია განვსაზღვროთ R , S და T შემდეგი ფორმულებით:

$$R = \frac{L \cdot \cos \varphi'}{\sin \alpha' \cdot \sin (\gamma + \varphi')},$$

$$S = L \cdot \cot (\gamma + \varphi'),$$

$$T = \frac{L \cdot \cot \alpha'}{\sin (\gamma + \varphi')}.$$

6. დისკოსათვის საჭირო გამშევი ძალის სიდიდე მისი წევის
ხაზის მიმართ γ კუთხით დაყენების შემთხვევაში, უნდა ვიანგარი-
შოთ ოთხ წევრია ან ი ფორმულით (33 ფორმულა), რომლის მიხე-
დვითაც ის დამოკიდებულია: ა) ხახუნის შეჯამებულ f კოეფი-
ციენტზე; ბ) დისკოზე მოსულ G წონაზე; გ) ნიადაგის დაძრის
დროებით k_1 წინააღმდევობაზე; დ) ნიადაგის ნაწილაკების შინა-
გან ხახუნის φ კუთხეზე; ე) იმ მანძილის სიდიდეზე, რომელზედაც
წყდება ნიადაგის ნაწილაკებს შორის ჩაჭიდების კავშირი— b_1 ; ზ) ნია-
დაგის დეფორმაციის k კოეფიციენტზე; ზ) დისკოს ნიადაგთან ხა-
ხუნის φ' კუთხეზე; თ) დისკოს V_f წინსვლის სიჩქარეზე; ი) ნიადა-
გის μ მოცულობით წონაზე; კ) დისკოს ზედაპირზე ბელტის მოძრაო-
ბის V_s აბსოლუტურ სიჩქარეზე; ლ) დისკოს წევის ხაზის მიმართ
დაყენების γ კუთხეზე; მ) დისკოს R რაღიუსზე და ნ) ბელტის F
განივევეთის ფართზე.

7. დისკოს ხაზის მიმართ γ კუთხით და კელის ფსკერის
მიმართ α კუთხით დაყენების შემთხვევაში მისთვის საჭირო გამშევი
ძალის სიდიდე უნდა ვიანგარიშოთ ხუთ წევრი ან ი ფორმულით (34
ფორმულა), რომლის მიხედვით დასკნის მე-6 მუხლში ჩამოთვლილ სი-
დიდეთა გარდა, ის დამოკიდებულია აგრეთვე α კუთხეზედაც.

8. ნიადაგის დეფორმაციის კოეფიციენტის (k) წმინდა სახით
გამოყოფა მოგვცემს საშუალებას შევისწავლით მისი დეფორმაციის
წინააღმდეგობის ცვალებადობის კანონზომიერება სხვადასხვა ტიპის
ნიადაგისათვის, სხვადასხვა პირობაში და სხვადასხვა სიმრუდის ზე-
დაპირის მქონე დისკოებისათვის.

ЗАВІДУЮЩИЙ СОВЕТУЮЩИЙ

1. Проф. Л. П. Крамаренко.—Сельскохозяйственные машины; теория, конструкция и расчет I ф. I—1937 §.
2. А. Н. Бик и А. Иверенов—А. С. Чебатарев.—Курс высшей геодезии часть вторая, 1930 §.
3. Инж. Г. Н. Синеоков.—Дисковые рабочие органы почвообрабатывающих орудий,—згурб. Сельскохозяйственная машина № 2—3,—1939 §.
4. Инж. Г. Н. Синеоков.—Рабочие органы культиваторов—теория, конструкция и производство сельскохозяйственных машин, том IV—теория под редакцией акад. В. П. Горячкина, 1936 §.
5. Проф. С. Ф. Глебов.—Теория наивыгоднейшего резания металлов, книга первая, законы резания,—1939 §.
6. Акад. В. П. Горячкий.—Теория соломорезки и силосорезки—теория, конструкция и производство сельскохозяйственных машин, том IV—теория; под редакцией акад. В. П. Горячкого—1936 §.
7. Акад. В. П. Горячкий.—Собрание сочинений, III. ф. 1937 §.
8. Проф. В. П. Горячкий.—Уривок з теорії різання про ножиці—згурб. „Сільсько-господарська машина“ № 1—2,—1930 §.
9. Проф. В. А. Желногорский.—Элементы теории с.-х. машин и орудий—Справочник инженера-механика соц. сел. хозяйства,—І буф., згурба з друбою, збільшеною фасою—1938 §.
10. Проф. В. С. Жегалов.—Конструирование и расчет сельскохозяйственных машин.—1936 §.
11. Проф. Л. Б. Левенсон.—Кинематика механизмов,—1934 §.
12. Проф. Л. Б. Левенсон.—Статика и динамика машин,—1934 §.
13. М. Н. Яковлева.—О расчете сопротивления почвы при вспашке на основании лабораторных исследований,—згурб. „Почвоведение“ № 6,—1936 §.
14. N. Nerli.—Sul problema dinamico dell-aratro a disco—Pisa, Dalla Tipografia Editrice Mariotti Paoni; Via Della Faggiola 9 1930.
15. By. A. W. Ceyde.—Implement of Dusk Tools, згурб. Agricultural Engineering, згурб., 1939 §.
16. By. A. W. Ceyde.—Measurement of Forces on Soil Tillage Tools,—згурб. Agricultural Engineering № 1, 1936.
17. Справочное руководство по машиностроению; под общей редакцией проф. д-ра В. М. Мальцева, ф. 1, 1937 §.



Digitized by srujanika@gmail.com

De gevonden verschillende fragmenten zijn in totaal een

<http://www.scholarship.org>

2000-2001

L'opéra espagnol ayant fait une forte place

D. spicata (synonym: *Lycopodium*) 17 cm
E. ciliata (synonym: *Lycopodium*) 17 cm

ЗАБОЛ 18 856.
ЦЕНА РУБ.

1070 
БІЛARUSСКАЯ
NACIONALNAЯ
LIBRARY

н.ор ч1 / 20